სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 2 მარტი 2000 №38 (1060) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგაში M60 ჩაქრია

M60 იმ ტრასის ნომერია, რომელზე მომხდარმა ავარიამ მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდისკენ“ სვლა სერიოზულად შეაბრკოლა და ამის გამო „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ბორდოს“ შეხვედრა 75 წუთით გვიან დაიწყო. შეფერხების მიუხედავად ყველაფერმა ლოგიკურად ჩაიარა, ისევე, როგორც ევროპის სხვა სტადიონებზე, სადაც ძლიერებმა იკალეს

REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ბორდო 2:0. ტედი შერინგემი და ფრანსუა გრენე

UEFA CHAMPIONS LEAGUE

მეორე ეტაპი III ტური

A ჯგუფი

ბარსელონა	4
პორტუ	2
ჰერტა	1
სპარტა	1

B ჯგუფი

მანჩესტერი	2
ბორდო	0
ფიორენტინა	1
ვალენსია	0

C ჯგუფი

დინამო	2
რუსენბორგი	1
რეალი	2
ბაიერნი	4

D ჯგუფი

ლაციო	1
ფეიენოორდი	2
მარსელი	1
ჩელსი	0

3 მესამედ: რუსეთი — საქართველო

29 მარტს ქართველ ახალგაზრდებს რუსი თანატოლები ესტუმრებიან

6 სქოთებს ძველი დიდების დაბრუნება სურთ

13 რა იცის შოტლანდიელმა, რომელიც ძაღლს ასეირნებს?

13 დინო რაჯა: როგორ უნდა იხუმრო ზედიზედ ხუთი წაგების შემდეგ?

14 აურზაური ინგლისის სამეფოში

ყველა ფედერაცია ერთნაირად ბუტიაა?

ბოდიში რომ წამალი იყოს...

„ჩვენმა სკრუპულოზურმა ძებნამ ბელგიაში აჩვენა, რომ იქაურ პრესაში არსად გამოქვეყნებულა ბატონ იოჰან ბოსკამპის გამონათქვამი „მაფიური მეთოდების შესახებ ქართულ ფეხბურთში“.

აი, სიტყვასიტყვით გადმოქართულებული ციტატა ფაქსიდან, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გუშინ ჟურნალ „კიკერის“ გამომცემლის, კარლ-ჰაინც ჰაიმანისგან მიიღო.

დღევანდელ, 2 მარტის „კიკერში“ კი გერმანელები ალბათ ბოდიშსაც მოიხდიან იმ გახმაურებულ-სკანდალური წერილის გამო, რომელიც 10 თებერვლის ნომერში ბელგიელი ჟურნალისტის კრისტიან მარტელურის ხელმოწერით დაბეჭდეს.

„ჩვენს ხუთშაბათის გამოცემაში, 2000 წლის 2 მარტს, გამოვაქვეყნებთ შესაბამის განცხადებას და ბოდიშსაც მოვიხდით მცდარი ინფორმაციის დაბეჭდვისთვის“ — იწერება „კიკერის“ გამომცემელი და იმასაც დასძენს, რომ პარასკევს გამოგზავნის ჟურნალის იმ გვერდის ასლსა და წერილს, რომლითაც ოფიციალურად მოუბოდიშებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს ამბავი ერთი წინადადების გამო ატყდა, რომელიც ქართული ფეხბურთის ავტორიტეტს ეხებოდა — მე შემიძლია მთელი წიგნი დავწერო ქართული ფეხბურთის მაფიურ მეთოდებზე — წერილის ავტორ მარტელურის თქმით, ეს იოჰან ბოსკამპის სიტყვებია, რაც თავად ბოსკამპმა კატეგორიულად იუარა. ფეხბურთის ფედერაციამაც პასუხი „კიკერს“ მოსთხოვა და...

ვნახოთ, დღეს თუ „კიკერმა“ ფედერაციას მოუბოდიშა, ხვალინდელ „სარბიელში“ წაიკითხავთ.

ისე, „კიკერი“ ამგვარ მობოდიშებას ჩვეული არ არის, თუმც როცა საჭიროა, თავმოყვარე ჟურნალი, გაზეთი თუ კაცი ასეც უნდა მოიქცეს.

კობა ინასარიძე

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი
III ტური. 29 თებერვალი

CHAMPIONS LEAGUE

A ჯგუფი

ბარსელონა 4:2 პორტუ

0:1 ჟარდელი (4), 1:1 რივალდო (16), 2:1 ფ. დე ბური (22), 3:1 კლუივერტი (4:), 3:2 ჟარდელი (79), 4:2 რივალდო (90)

ბარსელონა: ჰესპი, პუიოლი (რაიციგერი 45), აბელარდო, ფ. დე ბური, ზენდენი (დეუ 52), გვარდიოლა, ლუის ენრიკე, კოკუ, ფიგუ (რ. დე ბური 86), კლუივერტი, რივალდო

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

პორტუ: ილარიო, სეკრეტარიუ, კოშტა, ალოიზიო პირესი, ესკუერდინია, პეიშე (ანდრადე 74), ბარუში (დომინგუში 39), ჩაინიო, კაპუჩო (კლეიტონი 74), დრულოვიჩი, ჟარდელი

გაფრთხილება: ალოიზიო, კოშტა

მწვრთნელი: ფერნანდო სანტოსი

მსაჯი: პოლ დარკინი (ინგლისი)

68 000 მაყურებელი

ჰერტა 1:1 სპარტა

1:0 ვაიტი (45), 1:1 სვერისონი (84ს.კ.)

ჰერტა: ფიდლერი, ჰერცოგი, ვან ბურიკი, სვერისონი, დაისლერი, შმიდტი, ვაიტი, ჰარტმანი, ვოში (როი 86), პრეეტცი, დაეი

გაფრთხილება: დაისლერი, სვეისონი, ჰარტმანი

მწვრთნელი: იურგენ რიობერი

სპარტა: ბლაჟეკი, გაბრიელი, ნოვოტნი, ბოლფი, ფუკალი, სიონკო, როსიცკი, იაშიკი, ბარანეკი, ლოკვენცი (სიეგლი 68), ობაიდინი (ჰაპალი 75)

გაფრთხილება: ბოლფი

მწვრთნელი: ივან ჰაშეკი

მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)

30 000 მაყურებელი

ბარსელონა	3	2	1	0	10:3	7
პორტუ	3	2	0	1	5:4	6
ჰერტა	3	0	2	1	2:3	2
სპარტა	3	0	1	2	1:8	1

B ჯგუფი

ფიორენტინა 1:0 ვალენსია

1:0 მიატოვიჩი (20პ)

ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ადანი, პიერინი (ტაროცი 80), ტორიჩელი, დი ლივიო (როსიტო 73), კოისი (ამოროზო 83), ჰაინრიხი, კოშტა, მიატოვიჩი, ბატისტუტა

გაფრთხილება: კოისი, ტოლდო

მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, ჯუკიჩი, პელეგრინო, კარბონი, გონსალესი, მილა (ანგულო 26), ხ. ლოპესი, ფარინოსი, კ. ლოპესი, ილიე (სანჩესი 80)

გაფრთხილება: ლოპესი

მწვრთნელი: ეკტორ კუპერი

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

მანჩესტერი 2:0 ბორდო

1:0 გიგზი (42), 2:0 შერინგემი (84)

მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, სტამი, სილვესტრი, ირვინი, ბექემი, კინი (ფორჩუნი 87), ბათი, გიგზი (სოლსკიაერი 87), შერინგემი, კიული (ფ. ნევილი 81)

გაფრთხილება: გიგზი, ირვინი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ბორდო: რამე, გრენე, მარტინსი (ზიანი 68), აფანუ, ალიკარტე, ბონისელი, პავონი, დიაბატე, მიკუ, ლასლანდი, ვილტორდი

გაფრთხილება: რამე, ალიკარტე

მწვრთნელი: ელი ბოპი

მსაჯი: ჰარვუტ სპრტამპე (გერმანია)

59 786 მაყურებელი

ფიორენტინა	3	2	1	0	3:0	7
მანჩესტერი	3	2	0	1	5:2	6
ვალენსია	3	1	0	2	3:4	3
ბორდო	3	0	1	2	0:5	1

REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ბორდო 2:0. მანჩესტერელი როი კინი (მარცხნივ) და ბორდოელი მიშელ პავონი

REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — პორტუ 4:2. ბარსელონელი პატრიკ კლუივერტი თანაგუნდელ რივალდოს (მარჯვნივ) გოლის გატანას ულოცავს

ჰოლანდიელის ინგლისური მუქარა ფრანგის იტალიური სიფრთხილე

UEFA CUP

უეფას თასი. მერვეფინალი. I წრე

REUTERS პალმა დე მალიორკიდან

მონაკოელები ფრანსისკო დაკოსტა და ფაბიენ ბარტეზი (მარჯვნივ) პალმა დე მალიორკაში

ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერი, „დეპორტივო“ დღეს, უეფას თასის მეოთხე ეტაპზე, ლონდონის „არსენალს“ ხვდება.

„მათი მცველები ერთობ წინ დგებიან, რაც ხეირიანი კონტრშეტევებისას შეიძლება კარგად გამოვიყენოთ“ — თქვა მწვრთნელმა, ხავიერ ირურეტამ.

მოსალოდნელია, რომ ირურეტა ჩვეულ სასტარტო შემადგენლობასთან შედარებით ერთგვარად შეცვლილ გუნდს გაიყვანს, რათა შაბათს, პრიმერადივიზიონში, „მალაგას“ გადაღლილი გუნდით არ დაუხვდეს.

ამასობაში, „არსენალის“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი დენის ბერხკამპი ამბობს, რომ მას და მის მეგობრებს შინაური კედლები დიდ დახმარებას გაუწევს:

„მეტოქეს ნამდვილ ინგლისურ სტადიონზე, ნამდვილ ინგლისურ ფეხბურთს ვაჩვენებთ“

„დეპორტივოს“ თანამემამულე, „სელტა“, ასევე დიდი ამოცანის წინაშე დგას — ტურინში „იუვენტუსს“ უნდა შეხვდეს. „სელტას“ მწვრთნელს, ვიქტორ ფერნანდესს, არ ეყოლება არგენტინელი თავდამსხმელი მარიო ტურდო და იუგოსლავიელი მცველი გორან ჯოროვიჩი. ისინი დაშავებულნი არიან.

სერია A-ს ლიდერი, „იუვენტუსი“ კი, ალბათ, რამდენიმე წამყვან მოთამაშეს დაასვენებს. მაგალითად, ვეტერანი მცველი ჩირო ფერარა, როგორც ჩანს, მატჩს ტრიბუნიდან ადევნებს თვალს. მის ნაცვლად ზორან მირკოვიჩის გამოჩენას ელიან, აგრეთვე მოსალოდნელია, რომ ზინედინ ზიდანი ხუან ესნაიდერს დაუომობს ადგილს.

ფაქტობრივად გადაწყვეტილი გახლავთ ალესანდრო დელ პიეროს დასვენებაც. დელ პიეროს ნაცვლად კიდევ ერთი იუგოსლავიელი დარკო კოვაჩევიჩი ჩაერთვება საქმეში და შეეცდება უეფას თასის წინა ეტაპებზე გატანილ გოლებს ერთი მაინც მიამატოს.

შეჯიბრებაში კიდევ ორი ესპანური გუნდი მონაწილეობს. ესენია მადრიდის „ატლეტიკო“ და „მალიორკა“.

„ატლეტიკო“ ფრანგულ „ლანსს“ მასპინძლობს და მისი მწვრთნელის, კლაუდიო რანიერის ნათქვამს თუ დავაკვირდებით, დავასკვნით, რომ ის სამი თავდამსხმელით აპირებს თამაშს. რანიერის ტრიო ასეთია: ხუან ვალეროონი, კიკო ნარვაესი და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი.

„ლანსს“ ვეტერანი მცველი ერიკ სიკორა უბრუნდება, რომელმაც საზარდულის ტრავმა მოიშუშა. მოედანზე გამოჩნდება განელი ალექს ნიარკოც. მას აფრიკის თასის შემდეგ ფრანგულმა გუნდმა დასვენების საშუალება მისცა.

„მალიორკას“ მწვრთნელი ფერნანდო ვასკესი კი, ალბათ, ნაცად ნახევარმცველს, იოვან სტანკოვიჩს დაეყრდნობა. მასთან ერთად საკვანძო ფიგურა იქნება თავდამსხმელი კარლოს დომინგუშიც. ეს ორი მოთამაშე „აიაქსთან“ დამარცხების შემდეგ მალიორკელთა ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად თამაშობს. „მონაკოსთან“ შეხვედრაში კვლავ სათადარიგოთა სკამზე იჯდება ნათხოვები კამერუნელი სამუელ ეტოო.

„მონაკოს“ თავკაცი, კლოდ პიუელი კი ამბობს, რომ მართალია მისი გუნდი, ბოლო სამ შეხვედრაში ორჯერ დამარცხდა, ამისგან ტრაგედიის შექმნა დაუშვებელია.

ცნობილი ფორვარდი დავიდ ტრეზეგე: „მალიორკელებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ. მათი ფეხბურთელები მეტისმეტად ნიჭიერები არიან, ხოლო მთლიანობაში ტაქტიკურად გამართულად მოქმედებენ. მე თუ მკითხავთ, მათთან თამაში ჩვენთვის დიდი გამოცდაა, მით უფრო, რომ „მალიორკა“ ძალიან განსხვავდება იმ გუნდებისგან, რომლებსაც საფრანგეთის ჩემპიონატზე ვხვდებით“.

„მონაკოს“ მხოლოდ ორი ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული, ბელგიელი ფილიპ ლეონარი და მარცხენა მცველი ბრუნო ირლე.

„ლიდს იუნაიტედს“ კი რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ მოუხდება თამაში. მოგეხსენებათ, იტალიელებმა „ლიდსი“ გასულ სეზონში იმავე თასის გათამაშებას გამოთიშეს — რომში 1:0 მოუგეს, ხოლო „ელანდ როუდზე“ 0:0 ითამაშეს. მიუხედავად ამისა, „რომას“ ფრანგი მცველი, ვინსენ კანდელა ფიქრობს, რომ ერთგოლიანი უპირატესობა ამჯერად საკმარისი აღარ იქნება.

„ინგლისელები ახლა გაცილებით ძლიერად თამაშობენ, ვიდრე შარშან და ჩვენი შეხვედრა დიდ ბრძოლას მოასწავებს. ჩვენ დიდი საფრთხე გველის. „ლიდსი“ კონტრშეტევისას დიდებულია და ვშიშობ, რომ მაშინდელივით 1:0-ის მოგება აღარ გვეყოფა“ — თქვა კანდელამ.

მოსალოდნელია, რომ ლიდსელები რომში ერთადერთ თავდამსხმელს, მაიკლ ბრიჯისს ათამაშებენ. ბრიჯისი ამბობს:

„როგორც ჩვენ, ასევე რომაელებს მოწინააღმდეგეთა მალე გატეხვა გვიყვარს და ამიტომ, წესით, ძალიან საინტერესო შეხვედრა უნდა გამოგვიდეს. თუ გოლის გატანას მოვახერხებთ, დიდებული იქნება“.

გერმანული დორტმუნდის „ბორუსია“ თურქულ „გალათასარაის“ მასპინძლობს. აღსანიშნავია, რომ ზამთრის არდადეგების დროს დანიშნული ახალი მწვრთნელის, ბერნდ კრაუსის ხელში დორტმუნდელებს ერთხელაც არ მოუგიათ. ამასთან, მათ არ ეყოლებათ მუხლნატკენი კაპიტანი შტეფან როიტერი.

„გერმანულ გუნდს პირველად როდი ვეთამაშებით — იმედიანად განუცხადა ჟურნალ „ფოტომაკს“ „გალათასარაის“ მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა — თანაც დუელი ერთმატჩიანი როდია და პლუს ჩვენი ძალები კარგად მოგვეხსენება“.

ოსიან შაინი, როიტერი

ბელგია
გადადებული მატჩი

ბეერსხოტი 0:0 ლოკერენი

შოტლანდია
სელტიკი 6:2 დანდი

მოზერუელი 0:2 ჰარტსი

ინგლისი
პირველი დივიზიონი

პორტსმუთი 1:2 ტრანმერი

ანატოლი მილჩენკო: მსაჯები მზად არიან

თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, ეროვნული ჩემპიონატის განახლებას სურლ მზადყოფნაში ხვდებაო, პირველ რიგში მსაჯები არიან. ფაქტია, შავოსნები მუხლჩაუხრელად ემზადებოდნენ სეზონის მეორე ნაწილისთვის. სფფ-ს და საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელთა თანადგომით წლეულს ქართველმა მსაჯებმა ჩვენში დღემდე არნახული შეკრება და სანვრთნელი პროცესი მოაწყვეს. ისე, ხუმრობა იქით იყოს და საშუასეზონო პერიოდი მომზადების თვალსაზრისით შავოსნებმა ბევრ ჩვენებურ გუნდზე ნაყოფიერად გამოიყენეს. დამაგვირგვინებელი შეკრება სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა თბილისში, სასტუმრო „შევარდენში“ და მის ახლომდებარე მოედანზე მოაწყო. 26 თებერვალს მსაჯებმა გენერალური ტესტირება გაიარეს, მომდევნო დღეს კი სფფ-ს ხელმძღვანელთაგან თავდაუზოგავი შრომისთვის მილოცვა, საჩუქრები და სხვადასხვა სახის ჩინებიც კი მიიღეს. დაწვრილებით ამასთან დაკავშირებით სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის უფროსი ანატოლი მილჩენკო გვესაუბრება:

ბადრი კეთილაძის ფოტო

— წლეულს როგორც არასდროს, ისე ვიშრომეთ, ეს პირველ რიგში ფეხბურთის ფედერაციის დამსახურებაა, მართლაც რომ ნაყოფიერი მზადება გავიარეთ და მჯერა, ამის შედეგები ეროვნული პირველობის მატჩებშიც გამოჩნდება. 26 თებერვალს გენერალური ტესტირება ჩავატარეთ, შემოგვიერთდნენ ნაავადმყოფარი მსაჯებიც, მხოლოდ სამ არბიტრს არ ჩაუბარებია ტესტები ოჯახური პირობების გამო. ალექსანდრე შილაკაძე, მერაბ მალაღურაძე და ოთარ გუნთაძე გვაკლდნენ, ისინი 10 მარტს ჩაბარებენ გამოცდას.

— პირველ ტესტირებაზე ბევრმა მსაჯმა არცთუ დამაკმაყოფილებელი შედეგი აჩვენა...

— იმ ტესტირების შემდეგ ჩვენ კვლავაც განვაგრძეთ მზადება და ეს 26 თებერვალის გამოცდაზეც აისახა. საოცრად მონდომებულნი იყვნენ მსაჯები და არცთუ ურიგო შედეგები აჩვენეს. მოკლე დისტანციებზე ბადალი არ ჰყავდა კახა მესხს. კუპერის ტესტის ჩაბარებისას კი რეკორდი დაამყარა ზურაბ ხეცალემ, მან ქართველი არბიტრისთვის ფანტასტიკური შედეგი აჩვენა და 12 წუთში 3100 მეტრის დაფარვა შეძლო. მოხარული ვარ, რომ ახალგაზრდებმა გამიმართლეს, ვგრძნობ, მათი სახით ღირსეული ცვლა იზრდება.

— არაფერი გითქვამთ ვეტერან არბიტრებზე...

— მათაც გამოიჩინეს თავი და კარგი მაგალითი მისცეს ახალგაზრდებს. მშვენიერ ფორმაში არიან თამაზ ლაცაბიძე და სერგო კვარაცხელია... ერთიც მინდა ვთქვა, შეკრების აღმოჩენა იყო მალხაზ მაისურაძე, სხვათა შორის, მან რამდენიმე დღის წინ საუცხოოდ განსაჯა „ვიტ ჯორჯია“ — თსუ-ს სათასო მატჩი და მჯერა, იგი წლეულსვე დაატყობს კვალს პირველი ლიგის თამაშებს.

— ბატონო ანატოლი, ამას წინათ სფფ-მ და მსაჯ-ინსპექტორთა კომიტეტმა ფიფაში ქართველი მსაჯებისთვის დამატებითი ადგილების გამოყოფა ითხოვა, რა პასუხი მიიღეთ მათგან?

— დღეისათვის საქართველოს ფიფას სამი არბიტრი ყავს — სერგო კვარაცხელია, მერაბ მალაღურაძე და ლევან ფანიაშვილი, რაც შეეხება ფიფას ასისტენტების რაოდენობას, იგი ექვსამდე გაიზარდა. ეს მსაჯები არიან: კახა მესხი, მამუკა ელიკაშვილი, ლევან მიქელაძე, კობა გაბრიაძე, ზურაბ დოლიძე და გურამ ჩიგოგიძე.

— 27 თებერვალს ქართველ მსაჯებს სხვადასხვა კატეგორიის ჩინები დაურიგდათ.

— ვფიქრობ, ამით კარგი საქმე გავაკეთეთ, რადგან მსაჯს დამსახურება არ უნდა დაეკარგოს, თანაც ეს მეთოდი, ჩემი აზრით, კონკურენციასაც გაზრდის, რადგან შედარებით დაბალი ჩინის მსაჯს მეტი სტიმული მიეცემა დაწინაურებისათვის და თავის გამოჩენისთვის. სხვათა შორის, სხვადასხვა კატეგორიების შესაბამისი ემბლემებისთვის რამდენიმე დღის წინ სფფ-ს გენერალურმა მდივანმა, ვალერი ჩოლარიამ მოსკოვში ერთ-ერთ ორგანიზაციას შეკვეთაც მისცა. ფედერაციის შეწევნით ატესტაციის ბოლოს უკლებლივ ყველა მსაჯს საჩუქრად შვეიცარიიდან გამოგზავნილი სპორტული ქურთუკები გადაეცა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია — სფფ-მ დიდი დახმარება გაგვიწია...

— რას გულისხმობთ?

— თქვენ იცით, რომ ჩემპიონატის პირველ ეტაპზე პირველ ლიგაში მომსახურე მატჩის არბიტრი 170 ლარს იღებდა, ამიერიდან მათი ანაზღაურება სფფ-ს ძალისხმევით 200 ლარამდე გაიზარდა. მოიმატა რეგიონალური ლიგის მატჩის არბიტრის ხელფასებიც — 130 ლარიდან 150 ლარამდე. ხელფასი სათადარიგო მსაჯებსაც 70-იდან 100 ლარამდე გაეზარდათ. მოკლედ, ფედერაცია ძმლავრად გვიდგას გვერდით. გარდა ამისა, ერთი სიახლეცაა, უწინ მგზავრობის ხარჯებს ჩვენი ხელფასიდან ვიღებდით, წლეულს ამაზეც სფფ იზრუნებს.

— თუ არ ვცდები, სიახლეა ჩვენში მსაჯობის წესებშიც...

— დიახ ასეა, მაგრამ ეს სიახლე შედარებით უმნიშვნელოა, ამიერიდან, თუ მატჩის დროს ფეხბურთელი მაისურს გაიძრობს, ჩვენ მას ყვითელი ბარათით „დავასაჩუქრებთ“ და ფულადი ჯარიმითაც დავსჯით. თუ მატჩის დროს არბიტრი დაშავდა, მას სათადარიგო მსაჯი შეცვლის.

— ბატონო ანატოლი, როგორც ცნობილია, ამიერიდან ამა თუ იმ მატჩზე მსაჯთა ბრიგადა კენჭისყრის წესით შეირჩევა, თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

— ამ პრინციპით მსაჯების დანიშვნა ზოგიერთი გუნდების მესვეურთა ინიციატივაა, მაგრამ არა მგონია, ამან გაამართლოს თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენში ბევრია თბილისელი მსაჯი. როცა დედექალაქის გუნდი სხვა ქალაქისას დაუპირისპირდება, შესაძლოა კენჭისყრის შგედეგად ელემენტარულად ნეიტრალური პრინციპი დაირღვეს. არადა, წინ რამდენი მნიშვნელოვანი მატჩია...

ვერაფერს იტყვი, მსაჯების გარჯა და მათდამი სფფ-ს თანადგომა მართლაც მისასალმებელია. დანარჩენს კი კარს მომდგარი მეორე ეტაპი გამოაჩენს, რომლის დაწყებამდე მხოლოდ და მხოლოდ ერთი დღეა დარჩენილი...

პაატა კვანტალიანი

ბადრი კეთილაძის ფოტო

მესამედ!

საქართველო — რუსეთი

აპრილში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საფრანგეთს გაემგზავრება და საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, იქამდე კი, რამდენიმე დღით ადრე ქართველი 21-წლამდელები ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავენ — საქართველოში რუსები ჩამოვლენ.

გუშინ საქართველოს ფედერაციამ რუსეთისას უპასუხა, რომ 29 მარტს შეუძლიათ მათი ჭაბუკების მასპინძლობა.

რომელ ქალაქში გაიმართება ეს მატჩი ჯერჯერობით უცნობია, სავარაუდოდ თბილისში, ქუთაისში ან ბათუმში. ფედერაციაში გვითხრეს, გვსურს ახალგაზრდებმა ქუთაისში, ხელოვნურგანათებიან სტადიონზე ითამაშონო.

ცნობისთვის, ქართველი და რუსი 21 წლამდელები ერთმანეთს მესამედ ხვდებიან. პირველად თბილისში ჩვენებმა 4:1 მოიგეს, მეორედ კი 1998 წლის 30 მაისს გორში უმასპინძლეს და 1:0 გაიმარჯვეს.

კოგა ინასარიძე

პატიოსნად ვიჯექი იმ საშინელ ყუთთან, ტელევიზორი რომ ჰქვია და ჩემპიონთა ლიგის მატჩს ვუცქერდი — კიევის „დინამო“ — „რუსენბორგი“. არა, გადასარევი არაფერი ხდებოდა უკრაინის „ოლიმპიისკზე“, მაგრამ ორი ჯიგარი თამაშობდა — ერთი ძველი, ერთი ახალი და უკეთესს ვის შევხედავდი. ის, ძველი, ჩვეულად იდგა თავის ფრთაზე, სწორად, ლამაზად. არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, მოკლედ ცარიელა კლასი რა, ეს ახალი კი... ღელავდა ბიჭი, აშკარად ეტყობოდა, რომ ღელავდა.

რომ მოიგებდნენ მე კი არა, მთელმა თბილისმა იცოდა, მაგრამ მოგებაცაა და მოგებაც — ჩვენების მუღამში ვიყავი. არც დამწყვიტეს გული — ამ შეეჩენკოს ადგილას მიყვანილმა ნორვეგიელი მცველი ისე ასრიალა თავისი „პად სებიებით“, გული კინაღამ გამიჩერდა. პაჭ, პაჭ, პაჭ, დაიწო ჯიგარი.

მერე კი ის იყო, მეორე ტაიმი დაიწყო და არამზადა რებროვმა, პასებს რომ უუმოტავდა ჩვენსას (ახალს), ზედ ცარიელი კარის წინ არ ჩაახუტა ბურთი დემეს? გოოლ! ვიყვირე და მსაჯმა რომ თამაშგარე აღნიშნა...

ღმერთთან

თვალი რომ გავახილე, მივხვდი, იქ ვიყავი, დედამიწიდან ძალიან შორს და მაღლა. მისის ბექემი ისევ მინიავებდა, ოღონდ ამჯერად ქართულის ნაცვლად გერმანული გაზეთი ეჭირა. „კიკერი“ იყო — პირველი გვერდიდან ბოსკამპი მიცინოდა და მისი ფოტოს ქვეშ იმხელა შრიფტით აეწყოთ სათაური, მივხვდი 10 თებერვლის ნომრით მანიპულირებდა ქალბატონი ადამს-ბექემისა. პირველი შეხვედრის გამოცდილებიდან გამომდინარე, ყოყმანი არ დამიწყია — ავდექი და ისე შევაჭერი მამაზეციერთან, როგორც შეეჩენკო შეაჭრის-ხოლმე მავანთა და მავანთ საჯარიმოებში.

უფალი უჩვეულო პოზაში დამხვდა — ფეხები მაგიდაზე შემოეწყო და „ნაიკის“ ახალ ბუცებს ქაცვებს უთვალიერებდა. მე რომ დამინახა, ფეხები ჩამოიღო და სუსხიანად მითხრა — ჯერ აკაკუნებენ და მერე შემოდიან. უკან შევბრუნდი, დავკაკუნე და შევედი.

— დაბრძანდიო. იმგვარად მომიგდო, დაეგდეს უფრო ჰგავდა. დავეგდე.

— რაღაც ნამეტანი ჩქარა მიდიმოდიხარ ზევით-ქვევით, „რეალი“ ხარ? — „უყურე შენ, ანგლობს კიდეც — გავიფიქრე და... — ბიჭო, ფიქრები გაფილტრე — ისეთი ტონით მითხრა მამაზეციერმა, „კარენიო ნახალოკელში“ ვერ გაარჩევდი. ამეებისთვის დრო არ დამიკარგავს და პირდაპირ ჯანყზე გადავედი — ღმერთო, ეს გთხოვე მაშინ? — რაზე მეუბნები? — დაავიწყდა ფიქრების გამოცნობა უფალს — ახლა რა დაგაკლდებოდა ვითომ, ის ბურთი რომ ჩაეთვალა მსაჯს? — რომელი ბურთი? — რომელი და ის „რუსენბორგთან“. უფალმა ერთი ღრმად ამოიხვნეშა და მაგიდაზე ღილაკს თითი დააჭირა. მისაღები ქსელში ჩაირთო და იქედან „სპაის გერლზის“ რომელიღაც მელოდია გაისმა, ვიქტორია ღიღინებდა — ჩაი! —ჩასძახა მამაზეციერმა — რომელი? — ჩინური! — ჩინელებმა ჩაის მოწოდება შეგვიწყვიტეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოგვახვედრეთ და კიო — ოოჰ, მაო ძე დუნ, შენ მოგეცა ჩემი ცოდვა — ამოიკვნესა უფალმა და რაცა გვაქვს ის მოიტანეო, უთხრა მისის ბექემს — მე ჩემსაზე ვიდექი — პასუხი არ გაგიცია — ბიჭო, შენ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში ხომ არ გეშლები. გგონია, ყველაფერი ვიცი? — აბა, მე ვიცი? — შენი არ ვიცი და მე ნამდვილად არა — შემრიგებლური ტონი გაურია საუბარში უფალმა. — არა, იცი — დავიჟინე — რა იქნებოდა ჩაეთვალა ის გოლი მსაჯს — ფიფაში შგარე იყო. — რობერტო კარლოსმა რომ ხელით გამოიტანა ბურთი? — დავუდარაჯდი მე — ის არაფერი იყო? — ზოგჯერ მსაჯი კი არა, მეც ვცდები — თქვა უფალმა და „როლექსის“ მარკის მაჯის საათს პერანგის სახელო ჩამოაფარა. — „რომადან“ მოგაწოდებდნენ — ჩავუკარი. ისე წამიყრუა, როგორც ქართველი მსაჯები წაუყრუებდნენ გორელ გულშემატკივრებს. — არ ვარგა ასე, მამაზეციერო, არა — ვუსაყვედურე — შენ ჩემს კრიტიკას მოეშვი, თორემ დაგტოვებ აქ და გამოგიწერ საგზურს, სადაც საჭირო, შევხედავ მერე ვის უქმაგებ. ამ ჩაის ადუღებასაც რომ არ დააყენა საშველი! — ხმას აუწია ღმერთმა და ერთხელაც დაჭირა ღილაკს ხელი — რას შვრები, ვიკა. — სულ დამავიწყდა — გაისმა მისაღებიდან და ოციოდე წამში მისის ბექემიც შემოკოწიავდა ფინჯნით ხელში. უფალმა ეჭვით ჩახედა ფინჯანს — სადაურია? მის ბექემმა ჩემსკენ გადმოაქნია თავი. — მარტინ ბაუერი? — არა, მწვანე ბაიხის — უპასუხა სამყაროს გოგონამ და რხევა-რხევით გავიდა. ისევ ამოიხვნეშა უფალმა, ჩაი მოსვა და იმგვარად დაიჭყანა, თითქოს ფალსიფიცირებული არაყი გადაეკრას.

— მომდევნო ტურში გაატანინებ? — ეს ეუთხარი და უფალი ისე აპილპილდა, რედონდოზე გაწეული რივალდო მონაგონი იყო. — ბიჭო თქვენ გადამრევთ, ჩემპიონთა ლიგაში ფეხბურთელები გყავთ? გყავთ — მოკეცა ერთი თითი — ქინქლაძე გაგიცოცხლეთ? კი — მოკეცა მეორეც — ყადაღა მოგიხსენით? ჰო, კიდევ რას მთხოვთ, რას შემიკალით ხელში ბოლოს და ბოლოს, მე ღმერთი ვარ, ბლატერი კი არა — ხელი გაჰკრა ფინჯანს უფალმა და ქართული ჩაის ძვირფასი წვეთები „გაძეტა დელო სპორტზე“ გაიშალა. — ვიქტორია, მაგიდა გამიწმინდე!' — დაჭირა ღილაკს ხელი ღმერთმა — ოოჰ! — მოისმა მისაღებიდან — ამან ხომ მთლად მომმითავა ხელი. ერთ თვეში თავისუფალი აგენტი ხდება და ხედავ როგორ იქცევა? — შემომჩივლა უფალმა. მერე იმ „როლექსის“ ფირმის მაჯის საათზე დაიხედა და შუბლში ხელი იტკიცა — აუუჰ, ათ წუთში ჰავანაში უნდა ვიყო, ექიმი შემოვლას იწყებს — სიტყვები არც კი დაესრულებინა — ჩემს წინ მჯდომი სპეტაკწვერიანი მოხუცი დიეგოდ გადაიქცა. — მარადონა? — ვთქვი და ვიგრძენი როგორ ამივიდნენ თვალები შუბლზე. — მე ვარ, მე, არ გითხარით, მაშინ ინგლისთან ღმერთის ხელი იყო-მეთქი? — მითხრა მამაზეციერმა და...

— რაული! დარტყმა! არის! — ამ სიტყვებმა გამომაფხიზლა. პირველად საქართველოში, პირველად ლეგალურად ჩემპიონთა ლიგის მორიგ მატჩს გადმოსცემდნენ.

კონსტანტინე გოგიშვილი

ღმერთო, გაატანინე!

რა ღირს გიორგი ქინქლაძე?

დერბის უკვე გადახდილი აქვს 1,5 მილიონი გირვანქა, თუმცა აიაქსი მეტს ითხოვს

გუშინ „დერბი ქაუნთის“ ქართველმა პლეიმეიკერმა გიორგი ქინქლაძემ ადგილობრივ გაზეთს განუცხადა, რომ ბედნიერი იქნება, როცა „დერბი“ ამსტერდამელებთან პრობლემებს მოაგვარებს და „დერბის“ სრულუფლებიანი წევრი გახდება.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ სეზონის ბოლომდე „აიაქსიდან“ გიორგი ქინქლაძის იჯარით აყვანა „დერბის“ 1,5 მილიონი გირვანქა დაუჯდა. ალბათ გახსოვთ, ნოემბერში ქინქლაძე ამსტერდამელმა კლუბმა „დერბიში“ იმ პირობით გაუშვა, რომ თუ ქართველი გაამართლებდა, ინგლისური კლუბი მას 3 მილიონი გირვანქად გამოისყიდიდა.

ახლა უკვე ცნობილია, რომ „დერბის“ გადასახდელი 1,5 მილიონიღა დარჩენია, თუმცა მოლაპარაკებებიდან ჩანს, რომ ჰოლანდიელები გაცილებით მეტს ითხოვენ.

გასულ კვირას „დერბის“ მენეჯერი ჯიმ სმიტი პირველად ალაპარაკდა გიორგის გამოსყიდვის თაობაზე. მისი თქმით, კლუბს ქინქლაძისა და ასევე ივჯარით აყვანილი ებრაელი ავი ნიმნის ყიდვა უფრო ძვირი დაუჯდება, ვიდრე ბელგიური „გენკიდან“ შტრუპარისა და შოტლანდიური „სელტიკიდან“ ბარლის გადმოყვანა, რომელთა ტრანსფერშიც „ცხვრებმა“ 6 მილიონი (თითოში — 3 მილიონი) გირვანქა გადაიხადეს.

დღეისათვის ცნობილი არ არის ზუსტად რამდენს მოითხოვდა თელ ავივის „მაკაბი“, თუმცა ფაქტია, რომ „დერბიმ“, რომლის ბიუჯეტშიც დიდი გარდვევაა, ქინქლაძე ირჩია. გუშინ კლუბმა უარი თქვა ებრაელი ავი ნიმნის ყიდვაზე. ფეხბურთელიც თელ ავივში დაბრუნდა.

„დერბიმ“ ნიმნის ივჯარაში 1,5 მილიონი გირვანქა გადაიხადა, რომელიც დაეკარგა. სამაგიეროდ, კლუბმა კიდევ მინიმუმ 1,5 მილიონი დაზოგა, რომელიც ავის გამოსყიდვას დასჭირდებოდა.

შეგახსენებთ, რომ ქინქლაძე „მანჩესტერ სიტიდან“ „აიაქსმა“ 5,5 მილიონ გირვანქად იყიდა და ახლა სწორედ ამ თანხის ამოღებას ცდილობს.

თავად გიორგის კი მტკიცედ გადაუწყვეტია „დერბიში“ დარჩენა. „ჩემი მომზადების დონით კმაყოფილი ვარ, დეკემბერში გრიპი მქონდა, რამაც ცოტა შემაფერხა, რომ ვფიქრობდი, 3 თვეში ფორმას დავიბრუნებდი, ეს პროცესი ოდნავ გაგრძელდა. სმიტიც და თანაგუნდელებიც შესანიშნავად მეპყრობიან, ჯიმი დიდი სპეციალისტია, იგი სწორად იქცეოდა, როცა თავიდან არ მათამაშებდა“ — აღნიშნა გიორგიმ.

ქინქლაძეს მხოლოდ ერთი პრობლემა აქვს: „თბილისის“ „დინამოში“ ყველაფერს ვიგებდით, „მანჩესტერ იუნაიტედივით“ ვიყავით, ასევე მინდა, ინგლისში ვიყო, ყველაფერი მოვიგოთ. არადა, აქაურობასთან მწარე მოგონებები მაკავშირებს. „მანჩესტერ სიტი“ ორჯერ გავარდა. თუ ისევე ვითამაშებთ, როგორც „სანდერლენდთან“ მეორე ტაიმში, ეს საშიშროება არ გველის. პანიკაში არ უნდა ჩავცვივდეთ. მთავარია, ვიბრძოლოთ და შინ მაინც მოვიგოთ თამაშები“.

სიმონ მენაგდე

გავიხსენოთ ქართველი!

სანამ საქართველოში ქართველები ცხოვრობენ, არავის დაავიწყდება აფხაზეთი. მოიგონებენ სოხუმის „ცხუმსაც“ და უმალ გაახსენდებათ კლუბის პრეზიდენტი გურამ გაბისკირია. კაცი, რომელმაც არაფერზე და არავისზე გაცვალა საქართველო და ქართული ფეხბურთი.

არსებობს ვიდეოფირი, რომელზეც სოხუმის დაცემის ბოლო წუთებია აღბეჭდილი. მთავრობის სახლიდან ჩეჩენ და აფხაზ ბოევიკებს გამოჰყავთ სოხუმის არმიმტოვებელი ჟიული შარტავა, გურამ გაბისკირია და მათი დაცვის ქართველი ბიჭები.

იმ ბიჭებს იქვე მოედანზე დახვრეტენ. ერთ-ერთი ბოევიკი გურამ გაბისკირიას მიეჭრება, უყვირის — ქართველობას უღალატე, ჩვენსკენ მოექეც...

გაფითრებული, მომხდარით გაოგნებული, მაგრამ მაინც გაწონასწორებული და ღირსებაშენახული ბატონი გურამის პასუხი: თქვენ ამას ვერასდროს ეღირსებით.

იტყვის ამ სიტყვებს და შვებით ამოისუნთქავს. ბრაზდება, შშაგდება მტერი. შარტავასა და გაბისკირიას იქვე მდგარ მიკროავტობუსში ჩასხავენ და...

ფირიც აქ წყდება. მას მერე არავის უნახავს „ცხუმის“ პრეზიდენტი. არც არაფერი შეგვიტყვია მასზე.

ვინ არ ჩაერია საქმეში, ვინ არ სცადა მისი ამბის გაგება, მაგრამ აფხაზები მუდამ ერთს გაიძახიან — ჩვენ არაფერი ვიცით მის შესახებ.

დღეს 2 მარტია, გურამ გაბისკირიას დაბადების დღე. ის ბევრს, ძალიან ბევრს ახსოვს. დღესაც არ ასვენებს მტერს და აგონდება მოყვარეს.

გურამ გაბისკირია

დღეს არსებობს აფხაზეთი ქართველების გარეშე. აღსდგა მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი სოხუმის „ცხუმი“. იქნებ ბატონი გურამიც... სანამ გარდაცვლილი არავის უნახავს, ის ცოცხალია და ჩვენც ვულოცავთ დაბადების დღეს, კაცს, რომელსაც არასდროს უღალატია საქართველოსთვის, ქართველობისთვის, ქართული ფეხბურთისთვის.

დიალოგი აქტუალურ თემაზე

გურამ დილეანი-ბაგბილის ფოტო

მეტი რაღა ქნას მიხეილ ქორქიამ...

არა, ძმიშვილო, არა, ასე არაფერი გამოგვივა. ვუყურე იმ სუპერთასს, თუ რაცაა და, მართალი გითხრა, მომეკვდა გული. ესაა, ბიძიკო, ფეხბურთი, ეს გუნდები იბრძვიან ჩემპიონობისთვის?! რას გავდნენ ან ერთი, ან მეორე, ან ფეხბურთელი სად იყო, ან მწვრთნელი... კარგი „დინამო“ მწვანეა და მკვახეა ჯერ — ახალი ფეხბურთელები მოუმრავლდა და სანამ ეგენი შეთამაშდებიან, ბევრი წყალი და მატჩი ჩაივლის კიდევ. მაგრამ ამ ქუთაისელებს რა მოუვიდათ, ეს ვერ გავიგე, ესაა, ჩემპიონთა ლიგაზე მოფიქრალი გუნდი? არადა, კარგა ხანია, ერთად თამაშობენ და მათ შეუთამაშებლობაზე რაღაცეების დაბრალება სასაცილოა.

მეცოდება, მაგრად მეცოდება ჩვენი ფეხბურთელების ხელში ის ფულიანი ხალხი, ბიძიკო, ახლა ქართულ ფეხბურთში ფულის ჩადებას კაი მამაცი გული უნდა და მერე რა ფულზეა ლაპარაკი... სტადიონებს აშენებენ? აშენებენ, ბაზებს აწყობენ? კი, ბატონო, ხელფას-პრემიებს არიგებენ? ნეტა, ჩვენც მოგვცა მაგდენი, ჰოდა, მეტი რა ქნას, ბიძიკო, ამ ხალხმა, მართლა პრემიერლიგას და. სერია A-ს ხომ არ გადმოიტანენ საქართველოში...

ყველა კაცმა პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა იცხოვროს, ბიძიკო. როცა ხედავ, კაცი პატივს გცემს, სხვათაგან გარჩევს და შენი ხელშეწყობით საქმის კარგად გაკეთება სურს, ხელი როგორ უნდა შეუშალო. ბოლოს და ბოლოს, მისი მოცემული ფული გაჭმევს ჰურს. ხვალეზეც ხომ უნდა დაფიქრდე, მამაცხონებულო. მოდი და ამოუვიდეს ერთ დღეს ყელში ყველაფერი, ჩაიქნიოს ხელი და გაქცეოს ზურგი, მარტო მისთვის იქნება ეს ცუდი? არა ხომ? ჰოდა, მეც მანდა ვარ, ჯობია ჭკუას წიხლი დააჭიროს ყველამ.

ისევე „ტორპედოზე“ მოვიყვები, სხვაგან გაქცევა არ გვჭირდება, ქუთაისშიც მშვენივრად ჩანს ყველაფერი. გაგეგონება, და არაა ის დრო შორს, როცა დაშლის პირას იდგა გუნდი. აბა, მერიაო, აბა, ესაო, აბა, ისაო, ტყუილი ლაპარაკი იყო, შენ ნუ მომიკვდები. ხელფას-პრემიას ვინ ჩივის, ფორმა და ბუცი ენატრებოდათ ფეხბურთელებს — ვინ არ შეაწუხეს, ვის არ მიმართეს, რაზე არ მიდიოდნენ — ოღონდ ფეხბურთი გვათამაშეთო და... მეტი არ იყო ჩემი მტერი. იმათთვის ვინმეს არ ეშველა — ფეხბურთისთვის ეცალა მერიას და რეგიონს მაშინ? მაშინ კი არა, ახლა არ სცალიათ, რომ ვუკვირდები.

გავიდა მერე დრო და მოვიდნენ საქმის მკეთებელი კაცები — ჯერ ერთი, მერე — მეორე. მე თუ მკითხავ, „ტორპედოს“ წინანდელ და ახლანდელ პრეზიდენტებს შორის მასშტაბებშია სხვაობა, თორემ ერთნაირად საჭირო საქმეს აკეთებდა პირველი და აკეთებს მეორეც. ხუმრობა საქმეა, ძმიშვილო, ამხელა გუნდის შენახვა ამ არეულ დროში? მათი მეშვეობით წამოიჭიტა ისევ ქუთაისური ფეხბურთი, მოგებას და ევროსარბიელს გაუგო გემო, ქუთაისელი ქომაგიც რის ქომაგია, თავის „ტორპედოს“ არ დასდგომოდა გვერდით — გაჭირვებაში არ უგანა და დალხინებაში მოშორდებოდა სტადიონს?! ჰოდა, წყაროსთვალივით წამოსულ საქმეს ახლა რომ შეუდგეს წყალი, სხვას არ ვიტყვი, საცოდაობაა უბრალოდ. ფეხბურთელებს და მათ მწვრთნელებსაც ზუსტად ამაზე მართებთ დაფიქრება — ცოდვაა შუაგზაზე მიტოვებული საკეთებელი.

ახალი არაა ეგ ყველაფერიო? ჰოდა, მით უარესი, ბიძიკო, სენი მოგვძლიერებია და ეგ არის. ეს მოძლიერებული სენი ძვალსა და რბილში გაგვიჯდება მალე და სანახავი მერე ნახე...

ისევ შიშით და ჯარიმებით თუ გააღწევ ამ ხალხთან რამეს. უეჭველია ეგ, თორემ სხვანაირად არ გამოვა არაფერი. ეტყობა, არაა საჭირო ახალი ველოსიპედების გამოგონება, ყველაფერი გამოიგონეს ევროპაში და ჩვენც ნუ მოვიკლავთ თავს ფიქრით. დაახარჯე, კაცად აქციე, ჩააცვი და დააპურე ხომ, კი, ბატონო, გერგება და საპასუხოც შეგიძლია მოითხოვო. არ არის ეგრე ადვილადო, ამბობ, აბა, როგორაა, ძმაო და შვილო, ეგება შენ ამიხსნა. საქმე რაშია იცი? ფსიქოლოგიაში. უნახავმა რა ნახაო, ხომ იტყვიან ჩვენში. ე, ზუსტად მასეა საქმე. ნახა ახალგაზრდა კაცმა ფული, მანქანა, გავლა-გამოვლა და დაემართა კიდეც ის ვარსკვლავის ავადმყოფობაა თუ რაღაცა, მაგას თავში ავარდნასაც ეძახიან ჩვენში. მერე ამ ფულიან და მანქანიან ყმაწვილებს ამ გაოხრებული ცხოვრების ფონზე ცოტათი კიდევაც ეხამუშებათ კვართ-ტრუსებით სტადიონზე სირბილი და აქედან იწყება ფეხბურთელის უბედურებაც... კაცი საქმეს ბოლომდე უნდა ეყო, ბიძია, არც არაფერმა უნდა გაგაკვირვოს, გინდა ფეხბურთელი იყავი და გინდა კოსმონავტი, რას გააკეთებ ახლა იმნაირს, რაც მარადონას ან გაგარინს არ ჩაუდენიათ? ვერაფერს ხომ, კარგია რომ მეთანხმები.

იმ ფულიანი კაცების ადგილას კი მე ცოტა მოსართავებს მოვუჭერდი და მათრახს დავაგრძელებდი — არ გამოდის საკეთებელი სხვანაირად. თავზე ხელის გადასმა და დაყვავება რომ შველოდეს საქმეს, „იუვენტუსის“ და „მანჩესტერის“ მამებს ახლა ხელისგულებზე ტყავი უნდა ჰქონდეთ გადამძვრალი. დალოცვილებო, რივალდო მიაბრძანეს სკამზე და აუწიეს ყური, ხომ ხედავთ, ჩვენ რა გარდანქეშანები გვყვანან ასეთი.

ა, ეს მინდოდა, შენთვის მეთქვა. ბიძიკო, როგორც ყოველთვის, არც ახლა ვარ ოქროპირი ეგება, მაგრამ მისახვედრს მიხვდებოდი, მგონია.

ენდე, მაგრამ შეამოწმეო, ასე გვზრდიდნენ ჩვენ, ძმიშვილო, ვფიქრობ, არაა ცუდი ამგვარი რამ. მაგარ ხელს რომ იგრძნობენ, ეგებ მოვიდნენ აზრზე.

სუპერთასი კი, ღმერთმა მოახმაროს „დინამოს“, კაი ხანია, ასე დამსახურებულად არაფერი მოუგიათ მაგათ.

კონსტანტინე გოგიშვილი

ფოცხვერიას ცხრა მთას იქით გზავნიან

შახტარის თავკაცებისგან გასაკვირი აღარაფერია

ადრე გაუწყებდით, რომ დონეცკის „შახტარის“ ქართველი ფორვარდის მიხეილ ფოცხვერიას ბედი არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში უნდა გადაწყვეტილიყო. სწორედ იქაურ შეკრებაზე უნდა გაერკვიათ მწვრთნელებს, განათხოვრებდნენ ჩვენებურს, თუ გუნდში დატოვებდნენ. საამიროებში ფოცხვერიას მხოლოდ ერთ საკონტროლო შეხვედრაში მისცეს თავის გამოჩენის საშუალება და ნათელი გახდა — „შახტარი“ მიშას კვლავ უმოწყალოდ მოექცა.

სამაგიეროდ, დონეცკელთა კლუბის თავკაცობამ „დიდსულოვნება“ გამოიჩინა ატელკინის, ბახარევისა და სტაროსტიაკის მიმართ. არადა, ფეხბურთელთა ამ ტრიომ არაბთა ქვეყანაში 5-დღიანი პატიმრობაც მოასწრო. მათ თურმე ბაზიდან უახლოესი ქალაქის რესტორან-კაზინოში მოინდომეს განავარდება, ტაქსი დაიკავეს და დანიშნულების ადგილს 30 დრაჰმის საფასურად მიაღწიეს. ეტყობა, ვიკტორ პროკოპენკოს შეგირდებს აზარტის ჭია შეუჭნდათ და მანამ ვერ მოსწყდნენ სათამაშო მაგიდას, სანამ ჯიბეები არ დაუცარიელდათ. ბაზაზე დასაბრუნებლად კვლავ ტაქსში მოკალათდნენ და როცა შეიტყვეს, რომ სულ რაღაც ხუთწუთიანი მგზავრობის შემდეგ მძღოლი 60 დრაჰმას ითხოვდა, მანქანის გაჩერება მოსთხოვეს. პირველად სალონი ბახარევმა და სტაროსტიაკმა დატოვეს. ის იყო, ატელკინიც იგივეს აპირებდა, არაბი მძღოლი შახტარელს ქეჩოში სწვდა, აქაოდა, ფული გადამიხადეთო. იტალიური „ლეჩეს“ ყოფილმა მოთამაშემ იუკადრისა მისი შეხება და წინააღმდეგობა გაუწია. საქმეში ბახარევი და სტაროსტიაკიც ჩაერევნენ და ატყდა ერთი ამბავი. უმცირესობაში დარჩენილ არაბს სულზე მიუსწრო პოლიციამ და პროკოპენკოს შეგირდები ხელბორკილებით საჭირო ადგილას მიაბრძანა.

ამის თაობაზე „შახტარის“ ხელმძღვანელობას აცნობეს. მოლაპარაკებების შემდეგ კლუბმა 1500 დოლარი ჯარიმა გადაიხადა, თუმცა დონეცკელთა ტრიო კამერაში ხუთი დღე აყურყუტეს და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით გაათავისუფლეს. სასჯელმოხდილებმა პირდაპირ კიპროსს მიაშურეს და კუნძულზე გადაბარგებულ თანაგუნდელებს შეუერთდნენ. იქ კი იცოცხლეთ, საკონტროლო შეხვედრებში ძირითადში თამაშობენ და მწვრთნელებსაც ისე მოაქვთ თავი, თითქოს არაბ ტაქსისტს დაეჩაგროს ბიჭები...

ჰოდა, ჩვენც აღარ გვიკვირს „შახტარის“ თავკაცთა ესა თუ ისე გადაწყვეტილება. არც ის გაგვკვირვებია, მიხეილ ფოცხვერიას სამხრეთ კორეაში შესაძლო განათხოვრების შესახებ რომ შევიტყვეთ. არადა, როგორც იცით, ჩვენებურს ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ უპირებდნენ გაშვებას მცველთა დუეტ — ჩიჟევსკისა და ბენიოსთან ერთად.

გამოდის, რომ „შახტარის“ ხელმძღვანელობას ფოცხვერიას უკრაინული ჩემპიონატიდან საერთოდ ჩამოცილება მოუნდომებია და მცველ ლეონოვთან ერთად ცხრა მთას იქით გზავნიან. ამაოდ იკითხავთ — რამ მოაფიქრებინათ ეს?

ხვიჩა სანიკიძე

მსოფლიოს ჩემპიონატი უქართველებოდ ჩაივლის

გუშინწინ, გვიან ღამით, საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეორე შეხვედრა ჩაატარა მასპინძელ ხორვატიასთან. ქართველები ქვეჯგუფის ფავორიტებთან მშრალი ანგარიშით დამარცხდნენ — 0:4.

შეგახსენებთ, რომ პირველ შეხვედრაში ლევან ყიფიანის გაწვრთნილებმა აზერბაიჯანელებთან მატჩის ბოლო წუთზე პატარა სასწაული მოახდინეს — მეტოქეს ორბურთიანი სხვაობა გაუქვითეს, 6:6 ითამაშეს და იქაურებში ბევრი გულშემატკივარიც შეიძინეს.

გუშინ ქართველები მასპინძლებს ეთამაშებოდნენ და რა გასაკვირია, რომ უგულშემატკივროდაც და პრინციპში უშანსოდაც დარჩნენ, რადგან ხორვატები ფუძალის ეგიდით ბოლო დროს წარმატებით ასპარეზობენ (ისა, დიდ ფეხბურთშიც ხომ არა უშავთ?) თანაც მეტოქეს შინაური კედლებიც უმაგრებდა ზურგს და მათაც ეს შანსი ბრწყინვალედ გამოიყენეს.

ექვსი ქულა დააგროვა ჩეხეთის ნაკრებმა და ალბათ ამ ორ გუნდს შორის საუკეთესო გაემგზავრება მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

მართალია, საქართველოს ნაკრებს კიდევ ორი შეხვედრა აქვს ზაგრებში ჩასატარებელი ჩეხებთან და ბერძნებთან, მაგრამ ეს მატჩები ჩვენი გუნდისთვის პრაქტიკულად არაფერს წყვეტს, რადგან, ტურნირის რეგლამენტით, ქვეჯგუფიდან ერთი საუკეთესო გუნდი გადის ფინალურ ეტაპზე.

ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში ქართველთა გარეშე ჩაივლის.

პაატა კვანტალიანი

საშუასეზონო მიდი-მოდი

I–VIII	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*	მაზანიშვილი(სიონი),ჩაბერიძე,სტურუა(სამგურალი),ვ.მისურაძე(თბილისი),კ.ჯანაშია(იბერია)	თავბერიძე (ინტერი)	ქიზმეთესფორი(თურქეთი)5:0,შინკი(რუსეთი)0:1,ნოსტა(რუსეთი)2:2,ვენტასპილსი(ლატვია)2:1,ანთალია 2(თურქეთი) 3:1,იესილი (ყაზახეთი)0:0,ლევსკი(სოფია,ბულგარეთი) 1:2, ყაზახეთი 2:2, დუსტლიკი (უზბეკეთი) 4:3, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:3,სამგურალი4:0
დინამო *ითარ კირდასიძე*	აშვეთია,ანჩაბაძე(ალანია,რუსეთი),ალეკსიძე(ჩელსი,ინგლისი),ლომაია(ლოკომოტივი), ბორკიშვილი(მელანცა,პეტრინი,ბულგარეთი),ხომერიკი,ღლონტი(ბათუმი),თ.კობიაშვილი(ვიტვორვა),ვ.გიგიაძე,ს.გიგიაძე(ანჟი,რუსეთი),ხიზანეიშვილი(კრივბასი,უკრაინა)	ქემოკლიძე,ო.გველესიანი,რუხაძე,გ.ვ.მიქაძე,ა.ჩიხრაძე (თბილისი),დათუაძე(სიონი),შელია(მანჩესტერსიტი,ინგლისი), რ.არველაძე(ობერპაუზენი,გერმანია),ხუციშვილი(მერიფი,მოლდოვა), ჩხეიძე (არ თამაშობდა)	ვიტვორვა 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველოU21 2:2,ცაგდინამო(ყირგიზეთი)5:2,ვარხობი(ტაჯიკეთი)3:5,ირტიშასტუ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0, დეპრეკენი (უნგრეთი) 0:1, რუბინი (რუსეთი) 2:3, დინამო (რუმინეთი) 4:2, პოლონია (პოლონეთი) 2:3
კოლხეთი *გია ტყემალაძე*	დ. გოგოლაძე (ვენტასპილსი, ლატვია), ჭოხონელიძე (ზოოვეტი), მელაძე (გორდა),ბულუხია,გ.გიორგაძე(თამაშიმიატოვეს)	მ.ქობულაძე,შავგულიძე(ლოკომოტივი),გ.ჩიტაია(დილა),ფანჩულიძე,შ.ჩხენკელი(ტრავმისგამო ართამაშობდნენ),დ.კვირკველია,არასოვსკი(კოლხეთი2),რ.ახალკაცი(შუმენი,ბულგარეთი)	ნივა(ტერნოპოლი,უკრაინა) 1:1,სტალი(ალჩევსკი,უკრაინა) 0:1, 1:1,პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, 0:2, ობოლონ პპმ (კიევი, უკრაინა) 0:0, ჩალოვეცი (რუსეთი) 2:1
გათუმი *ვალი კარწყოლე*	პაპიძე , გადელია(თბილისი),კანტიძე(თამაშიმიატოვა), უვაკვე(?)	ხომერიკი,ღლონტი (დინამო),ჩლაიძე,თარგამაძე(არსენალი),პეტრიაშვილი (სამგურალი),სიდამონიძე (სიონი)	რეშეცა(რუმინეთი) 1:2,არეკო(იტალია)3:1,სტიაუა(რუმინეთი) 3:4,არეკეში(რუმინეთი) 1:2, ზაგლებიე(პოლონეთი) 4:1,ვისლა (პოლონეთი)3:2,თსუ 1:2
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი, ბარქაია, ხართიშვილი(თსუ), ა. ბოკერია (სიონი)	ლ.მელქაძე(თბილისი),ი.ხაჭაპურიძე(სამგურალი),თ.კობიაშვილი(დინამო)	ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ ხ4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველოU21 1:0,არსენალი2:1,ფეტდიქსფორი(თურქეთი) 3:1, სპორტული (რუმინეთი) 1:1, სლოგა (მაკედონია) 3:0, ნოდერეული (ესტონეთი) 0:0, პოგონი (პოლონეთი) 1:1, ჭაბუკიანი 1:0
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	დათუაძე(დინამო),დ.გოდერძიშვილი(ლოკომოტივი),ნ.მინდიაშვილი,ი.ნადირაძე (არსენალი), *ლ. გაგუა (ლუს, ლონდონეთი),* სიდამონიძე (ბათუმი)	მაზანიშვილი(ტორპედო),ისიანი(თბილისი),დაუშვილი(არსენალი),ბ.შენგელია(ივერია),კ.გოგოლაძე (ერევანი,სომხეთი), ა. ბოკერია (ვიტ ჯორჯია)	ვიტ ჯორჯია 0:1,არსენალი 1:1, 1:3,ვორდა 1:1,0:0,ზოოვეტი 8:2, თბილისი 4:1
დილა *მერაბ კოტლაშვილი*	გ. ჩიტაია (კოლხეთი),თაყაძე(მერიფი,მოლდოვა),მარლიშვილი,შატაკიშვილი(?)	საყვარელიძე (დილასსკოლა)	ვიტ ჯორჯია 0:1,ლოკომოტივი 3:1,თსუ 0:0,თბილისი 0:2, 1:0, მერანი 0:0, 0:5, არსენალი 1:1
იბერია *სოსო ფრუიძე*	კ. მეტრეველი (დნეპრი, უკრაინა), ზ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა),დარსაძე(სამგურალი),გ.ლურსმანაშვილი(ცხინვალი),ქველაძე(?)	გ. ნოზაძე, კ.ალანია (საუ), კ.ჯანაშია (ტორპედო)	სამგურალი 1:0,მარგვეთი 2:1,ჩკალოვეცი(რუსეთი)2:4

IX–XVI	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), *ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქუბაძე (რაკლინი, საბერძნეთი), ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი),* დ. ჯანელიძე, ნიფნიკაძე (არსენალი), ჩომახიძე (ნივა, ტერნოპოლი,უკრაინა),კ.მელქაძე, ამაშუკელი (თბილისი),ნემსაძე (კრივბასი,უკრაინა),დოლაბერიძე,ბარნოვი, გოგიჩაშვილი(?)	ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), დ. გოდერძიშვილი (სიონი),პარამონოვი (თბილისი 2),ქოქვეიშვილი(ალანია,რუსეთი), თოლორდავა(მერანი),ა.ჯელაძე (ალიტიჰადი,საუდეთი),გ.გვაზავა(თსუ),ონიანი (ზობი),ნიკურაძე, გულორდავა(გურია),მორჩილაძე,არეშიძე(ლოკომოტივი2),დეკდარიანი(ცხუმი),სალუქვაძე(გურია), გამცემლიძე(ართამაშობდა)	დინამო 2:1,დილა 1:3,მერანი 2:2, 0:1,თსუ 1:0,2:2,ასკ(ხაბაროვსკი,რუსეთი) 2:1,აეკ(ლარნაკა,კვიპროსი) 1:0, შერიფი(მოლდოვა)0:2,ლადა 3:3ზ(ტოლიატი,რუსეთი) 1:3
გორდა *ალანი ალადაშვილი*	ინასარიძე(თორი), ლ. ალადაშვილი(აპოლონი, საბერძნეთი),გ.ხიზანიშვილი (აკადემია),თელიაშვილი (?)	კ.ალადაშვილი(ვიტ ჯორჯია),ბედიაშვილი(თბილისი),გაბარაევი(მამული),დ.ნიკლაური,სულაშვილი, ძებისაშვილი, ლ. კაპანაძე (ხალიბი), ლ. სილაგაძე (სკონტო 2, ლატვია), მელაძე (კოლხეთი), ბურნაძე, *გ.კილასონია,* შ. მეტრეველი, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ)	სიონი 1:1,0:0,ხალიბი 4:3,3:2,2:0, ზოოვეტი 2:0
თსუ *თენგიზ კაკაია*	*ნინუა(მელანცა,პეტრინი,ბულგარეთი),*გ.გვაზავა(ლოკომოტივი),ჯობაძე (არსენალი),გ.ა.მიქაძე(აკადემია)	მაზიაშვილი, ბარქაია , ხართიშვილი(ვიტ ჯორჯია), ებრალიძე (თბილისი), სულავა (ნორჩი დინამოელი)	ვიტ ჯორჯია 4:6, ლოკომოტივი 0:1, 2:2, ამირანი 1:0, ზოოვეტი 4:2, დილა 0:0, ზუგდიდი 6:1, ბათუმი 2:1
მერანი *სერგო გაბელაია*	ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი), დავითაშვილი (არსენალი, ტულა, რუსეთი),ბ.ამბიძე,ლ.ამბიძე(დინამო,ასტრახანი,რუსეთი)	კოშკაძე,ავალიანი,მელიქია,კვანტალიანი,მიკუჩაძე(ამირანი),გ. ილურიძე,აბულაძე(განთიადი), ბოლქვაძე(გურია),ა.ხორხელი,გ.კვეტენაძე,კობეასშვილი(ართამაშობდნენ)	ვიტ ჯორჯია 0:0,ლოკომოტივი 2:2, 1:0,დინამო 0:0, ჭაბუკიანი 1:1,ცხუმი 6:0,3:1, დილა 0:0,5:0,ლოკომოტივი 23:1,მეტალურგი 3:0,აკადემია 1:0,2:0
თბილისი *რამაზ შუქლაძე*	ქემოკლიძე,ო.გველესიანი,რუხაძე,გ.ვ.მიქაძე,ა.ჩიხრაძე(დინამო),კვარაცხელია,აბრამიძე(ლოკომოტივი),ისიანი(სიონი),ლ.მელქაძე(ვიტ ჯორჯია), *ვ.ალურიგაგუა (სკონტო,ლატვია),*ბედიაშვილი(გორდა),ებრალიძე(თსუ), ზ.ხიზანიშვილი(კრივბასი,უკრაინა)	ვ.მისურაძე(ტორპედო),პაპიძე(ბათუმი),ნორაკიძე,ჩივაძე,ახალაია(თბილისი 2),კოხრეიძე(სამგურალი),კ.მელქაძე,ამაშუკელი(ლოკომოტივი),გადელია(ბათუმი),ყეფარაძე,გონჩაროვი(არსენალი),გ.ლუდუშაური, თ.დოლიძე(ართამაშობდნენ)	დილა 2:0,0:1,საქართველოU18 0:0,ს.ა.იბერია 0:0,ჭაბუკიანი 3:1,აკადემია 2:1,სიონი 1:4
სამგურალი *ალანი ბზიაძე*	ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი.ხაჭაპურიძე(ვიტ ჯორჯია),პეტრიაშვილი (ბათუმი),კოხრეიძე(თბილისი),კოპალიანი(XXIსაუკუნე)	ჩხაბერიძე,სტურუა(ტორპედო),გაბუნია(მეტალურგი),გ.ჯანელიძე(ტრავმისგამოართამაშობდა), გორგოშიანი(ლუჩი,ვლადივოსტოკი,რუსეთი),დარსაძე(იბერია),ვადაჭკორია,კვერნაძე,ბაბუნაშვილი, ფუტკარაძე,გ.გოგოლაძე(ინტერი)	ინტერი 8:0, გაგრა 5:1, ტორპედო 0:4, იბერია 0:1
ზობი *უმწვრთნელოდ*	ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი),ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კეკეკესკირი, თორია (?)		
არსენალი *ალონი ჯანელიძე*	ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), დაუშვილი (სიონი), ყეფარაძე, გონჩაროვი (თბილისი),მ.მისურაძე(?);მამუკა გეგეჭკორი(მწვრთნელი,დათხოვეს)	ხარებავა,ე.ალადაშვილი(მერანი),დ.ჯანელიძე,ნიფნიკაძე(ლოკომოტივი),ქოიავა(არაგვი),ი.კაპანაძე, ნ.მინდიაშვილი(სიონი),გ.ტულუში(ცხინვალი),ჯობაძე(თსუ),შუკაკიძე(ზოოვეტი);ჯონიჯანელიძე (მწვრთნელი)	სიონი 3:1, 1:1,ვიტ ჯორჯია 1:2,არსენალი 23:0,აკადემია 3:0, დილა 1:1,მეტალურგი 4:0,ლოკომოტივი 23:1

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დაახლოებითი ტრანსფერებია

სქოთებს ძველი დიდების დაბრუნება სურთ

REUTERS ბლაზგოდან

„ჰემპდენ პარკი“

ახლახან ვწერდით, რომ ატლანტიკური ლიგის შექმნა შორეული მომავლის საქმე სულაც არ არის. შეგახსენებთ, რამედნიმე ევროპულ კლუბს, რომლებიც გრანდები არ არიან, თუმცა მაჩანჩალებადაც არ მოიხსენიებენ, დამოუკიდებელი ჩემპიონატის გამართვა განუზრახავთ. ესენია „სელტიკი“, „რეინჯერსი“, „აიაქსი“, პსვ, „ფეიენოორდი“, „ბენფიკა“, „პორტუ“, „სპორტინგი“ და „ანდერლეხტი“. მათ კიდევ რამდენიმე კლუბის შეამხანაგება სურთ, რათა თექვსმეტ ან თვრამეტგუნდიანი ლიგა ჩამოაყალიბონ. ერთი კვირის წინ მათი წარმომადგენლები ამსტერდამში შეკრებილან და საქმის გასაჩარხად ბოლო ვადა 2002 წლისთვის დაუთქვამთ. მანამდე კი ეს გუნდები თავიანთ ეროვნულ ჩემპიონატებში გააგრძელებენ ასპარეზობას.

ახალი ლიგის შექმნის მიზანი ნათელია. შოტლანდიის, ჰოლანდიისა თუ პორტუგალიის ჩემპიონატები განსაკუთრებული სიძლიერით ვერ დაიკვეხნიან, რაც ზემოთ ჩამოთვლილ კლუბებს კლასის ამაღლების საშუალებას არ აძლევს. მაღალი კლასი კი იმავდროულად დიდ შემოსავალს ნიშნავს.

„სელტიკის“ საზოგადოებრივი ურთიერთობების დირექტორი დევიდ ჰეტი განმარტავს: „ახალი ატლანტიკური ლიგის შექმნა ჩვენი ერთადერთი შანსია. სხვაგვარად სუპერკლუბს ვერ შევქმნით. ის გუნდები, რომლებიც დღეს ევროპაში საფეხბურთო ამინდს ქმნიან, ფეხბურთელების შესაძენად უზარმაზარ თანხებს იხდიან. კარგი შემადგენლობა რომ გყავდეს, დაახლოებით 150 მილიონი გირვანქა გჭირდება. რა არის 150 მილიონი თუნდაც „მილანისთვის“. ამ კლუბის მხოლოდ საატელევიზიო შემოსავალი წელიწადში 40 მილიონს უტოლდება. ესე იგი, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ შეუძლიათ ახალი, უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანონ.

ამ მხრივ ჩვენ საველაფერო შეზღუდვა მარეობა გვაქვს. მატჩების ტრანსლაციის უფლების გაყიდვა სამ მილიონ გირვანქაზე მეტს არ გვაძლევს. ამ ფულით კი როგორ მოვლონიერდებით? ყველაზე საოცარი ის არის, რომ „სელტიკი“ მსოფლიოს მასშტაბით იმ გუნდების ხუთეულში შედის, რომელთა მატჩებსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ესწრება. მაგრამ საქმე ისაა, რომ შოტლანდიის პირველობა ნაკლებ მიმზიდველია. იმავე „მილანის“ შეხვედრებს მთელი ევროპა უყურებს. „სელტიკი“ კი გლაზგოს შემოგარენის იქით არავის აინტერესებს.

არადა, სახელოვანი ისტორია გვაქვს. დღემდე 1967 წელს მოგებული ჩემპიონთა თასის მოგონებით ვსულდგმულობთ. „ბენფიკა“ და „აიაქსიც“ ასე არიან. ამიტომ ჩვენი სურვილი როგორც შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციისთვის, ასევე ფიფა-უეფასთვისაც გასაგები უნდა იყოს. ვფიქრობ, იდეის ხორცშესხმაში ისინი ხელს არ შეგვიშლიან.“

სანამ „სელტიკი“ სხვა ოდინდელ გრანდებთან ერთად ატლანტიკურ ლიგას შექმნიდეს, შოტლანდიიდან კიდევ ერთი ცნობა მოვიდა. სურათზე აღბეჭდილ სქოთთა ეროვნულ სიამაყეს — „ჰემპდენ პარკს“ გაყიდვას უპირებენ. სტადიონის წინ ძაღლთან ერთად მოსეირნე შოტლანდიელმა ამის შესახებ იქნებ ჯერაც არაფერი იცის...

გიორგი დარჯანია

არგენტინა

I ტური

ბელგრანო 2:4 ლანუსი
ესტუდიანტესი 1:1 არგ. ხუნიორსი
კოლონი 1:0 ველესი
როსარიო 2:0 ხიმნასია ხუხუი
ინსტიტუტო 1:2 რივერ პლეიტი
სან ლორენსო 1:0 ოლდ ბოიზი
ფერო კარილი 2:3 უნიონი
ჩაკარიტა 1:2 ლა პლატა
რასინგი 3:1 ტალერესი
ინდეპენდიენტე 1:3 ბოკა ხუნიორსი

II ტური

ტალერესი 1:0 ჩაკარიტა
ლა პლატა 2:0 ფერო კარილი
უნიონი 0:1 სან ლორენსო
ოლდ ბოიზი 4:0 ინსტიტუტო
რასინგი 1:1 ბოკა ხუნიორსი
რივერ პლეიტი 1:1 როსარიო
ხიმნასია ხუხუი 0:2 კოლონი
ველესი 3:0 ესტუდიანტესი
არგ. ხუნიორსი 0:2 ბელგრანო
ლანუსი 1:2 ინდეპენდიენტე

III ტური

კოლონი 1:4 რივერ პლეიტი
0:1 კარდეტი (1), 1:1 დელგადო (11), 1:2 კარდეტი (13), 1:3 ანხელი (84), 1:4 ალვარესი (90)

როსარიო 1:1 ოლდ ბოიზი
1:0 პიცი (38), 1:1 ფუენტესი (79)

ინსტიტუტო 1:1 უნიონი
1:0 ხიმენესი (60), 1:1 ტილგერი (63)

სან ლორენსო 1:1 ლა პლატა
1:0 ლოპესი (9), 1:1 მესერა (38)

ფერო კარილი 0:3 ტალერესი
0:1 მარსო (62), 0:2 მაიდანა (68), 0:3 მარსო (90პ)

ჩაკარიტა 1:1 რასინგი
1:0 რივერო (63), 1:1 პერალტა (76)

ბოკა ხუნიორსი 1:1 ლანუსი
1:0 მორენო (38), 1:1 ვილიალონგა (38)

ინდეპენდ. 8:1 არგ. ხუნიორსი
1:0 მილიტო (30), 2:0, 3:0 მონტენეგრო (37,42), 4:0, 5:0 მერიონი (44,61), 6:0 მონტენეგრო (66), 7:0 არკა (68 ს.კ.), 8:0 ფორლანი (85), 8:1 შიავი (89 პ)

ესტუდიანტ. 5:1 ხიმნასია ხუხუი
ბელგრანო 2:3 ველესი

არგენტინაში კლაუსურას სეზონი დაიწყო და აგერ უკვე სამი ტურიც მიილია. ლიდერობა „რივერ პლეიტმა“ იგდო ხელთ. „რივერს“ აპერტურაც მოგებული აქვს და ახლაც კარგად თამაშობს. ადრე გაუწყეთ, რომ კლაუსურას გახსნამდე ორი დღით ადრე დედაქალაქელთა სახელოვანი მწვრთნელი რამონ დიასი გადადგა და ეს ადგილი მისმა ძველმა თანაგუნდელმა, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ამერიგო გალიეგომ დაიკავა. როგორც ჩანს, იგი ახალ პოსტს კარგად შეეგუა.

არგენტინელებს (ბრაზილიელებსაც) წესად აქვთ, ტური ისე არ ჩაივლის, გულშემატკივრებმა ერთმანეთს თავპირი არ დაამტვრიონ, ანდა სულაც მსაჯისკენ არ გაიქაჩონ. ჰოდა, რაკი ასეა, გამონაკლისი რაღა ახალდაწყებული კლაუსურა იქნებოდა. მაგალითად, მეორე ტურში ბუენოსაირესული დერბი შედგა — „რასინგი“ „ბოკა ხუნიორსს“ ეთამაშა. მატჩში რასინგელები დაწინაურდნენ და „ბოკამ“ შეხვედრის მიწურულსღა შეძლო ანგარიშის გათანაბრება და, რაც მთავარია, მეტად საეჭვო პენალტით. ტრიბუნებზე ჩხუბიც ამის შემდეგ დაიწყო. შეტაკებას კინაღამ ვინმე მიგელ ანხელ სენტენო შეეწირა. მაგრამ პოლიციელებმა იყოჩაღეს — მოშუღართა შორის ჩადგნენ, ხოლო დაჭრილი გულშემატკივარი კი საავადმყოფოს გზას გაუყენეს.

გიორგი დარჯანია

რივერ პლეიტი	3	2	1	0	7:3	7
ლა პლატა	3	2	1	0	5:2	7
სან ლორენსო	3	2	1	0	3:1	7
ინდეპენდიენტე	3	2	0	1	11:5	6
ველესი	3	2	0	1	6:3	6
ტალერესი	3	2	0	1	5:3	6
კოლონი	3	2	0	1	4:4	6
ბოკა	3	1	2	0	5:3	5
რასინგი	3	1	2	0	5:3	5
როსარიო	3	1	2	0	4:2	5
ოლდ ბოიზი	3	1	1	1	5:2	4
ესტუდიანტესი	3	1	1	1	6:5	4
ლანუსი	3	1	1	1	6:5	4
უნიონი	3	1	1	1	4:4	4
ბელგრანო	3	1	0	2	6:7	3
ჩაკარიტა	3	0	1	2	2:4	1
ინსტიტუტო	3	0	1	2	2:7	1
არგ. ხუნიორსი	3	0	1	2	2:11	1
ფერო კარილი	3	0	0	3	2:8	0
ხუხუი	3	0	0	3	1:9	0

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ ალუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ფეხბურთის რუკასთან

ითალიური „ინტერის“ ფორვარდ კრისტიან ვიერის კუნთი დაეჭიმა და მომავალ კვირას თანაქალაქელი „მილანის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. ამავე მიზეზით მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი თავის ყოფილ კლუბ რომის „ლაციოსთანაც“ ვერ იასპარეზებს. რონალდო უკვე კარგა ხნის ტრავმირებულია, ამიტომ მარჩელო ლიპის თავდასხმაში პრობლემა გაუჩნდა. მწვრთნელი ალბათ ალვარო რეკობა-ივან სამორანოს დუეტს აირჩევს. არ არის გამორიცხული, მათთან რობერტო ბაჯოც შეაწყვილოს. ვიერი სერია A-ს უკანასკნელ ტურში „ვენეციასთან“ მატჩში დაშავდა. ექიმების განცხადებით, ფორვარდი დაახლოებით ორ კვირას ვერ იასპარეზებს.

გერმანული „ჰამბურგის“ მეკარე ჰანს იორგ ბუტით „ლაციო“ დაინტერესდა და მისი შეძენის სურვილი გამოთქვა. რომაული კლუბი ვეტერან ლუკა მარკეჯანის შემცველს ეძებს. გარდა მეკარეობისა, ბუტს გოლების გატანაც ეხერხება — მიმდინარე სეზონში 9 პენალტი შეაგდო და მხოლოდ ორით ჩამორჩება გერმანიის საუკეთესო ბომბარდირს, „შალკე 04“-ში მოსასპარეზე სანდის. ბუტს „ჰამბურგთან“ კონტრაქტი 2001 წლამდე აკავშირებს, თუმც არ არის გამორიცხული, კლუბი უფრო ადრე დატოვოს. მის გადაბირებას ლევერკუზენის „ბაიერიც“ ცდილობს.

ესპანური „რეალ სოსიედადის“ ნიგერიელმა ნახევარმცველმა მუტიუ ადეპოჟუმ ვარჯიშის დროს მუხლი დაიზიანა და დაახლოებით ერთ თვეს ვერ იასპარეზებს. სანსებასტიანური კლუბი ამჟამად საკმაოდ რთულ სიტუაციაშია — გათამაშების ცხრილში მე-18 ადგილზეა და პრემერადივიზიონიდან გავარდნა ემუქრება.

ინგლისურმა „ევერტონმა“ თავისი ოდინდელი კაპიტანი დონ ჰათჩისონი გასაყიდთა სიაში ჩართო. ამის შესახებ კლუბის მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა „ვესტ ჰემთან“ 4:0 მოგებული მატჩის შემდეგ განაცხადა. თუმცა შოტლანდიელი ფეხბურთელის ათვალწუნების მიზეზი ფინანსურ პრობლემას უკავშირდება. საქმე ისაა, რომ ჰათჩისონს ლივერპულელებთან კონტრაქტის ვადა 2001 წლის ზაფხულში უთავდება. კლუბმაც თადარიგი წინასწარ დაიჭირა და ფეხბურთელი თავისუფალ აგენტად რომ არ ქცეულიყო, კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა. შოტლანდიელიც ყაბულს იყო, ოღონდ მოითხოვა, ხელფასი კვირაში 15 ათას გირვანქამდე გაეზარდათ. კლუბი კი თანახმა იყო, 12 ათასი' გადაეხადა. საბოლოოდ მხარეები ვერ შეთანხმდნენ და ჰათჩისონს ერთი წლის შემდეგ ახალი გუნდის ძებნა მოუწია. ამჟამად მისი გასამრჯელო 8 ათასი გირვანქაა.

ითალიური „ტორინოს“ მცველი ჯიბრილ დიავარა სერია A-ს ბოლო ტურში „ბარის“ კაპიტან ლუიჯი გარსიასთან მომხდარი ინციდენტის გამო ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, თავად გარსიას კი ერთი მატჩის გამოტოვება მოუწევს. „ბარის“ თავკაცმა ეუჯენიო ფაკეტიმ მომხდარ ფაქტზე თავისი აზრი გამოთქვა. რასისტულად განწყობილმა მწვრთნელმა ყველაფერში სენეგალელი ფეხბურთელი დაადანაშაულა. ითალიის ფეხბურთის ფედერაციამ ეს შემთხვევა განიხილა და ფაკეტის შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამო „ბარი“ 3 ათასი გირვანქით დააჯარიმა.

ესპანური მადრიდის „რეალი“ ინგლისური „ნიუკასლის“ პერუელი ნახევარმცველით, ნოლბერტო სოლანოთი დაინტერესდა. ფეხბურთელის გადაბირებას სამეფო კლუბი მომავალ სეზონში აპირებს. ნოლბერტოს „ნიუკასლთან“ კონტრაქტი უმთავრდება და მომავალი სეზონიდან გუნდის არჩევა თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუძლია.

შოტლანდიური გლაზგოს „სელტიკის“ თავდამსხმელმა ჰენრიკ ლარსონმა აქტიური ვარჯიში განაახლა. რამდენიმე დღის წინ მან „სელტიკის“ სარეზერვო გუნდში ითამაშა და თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობით კმაყოფილი დარჩა. შეგახსენებთ, რომ შარშან ოქტომბერში ლარსონმა ფეხი მოიტეხა და მას შემდეგ ვეღარ თამაშობს. შვედ თავადმსხმელს ტრავმის მოსაშუშებლად ნავარაუდევზე გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდა. არ გამორიცხავენ, რომ ლარსონი „სელტიკის“ ძირითად გუნდში ორ-სამ კვირაში დაბრუნდეს. შვედეთის ნაკრების ხელმძღვანელებიც, რაც უფრო ახლოვდება ევროპის ჩემპიონატი, ფეხბურთელზე დიდ იმედებს ამყარებენ.

ბელგიური „ჰარლბეკეს“ მთავარი მწვრთნელი ჰენკ ჰოვარტი მომავალი სეზონიდან „გენტს“ უთავკაცებს — იგი ტროდ სილიედს შეცვლის, რომელიც თავის მხრივ „ბრიუგეში“ გადაბარგებას აპირებს. 54 წლის ჰოვარდი „გენტთან“ სამწლიან შეთანხმებას გააფორმებს. „ჰარლბეკეს“ ახალი თავკაცი ჯერჯერობით არ დაუსახელებია.

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველმა რონი იონსენმა ცხრათვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ვარჯიში განაახლა. მთელი ეს დრო ფეხბურთელი მუხლის ტრავმას იშუშებდა. უკანასკნელი მატჩი მან ჩემპიონთა ლიგის ფინალში მიუხვნის „ბაიერნის“ წინააღმდეგ ჩაატარა. სერ ალექს ფერგიუსონმა ფეხბურთელის დაბრუნებით გაიხარა. მან განაცხადა: „რონი ამჟამად გუნდთან ერთად ვარჯიშობს, იგი უკვე მომჯობინდა, თუმც ჯერ ჩვეულ ფორმაში არ არის.“

ომანის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მთავარ მწვრთნელად მსოფლიოს ჩემპიონი, ბრაზილიელი კარლოს ალბერტო ტორესი დანიშნა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის ცნობით, ტორესი გუნდს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად მოამზადებს. „კარლოს ალბერტო მსოფლიოს ფეხბურთის ცნობილი ფიგურაა. ის პელეს გვერდით თამაშობდა და 1970 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მისი გამოცდილება დიდად გამოგვადგება“ — იუწყება ფეხბურთის ფედერაცია. ომანის ნაკრების თავკაცად დანიშვნამდე კარლოს ალბერტო ბრაზილიურ „ბოტაფოგოს“ ავარჯიშებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. III ტური. C ჯგუფი

დინამო 2:1 რუსენბორგი

1:0 ხაცკევიჩი (10), 2:0 რებროვი (29), 2:1 მინი-იაკობსენი (48)

დინამო: შოვკოვსკი, გერასიმენკო, გოლოვკო, მამედოვი (ფიოდოროვი 86), ნესმაჩნი, ხაცკევიჩი, კალაძე, ბელკევიჩი, გუსინი, რებროვი, დემეტრაძე (შაცკიხი 87)

მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი

რუსენბორგი: არასონი, ბასმა, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო, სტრანდი (სტორფლორი 45, იონსენი 88), სკამელსრუდი, ო. ბერგი, ვინსნესი, კარეუ, მინი-იაკობსენი

მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი

გაფრთხილება: ბერგდოლმო, ვინსნესი

მსაჯი: ლ. მიხელი (სლოვაკეთი)

38 000 მაყურებელი

კიევის „დინამოს“ ორი ტურის შემდეგ მეტად არასახარბიელო მდგომარეობა ჰქონდა. გუნდმა ჯერ „რეალთან“ წააგო შინ, შემდეგ „ბაიერნთან“ სტუმრად. კიდევ ერთი წარუმატებელი მატჩიც და კიეველებს მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსიღა რჩებოდათ. აქვე აღვნიშნოთ, რომ „დინამომ“ პირველი ჯგუფური ეტაპიც ცუდად დაიწყო და მოგვიანებით ათამაშდა. მსგავსი სიტუაცია ჰქონდა „რუსენბორგსაც“. ბრძოლის გასაგრძელებლად ნორვეგიელებსაც სამი ქულა სჭირდებოდათ.

თავიდან შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და გოლმაც არ დააყოვნა. მე-10 წუთზე კიეველთა ბელორუსმა ნახევარმცველმა ალექსანდრ ხაცკევიჩმა საჯარიმო მოედნის კუთხეში სერგეი რებროვისგან პასი მიიღო, ბურთი გაისწორა და ახლო „ცხრიანში“ უძლიერესად დაარტყა. სტუმართა ისლანდიელი მეკარე არნი არასონი გადახტა, მაგრამ ამაოდ. ლამაზი გოლი იყო, თუმცა მეორე უფრო ეფექტური გამოდგა. მარცხენა ფლანგზე მყოფმა რებროვმა დაახლოებით 30 მეტრიდან ბურთი შორეულ კუთხეში „ჩაჭედა“. პირველივე ტაიმში კიეველებს შეეძლოთ, მესამეც გაეტანათ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტ გიორგი დემეტრაძეს არ გაუმართლა — მან ახლო მანძილიდან ბურთი ძელს გაარტყა.

შესვენების შემდეგ სამიოდე წუთში ტრონჰეიმელებმა ერთი გოლის გაქვითვა შეძლეს. კიეველთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა. ბურთისთვის ერთდროულად რამდენიმე ფეხბურთელი იბრძოდა. საბოლოოდ იან ივარ მინი იაკობსენმა იმარჯვა და შოვკოვსკის ახლო მანძილიდან გაუტანა. ამ გოლმა სტუმრებს მატჩის გადარჩენის იმედი ჩაუსახა და სახიფათოდაც შეუტიეს. შეცვლაზე შესულ ოივინდ სტორფლორს ჩინებული შანსი მიეცა. მან ჯონ კარეუსგან მიღებული ბურთი უძლიერესად დაარტყა და მცირედით ააცილა — არადა, კარიდან სულ რაღაც ხუთ მეტრში იმყოფებოდა. იყო ჩაღა ალექსანდრ შოვკოვსკიმაც. შეხვედრის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე მასთან პირისპირ იაკობსენი წავიდა, მაგრამ მეკარე გადაეფარა და ბურთი რიკოშეტით ძელს მოხვდა.

ნორვეგიელთა თავკაცი ნილს არნე ეგენი, ცხადია, შედეგით უკმაყოფილო დარჩა. „რომ არა უღბლობა, ფრეს მაინც მივაღწევდით“ — თქვა მან. კიეველთა მეორე მწვრთნელი ალექსეი მიხაილიჩენკო კი საპირისპიროს ამტკიცებს, სავსებით დამსახურებულად მოვიგეთო.

ამ გამარჯვებამ უკრაინელთა სატურნირო მდგომარეობა რამდენადმე გამოასწორა. ნორვეგიელები კი ჯგუფში ჩასარჩენად არიან განწირულნი, მათ მხოლოდ სასწაული თუ უშველის.

REUTERS კიევიდან

დინამო — რუსენბორგი 2:1. კიეველი რამიზ მამედოვი (მარცხნივ) და ტრონჰეიმელი მინი-იაკობსენი ბურთს მისდევენ

რეალი 2:4 ბაიერნი

0:1 შოლი (20), 0:2 ეფენბერგი (24), 1:2 მორიენტესი (25), 1:3 ფინკი (39), 2:3 რაული (48), 2:4 პაულო სერჟიო (67)

რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, რედონდო, კარანკა, გუტი (მაკმანამანი 61), ჯერემი, რაული, ანელკა, მორიენტესი (ოგნიენოვიჩი 78)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

ბაიერნი: კანი, ბაბელი (ლიკე 61), ლიზარაზუ, კუფური, მათეუსი, ფინკი, შოლი (ტარნატი 86), ეფენბერგი, სალიჰამიჯიჩი, ელბერი (სანტა კრუზი 86), პაულო სერჟიო

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

მსაჯი: კ. მილტონ ნილსენი (დანია)

72 000 მაყურებელი

ერთი კვირის წინ მიუნხენელთა პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს უთქვამს, დარწმუნებული ვარ, „რეალი“ „ბარსელონას“ დაამარცხებსო. ბეკენბაუერი იმას თუ გულისხმობდა, მადრიდელები იმ თამაშს კი მოიგებენ, მაგრამ ჩვენთან უთუოდ წააგებენო. „რეალს“ კი მართლაც მძიმე დრო უდგას, უაღრესად გადატვითრულ კალენდარს ვგულისხმობთ ესპანელებს დაღლა აშკარად ეტყობოდათ.

მე-20 წუთი იყო, როდესაც გერმანელებმა „რეალი“ კონტრშეტევაზე გამოიჭირეს. ჯოვანი ელბერმა უმეთვალყურეოდ მიტოვებული მეჰმეტ შოლი შენიშნა და ჩააწოდა. ამ უკანასკნელს კი გოლის გატანა აღარ გასჭირვებია. წუთში სტუმრებმა მეორეც შეაგდეს. ეს გოლი მთლიანად მეკარე კასილიასის სინდისზეა, თუმც შტეფან ეფენბერგის დამსახურებაც დიდია. „რეალის“ კარის მიმართულებით ჯარიმა დაინიშნა. საკმაოდ მაზვილი კუთხე იყო. კასილიასმა ორკაციანი ცოცხალი კედელი უხეიროდ დააყენა და „ბაიერნის“ კაპიტანმა ახლო ძელისკენ ძლიერად და ზუსტად დაარტყა. თამაში ცენტრიდან განახლდა და მადრიდელთა პირველივე შეტევა მათი გოლით დამთავრდა. რაულის დარტყმული ბურთი ხარიხამ მოიგერია და დამატებაზე მორიენტესმა თავით შეაგდო. ამ გოლს სტუმრები არ შეუშინებია და კვლავ ელბერის პასით ტორსტენ ფინკმა სხვაობა ისევ ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე მადრიდელებს მატჩის გადარჩენის იმედი მიეცათ — რობერტო კარლოსის წამოწყებული შეტევა რაულმა მეორე გოლით დაასრულა. თამაში გამწვავდა და ბოლომდე ასე გაგრძელდებოდა, 67-ე წუთზე გერმანელებს მეოთხედ რომ არ დაელაშქრათ მეტოქის კარი. მეჰმეტ შოლმა კუთხურიდან ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც პაულო სერჟიო გახსნილი იყო და ბრაზილიელმაც შორეული კუთხისკენ თავით დაარტყა. ბურთი ძელს მოხვდა და კასილიასის კარში შეგორდა. ეს უკვე საბოლოო გამარჯვებას ნიშნავდა.

მატჩის შემდეგ ოტმარ ჰიცფელდმა თქვა: „შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა უფრო მეტად ჩვენმა კარგმა თამაშმა გამახარა. პირველ ტაიმში ბრაზილიური სტილით ვითამაშეთ და მეტი გოლის გატანაც შეგვეძლო. მეორე ნახევარში კი მშობლიურ გერმანულ სტილს დავუბრუნდით. ამის თქმა იქნებ ნაადრევიც იყოს, მაგრამ ვფიქრობ, მეოთხედფინალში გასვლა განაღდებული გვაქვს“.

„რეალმა“ კი „ბერნაბეუზე“ გამართული ჩემპიონთა ლიგის ბოლო 18 მატჩში მხოლოდ მეორედ წააგო, ხოლო „ბაიერნთან“ შინ აქამდე სულაც არ დამარცხებულა. რაულმა კი განაცხადა: „მარცხი დასანანი იყო. თუმც ჯგუფიდან გასვლის ჩინებული შანსი გვაქვს, რაც გვამშვიდებს“.

8 მარტი. ბაიერნი — რეალი; რუსენბორგი — დინამო

	C ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	ბაიერნი		8.III	2:1	14.III	7:4	7
2	რეალი	2:4		14.III	3:1	7:6	6
3	დინამო	22.III	1:2		2:1	4:5	3
4	რუსენბორგი	1:1	22.III	8.III		3:6	1

ჩემპიონთა ლიგა. III ტური. D ჯგუფი

ლაციო 1:2 ფეიენოორდი

1:0 ვერონი (37), 1:1, 1:2 დალ ტომასონი (78, 84)

ლაციო: მარკეჯანი, გოტარდი, მიხაილოვიჩი (ნეგრო 41), ფერნანდო კოუტუ, ლომბარდო, სენსინი, სიმონე, ვერონი (ნედვედი 69), რ. მანჩინი, ბოკუჩიჩი, ს. ინძაგი (დ. სტანკოვიჩი 61)

მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი

ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელი, კონტერმანი, დე ჰაანი, რზასა, ბოსველტი, ვან გასტელი (გიანი 83), პაუვე, დე ვისერი (სამარჯიჩი 76), კალუ (დალ ტომასონი 46), ხულიო კრუზი

მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი

გაფრთხილება: დე ჰაანი, ლომბარდო, სტანკოვიჩი, სიმონე, ფერნანდო კოუტუ

მსაჯი: ა. ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

33 000 მაყურებელი

რა დაემართა რომის „ლაციოს“? ნუთუ გუნდმა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება, საკუთარ კედლებში ბოლო 12 წუთის განმავლობაში ვერ უნდა შეინარჩუნოს ანგარიში და არცთუ მოლად მრისხანე „ფეიენოორდთან“ დამარცხდეს? ნუთუ ეს იმის ნათელი დასტურია, რომ ლიგაში აუტსაიდერები და ფავორიტები აღარ არსებობენ. ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი მივყვეთ „ლაციო“ — „ფეიენოორდის“ შეხვედრას.

შეცვლაზე შესული დანიელი იონ დალ ტომასონის ორმა გოლმა ოლიმპიურ სტადიონზე „ლაციოს“ მარცხი აგება და ევროთასებზე რომაული გუნდის 18-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. ტომასონმა შეხვედრის ბოლო 12 წუთში ორჯერ გამოიჩინა თავი და „ფეიენოორდი“ D ჯგუფის სათავეში აღაზევა.

ანგარიში 37-ე წუთზე ხუან სებასტიან ვერონის ულამაზესი გოლით გაიხსნა. არგენტინელმა ეფექტური დარტყმით როტერდამელთა მეკარე დუდეკს ბურთი თავზე გადაუგდო და „ლაციო“ დააწინაურა, მაგრამ სკუდეტოსა და ჩემპიონთა თასის მოგების ერთ-ერთმა პრეტენდენტმა ანგარიში ვერ შეინარჩუნა და მთელი შრომა წყალში გადაყარა.

„ლაციომ“ 1998 წელს უეფას თასის ფინალში „ინტერთან“ დამარცხების შემდეგ ევროთასებზე პირველად წააგო. გუნდს ამსტერდამის „აიაქსის“ 19-მატჩიანი რეკორდის გარემოება შეეძლო, მაგრამ...

„ფეიენოორდის“ სასახელოდ კი უნდა ითქვას, რომ მეტოქის მინდორზე დამარცხების მიუხედავად, ბოლომდე იბრძოლა და სასურველ შედეგსაც მიაღწია.

„ლაციომ“ მატჩი საკმაოდ შესუსტებული შემადგენლობით დაიწყო. გუნდს ერთბაშად სამი წამყვანი მცველი აკლდა — პაოლო ნეგრო, ალესანდრო ნესტა და ჯუზეპე პანკარო, მათ მაგიერ ერიკსონმა სასტარტოში გუერინო გოტარდი, ფერნანდო კოუტუ და ატილიო ლომბარდო დააყენა. მატჩი გამოტოვა რომაელთა მთავარმა დამრტყმელმა ძალამ მარსელო სალასმაც.

შეხვედრა ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო. „ფეიენოორდს“ პირველ 15 წუთში სამი საგოლე მომენტი შეექნა, დაწინაურება მასპინძლებსაც შეეძლოთ, მაგრამ ვერ მოახერხეს. თუმცა 37-ე წუთზე ვერონმა როტერდამელები მაინც დასაჯა — ულამაზეს აკრობატულ ნახტომში გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში პატრიკ პაუვეს ნაცვლად მოედანზე იონ დალ ტომასონი შევიდა და გადამწყვეტი როლი სწორედ მან ითამაშა — 78-ე წუთზე მარკეჯანის ძლიერად დაურტყა, მეკარემ მოიგერია, მაგრამ ხულიო კრუზმა ბურთი ისევ საჯარიმოში დააბრუნა, ტომასონმა კი ზუსტი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. 6 წუთში ისევ დანიელმა გამოიჩინა თავი, „ლაციოს“ კარი ახლო მანძილიდან მეორედ დალაშქრა, დუბლი შეასრულა და თავის გუნდს მეტად საჭირო სამი ქულა მოუპოვა, რომაულ გუნდს კი საქმეები ერთობ გაურთულა.

მარსელი 1:0 ჩელსი

1:0 პირესი (16)

მარსელი: ტრეზეგანი, ბლონდო, სიპრიენი, ლუკსენი, აბარდონადო, ბრანდო, პირესი, ჟ. ლერუა, დალმა, პუეე (დე ლა პენია 71), ბაკაიოკო (მოზესი 89)

მწვრთნელი: ბერნარ კაზონი

ჩელსი: დე გუი, ლებეფი, ფერერი (მორისი 82), დეხაი, ჰარლი, პეტრესკუ, უაიზი, დეშამპი (დი მატეო 62), პოიტი, ძოლა, ფლო (სატონი 82)

მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი

მსაჯი: რ. პედერსენი (ნორვეგია)

40 000 მაყურებელი

საფრანგეთის ჩემპიონატის გათამაშების ცხრილის შუაში მყოფმა მარსელის „ოლიმპიკმა“, რომელიც თავის საუკეთესო დღეებს ნამდვილად არ ითვლის, ჩემპიონთა ლიგაში ლონდონის „ჩელსის“ დამარცხებით გამოიჩინა თავი. მარსელელებმა მეტოქე შინ, „ველოდრომის“ სტადიონზე 1:0 დაამარცხეს და მომდევნო ეტაპზე მოხვედრის იმედის ნაპერწკალი ჩაისახეს.

ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი შეხვედრის მე-16 წუთზე რობერ პირესმა გაიტანა. „ოლიმპიკმა“ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში უკვე მეორე ინგლისური გუნდი დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ პირველ ჯგუფურ ეტაპზე, ოქტომბერში, მარსელელებმა ჩემპიონთა თასის ამჟამინდელ მფლობელ „მანჩესტერ იუნაიტედს“ იმავე ანგარიშით — 1:0 მოუგეს.

მცდელობის მიუხედავად, „ჩელსიმ“ „ოლიმპიკის“ კარის დალაშქრა ვერაფრით მოახერხა. გოლის გატანის შანსი არაერთხელ ჰქონდა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენა. ბრწყინვალედ ჩაატარა მთელი მატჩი მარსელელთა მეკარე სტეფან ტრევეზანმა, რომელიც ბოლო ხანს სტეფან პორატოს ნაცვლად თამაშობს და ერთობ წარმატებულადაც. შეხვედრაში მან რამდენიმე ურთულესი დარტყმა მოიგერია და „ოლიმპიკის“ კარი მშრალად შეინახა.

კმაყოფილი დარჩა ფრანგთა თავკაცი ბერნარ კაზონი, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ დღეს ნამდვილად კარგად ვითამაშეთ. „ჩელსი“ ამას ალბათ არ ელოდა, ოდნავ გაოცებულიც კი დარჩა. „ოლიმპიკი“ ხომ საფრანგეთის ჩემპიონატში დამაჯერებლად ვერ ასპარეზობს. ჯგუფის მეორე შეხვედრის შედეგმა ოდნავ გამაკვირვა, მაგრამ ამას ჩვენთვის ჯერჯერობით მნიშვნელობა არა აქვს, ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა. დღევანდელ მატჩში მხოლოდ გამარჯვებს ვგეგმავდით და მოხარული ვარ, რომ მივაღწიეთ. გუნდი ლონდონში მაღალი ფსიქოლოგიური განწყობით ჩავა“.

სასიხარულოდ საქმე ნამდვილად არ ჰქონია „ჩელსის“ თავკაც ჯანლუკა ვიალის. „ბიჭებმა მოსაგებად ყველაფერი გაიღეს, მაგრამ არ გაგვიმართლა, ჯგუფში კი ვითარება ერთობ დაიძაბა. ახლა ყველა თამაში პრინციპულია. ამ ფაქტს „ფეიენოორდის“ „ლაციოსთან“ მოგებამ შეუწყო ხელი. ამიერიდან ყოველ ქულას ოქროს ფასი დაედო. შინ „ოლიმპიკი“ აუცილებლად უნდა დავამარცხოთ, რათა პრობლემები თავიდან ავიცილოთ. ქულის დაკარგვას აღარ ვაპირებთ“.

ინგლისელ გულშემატკივრებს საფრანგეთში ერთობ უფრთხოდნენ. მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატზე ბრიტანელმა ფანებმა მარსელი დაარბიეს, თითქმის ყველა მაღაზიის ვიტრინა ჩამტვრიეს. ამიტომ „ჩელსისთან“ მატჩისთვის პოლიციის რაზმები საგანგებოდ მოემზადნენ, თუმცა ამჯერად ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა.

8 მარტი. ფეიენოორდი — ლაციო; ჩელსი — მარსელი

REUTERS რომიდან

ლაციო — ფეიენოორდი 1:2. რომაელ ხუან სებასტიან ვერონს მეტოქის კარში ერთადერთი გოლი გააქვს

	D ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	ფეიენოორდი		14.III	8.III	3:0	6:4	6
2	ჩელსი	3:1		22.III	8.III	3:2	4
3	ლაციო	1:2	0:0		14.III	3:2	4
4	მარსელი	22.III	1:0	0:2		1:5	3

სიდნეი 2000

დღეიდან სისტემატურად მოგაწვდით ცნობებს წინასაოლიმპიადო მზადებისა და სხვა მნიშვნელოვან მოვლენა-ამბავთა შესახებ. ჩვენი მუდმივი რესპონდენტი იქნება სეოკ-ის გენერალური მდივანი, ომზარ ზენაიშვილი



— კარგა ხანია, სეოკ-ის პრეზიდენტი, ბატონი ჯუანო ბაგრატიონი შეუძლოდ გახლავთ. როგორ მიმდინარეობს მისი გამოჯანმრთელების პროცესი?

— სპეციალისტები თვლიან, რომ ბატონი ჯუანოს გამოჯანმრთელების პროცესი კარგად მიდის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი სულ ‘მალე ჩადგება თავის ჩვეულ „სპორტულ ფორმაში“. სოკ-ის ხელმძღვანელობისგანაც მივიღეთ შეტყობინება, სადაც დიდ სინანულს გამოთქვამენ სეოკ-ის პრეზიდენტის ავადმყოფობის გამო და გვწერენ, რომ მზად არიან მას ყველანაირად დაეხმარონ. კარგი იქნებოდა, თუ მას საზღვარგარეთის რომელიმე კლინიკაში წაიყვანდნენ სარეაბილიტაციო კურსის გასავლელად. ჩვენთან ხომ სათანადო პირობები არ არის.

რაც შეეხება სეოკ-ის საქმიანობას, რა თქმა უნდა, გვაკლია ბატონი ჯუანოს ხელი, მაგრამ ვცდილობთ, შესაძლებლობის ფარგლებში ყველა პრინციპული საკითხი მასთან შევათანხმოთ. სეოკ-ის აპარატი კიდევ. უფრო მობილიზებულია და ყველაფერი კეთდება, რომ საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის მზადებასთან დაკავშირებით არ შეიქმნას პრობლემები, კერძოდ, ორგანიზაციულ-ტექნიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფის მხრივ.

— რამდენი ლიცენზიის მოპოვებას გეგმავთ?

— როგორც იცით, შარშან ჩვენ 19 ლიცენზია გვქონდა, წლეულს კი ეს რიცხვი უკვე 21-მდე გაიზარდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდაველების ხარჯზე. ვფიქრობთ, საბოლოოდ 33-35 ლიცენზია უნდა მოვიპოვოთ იმ შემთხვევაში, თუ მოვახერხებთ სპორტსმენთა სალიცენზიო ტურნირებზე მივლინებას და მათთვის მეტ-ნაკლებად ნორმალური პირობების შექმნას.

— თუ გადაწყდა ჩვენი დელეგაციის ეკიპირებისა და სიდნეიში მგზავრობის საკითხი?

— სპორტული ფორმის მხრივ მდგომარეობა ძირითადად გამოკვეთილია, ჩვენ ჩავიცვამთ ან „რიბოკის“, ან „მიზუნოს“ მიერ შემოთავაზებულ ფორმებს. ორივე მაღალი დონის ფირმაა და ამ მხრივ პრობლემები წესით არ უნდა შეგვექმნას. რაც შეეხება სააღლუმო ეკიპირებას, ამ მხრივაც აქტიურად ვმუშაობთ. ეს პრობლემა საქართველოშივე გადაიჭრება. ვითანამშრომლებთ ცნობილ ფირმა „ქართუსთან“, რომელიც ალბათ თავად იკისრებს ჩვენი დელეგაციის ფეხსაცმლით უზრუნველყოფას. ასე რომ, ჩვენი გუნდი ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე ლამაზად ჩაცმულ-დახურული იქნება.

რაც შეეხება მგზავრობას, მრავალ ავიაკომპანიასთან მოლაპარაკების შემდეგ ამ ეტაპზე გამოიკვეთა სამი ავიაგადამყვანი: „აეროფლოტი“, ბერძნული „ოლიმპიაკი“ და ბაქოდან არაბთა გაერთიანებული საამიროების ავიაკომპანია. ორ-სამ დღეში გადაწყდება, რომელს ავირჩევთ. უფრო რეალურად კი თბილისი — ათენი — სიდნეის მარშრუტი გვესახება.

ქახა ბერიძე

საქართველოს პარლამენტის წევრებს

ბატონებო და ქალბატონებო!

ეს წელი ჩვენთვის, ვინც სიდნეის თამაშების ლიცენზიები მოვიპოვეთ და მათთვის, ვინც უახლოეს თვეებში მოგვემატებიან, ოლიმპიურია.

სიდნეისთვის ინტენსიური მზადება ჯერ კიდევ ატლანტის ოლიმპიური თამაშების დამთავრებისთანავე უნდა დაგვეწყო. სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკური გაჭირვების გამო ეს არ მოხერხდა — არ გვქონდა ვარჯიშის ელემენტარული პირობები, უსახსრობის გამო ხშირად ვერ მივემგზავრებოდით შეჯიბრებებზე, გვეშლებოდა ისედაც მინიმალური რაოდენობით დაგეგმილი შეკრებები და სხვა. ყოველივე ამის მიუხედავად, სიდნეის ლიცენზია უკვე 19 კაცმა მოვიპოვეთ და ალბათ კიდევ 8-10 შემოგვიერთდება. ეს ბევრი როდია ისეთი მდიდარი ოლიმპიური ტრადიციების მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

ახლა იმის თაობაზე, რისთვისაც დაგჭირდა ასეთი შესავალი — უმორჩილესად გთხოვთ, სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად სასწრაფოდ გადაწყვიტოთ საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის საკითხი. გთხოვთ, ისედაც დაგვიანებულ საქმეს უფრო ნუღარ გაგვიჭიანურებთ. ჩვენს შორის არიან პოტენციური ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები, რომლებიც გეგმაზომიერი და მიზანმიმართული მზადების შემთხვევაში მიზანს უთუოდ მიაღწევდნენ, მაგრამ ასეთი შანსი მეტ-ნაკლებად მაინც გვრჩება.

გთხოვთ, ნუ დაგვაკარგვინებთ ამ შანსს, წყალში ნუ გადაგვაყრევინებთ იმ წლებს, რომლებიც სპორტს შევნირეთ, ნუ გაგვიწბილებთ იმ იმედებს, რომლებმაც საქართველოში დაგვტოვა და გადაგვაფიქრებინა უცხოეთის მოქალაქეობა.

ვიცით, რომ ძნელია ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილება. ისიც კარგად გვესმის, რომ ისეთ პირობებში, როცა ქვეყანას ჰყავს მრავალი ლტოლვილი, უსახლკარო და უპოვარი, ხელფასებისა და პენსიების თვეობით მომლოდინე მოქალაქენი, ჩვენი თხოვნა იქნებ უხურხულადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩვენს ქვეყანას მხოლოდ დაბეჩავებულად ხომ არ უნდა იცნობდნენ!

წარმოიდგინეთ, ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში რამდენი ჩვენივე გაჭირვებული თანამემამულე გაიხარებს, რამდენს მოადგება ცრემლი, როცა ჩვენი წარმატების აღსანიშნავად აყღერდება საქართველოს ჰიმნი და აღიმართება სახელმწიფო დროშა.

ასეთ პატივს ხომ მხოლოდ სპორტსმენებს მიაგებენ!

ნინო სალუქვაძე

ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის პირველობების მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი ტყვიის სროლაში

რუსუდან ხოფერია

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი ბატუტზე ხტომაში

ელდარ კურტანიძე

ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის პირველობების ჩემპიონი და პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში

გიორგი ასანიძე

მსოფლიოსა და ევროპის პირველობების პრიზიორი ძალოსნობაში

გიორგი რევაზიშვილი

მსოფლიოსა და ევროპის პირველობების ჩემპიონი და პრიზიორი ძიუდოში

ნესტორ ხერგიანი

მსოფლიოსა და ევროპის პირველობების ჩემპიონი და პრიზიორი ძიუდოში და სხვანი...

ოლიმპიური თამაშობის დაწყებამდე დარჩა 197 დღე

სიტყვას ვჭამთ, ჰაერს ვაყოლებთ...



ნესტორ ხერგიანი

სპორტის ქართველი გულშემატკივრები ნესტორ ხერგიანს კარგად იცნობენ. ეს პატარა ბიჭი 1995 წელს სამბოდან შემოიჭრა ძიუდოში და ამ მცირე პერიოდში ევროპის ჩემპიონობა და III პრიზიორობა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოსთან ერთად ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებაც მოასწრო. იმედია, მის კოლექციას სულ მალე ოლიმპიური მედალიც შეემატება. ყოველ შემთხვევაში, მისი პოტენციური შესაძლებლობები ამის თქმის საფუძველს ნამდვილად გვაძლევს და ამას მწვრთნელებიც აღნიშნავენ.

— ბავშვობაში სპორტი ძალიან მიყვარდა და მაინტერესებდა. თავიდან სამბოთი დავიწყე და იქ საერთაშორისო ასპარეზზე საკმაოდ კარგ შედეგებსაც მივაღწიე — გავხდი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი. ამის შემდეგ ჩემი ინტერესები უფრო ძიუდოსკენ გადმოიხარა, რადგან იგი უფრო პოპულარულია, თანაც ოლიმპიური სახეობაცაა. ეს ბატონმა ანზორ მარგველანმაც შეამჩნია და ძიუდოზე გადმომიყვანა. იგი და ბატონი შოთა ხაბარელი იყვნენ ჩემი პირველი მწვრთნელები. მათი უდიდესი დამსახურებაა, რომ მე დღეს ასე თუ ისე პროფესიონალი სპორტსმენი ვარ.

— შენს კარიერაში ყველაზე დასამახსოვრებელ და გულდასაწყვეტ ეპიზოდებსაც ხომ ვერ გაიხსენებდი?

— სპორტსმენის კარიერა ყოველთვის დახუნძლულია წარმატებებითა თუ წარუმატებლობით, თუმც, რა თქმა უნდა, უკეთესია თუ მწარედ მოსაგონარი ეპიზოდები თითებზე ჩამოგეთვლება. მე ყველაზე სევდიანად 1997 წლის ევროპის ჩემპიონატი მახსენდება, როდესაც ბელგიაში ხელი მომეცარა, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მაშინ ძიუდოში სამბოდან ახალი გადმოსული ვიყავი და მისი ანბანის შესწავლა კარგად ვერ მოვასწარი. თუმც ერთი წლის შემდეგ წადილი მაინც ავისრულე და სევილიაში კონტინენტის ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე. ეს ჩემი ტაბილი მოგონებაა.

— როგორი იყო შარშანდელი წელი ნესტორ ხერგიანისთვის?

— არც ძალიან კმაყოფილი ვარ და არც უკმაყოფილო. ვთვლი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე უფრო მეტის მიღწევა შემეძლო. საერთო ჯამში გასულ წელს მაინც არ ვემდური და დადებითად ვაფასებ.

— თვლი თუ არა, რომ ბირმინგემის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგი შენი მაქსიმუმი იყო?

— დიახ, ასეა. დავიწყოთ იქიდან, რომ ეს ჩემი პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი იყო ძიუდოში გადმოსვლის შემდეგ და ფსიქოლოგიური ფაქტორი თავისთავად დიდ როლს ასრულებდა, მაგრამ ამით თავის მართლებას სულაც არ ვცდილობ. ზემოთაც ვთქვი, ჩემპიონობა შემეძლო-მეთქი, მაგრამ ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში ჩემს მთავარ კონკურენტთან, კუბელ ძიუდოისტთან შეცდომა დავუშვი და შედეგმაც არ დააყოვნა. თუმცა ვფიქრობ, არც ბრინჯაო და ოლიმპიური ლიცენზია უნდა იყოს ურიგო შედეგი. იმედი მაქვს, მომავალში ერთი ნაბიჯით წინ მაინც წავიწევ.

— წლეულს, მაისში, პოლონეთში ევროპის ჩემპიონატი გელის...

— პოლონეთში ტიტულის დაცვა მომიწევს და ამდენად ორმაგი პასუხისმგებლობაც მაკისრია. ყველაფერს გავიღებ, რათა სევილიაში ნაჩვენები შედეგი კვლავ გავიმეორო და კონტინენტის ჩემპიონის ტიტული შევინარჩუნო. ჩემი ღრმა რწმენით, ასეც უნდა მოხდეს, მაგრამ... ყველაფერს ისევ და ისევ ფინანსებთან მივყავართ. მოდით, როგორი პირობებიც გვექნება, მედლებიც ამის მიხედვით დავითვალოთ. სპორტის დეპარტამენტს, მგონი, საერთოდ დავავიწყდით. უვე 7 თვეა, ხელფასები არ აგვიღია. ვერ გამიგია, ჰაერით ხომ არ ვიკვებებით, ერთადერთი ოლიმპიური კომიტეტი გვიწევს მზრუნველ „მამობას“ და ყოველკვარტალურად სტაბილურად გვაძლევს სტიპენდიებს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ოლიმპიურმა კომიტეტმა არსებობა რომ შეწყვიტოს, მასთან ერთად სპორტიც დაილუპება.

— როგორ ემზადები ოლიმპიური თამაშებისთვის?

— აპრილის ბოლომდე სამი სალიცენზიო ტურნირია პრაღაში, ვარშავასა და ბუდაპეშტში. მე ალბათ მხოლოდ ვარშავაში ვიასპარეზებ 66 კილოგრამში უბრალოდ, გამოცდილების მიღების მიზნით. შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე გამოვალ და ამის მერე სასიდნეოდ გავივლით საწვრთნელ-მოსამზადებელ შეკრებებს.

— ნესტორ, წლეულს არც მოსკოვისა და არც სოფიის სალიცენზიო ტურნირებში არ გიასპარეზია. რა იყო მიზეზი?

— ფეხის ტრავმა მაწუხებდა და ვმკურნალობდი, თანაც ოლიმპიური ლიცენზია უკვე ჯიბეში მიდევს და ზედმეტი გადატვირთებისგან თავს ვიკავებთ.

— ჩვენი მწვრთნელები და მსაჯები წმირად ახსენებენ არაობიექტურ მსაჯობას, ამის შესახებ რას იტყოდი?

— მართლებიც არიან, რადგან არბიტრები ჩვენს მიმართ მართლაც უსინდისოდ და არაკაცურად იქცევიან. მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინალში გადასასვლელ მატჩში კუბელთან მეც აშკარად დამჩაგრეს. მოკლედ, მეტოქეზე ერთი თავით მაღლა უნდა იდგე, რადგან თანაბარ ბრძოლაში სავსებით შესაძლებელია, ფეხი დაგიდონ.

— საზღვარგარეთ თუ გიწვევენ და რას აპირებ?

— წინადადებები უამრავია, მაგრამ მე ხელშეკრულება მაქვს გაფორმებული და ოლიმპიადაზე აუცილებლად საქართველოს სახელით ვიასპარეზებ, შემდეგ კი ვნახოთ. თუ ვითარება სასიკეთოდ არ შეიცვალა, ოლიმპიადის მერე აქ გამჩერებელი აღარ ვარ. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ბრინჯაო მოვიპოვე და მადლობაც არავის უთქვამს, პრემიებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. შედეგს ითხოვენ, მაგრამ დამფასებელი არავინაა. სულ გვპირდებიან, ოღონდ თქვენ გვასახელეთ და მერე ჩვენ ვიცითო, მაგრამ... ტყუილი დაპირებები კი ყველა „სიკეთესთან“ ერთად გამაღიზიანებელიცაა. მოკლედ, თუ არ ვუნდივართ, რიგში თურქეთი, ჰოლანდია და შვეიცარია დგანან.

— რას ჰპირდებით ქართველ გულშემატკივარს სიდნეიში?

— მეც რომ ლიტონი დანაპირები არ გამომივიდეს, ამ კითხვაზე დუმილს ვარჩევ, თუმც ალბათ რომელიმე სინჯის მედალს მაინც ჩამოვიტან.

ქახა ბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი იასპარეზებენ სიდნეიში

კობა გულიაშვილი



ბერძნულ-რომაულ ჭიდაობა

დაიბადა 1968 წლის 13 აპრილს სოფელ მარტყოფში. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1980 წელს.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი; საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებში (1989); ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში (1990); მსოფლიოს თასის მფლობელი პროფესიონალებში (1991); ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე დაიკავა IV ადგილი; 1996 წლის ბულგარეთისა და უნგრეთის „ა" კატეგორიის ტურნირების ჩემპიონი; გივი კარტოზიას ტურნირის ორგზის ჩემპიონი 1997-99 წლებში; თურქეთის „ა" კატეგორიის ტურნირისა (1995) და რომის „ა" კატეგორიის (2000) ტურნირების III პრიზიორი. უცოლო.

სამი შეკითხვა ლიცენზიანტს

1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?

2. გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი სპორტული ცხოვრებიდან.

3. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რომელი ადგილის დაკავებას ყარაუდობთ?

1. 12 წლის ვიყავი, როდესაც პირველად შევდგი ფეხი საჭიდაო ხალიჩაზე. ჭიდაობაზე ზაზა ზაზუნიშვილმა მიმიყვანა. იგი თავის დროზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო სამბოში. ქუჩაში ვიდექი და დროს უქმად ვკარგავდი, როცა ვარჯიშზე მიმავალი ზაზა დავინახე. ვთხოვე, მეც წამიყვანე-მეთქი.

2. კურიოზი ბევრი გადამხდენია, მაგრამ განსაკუთრებით ერთი მახსენდება. 1989 წელს მინსკში ვიყავით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე. ერთ-ერთი ბრძოლის დროს უცაბედად გონი დავკარგე და თვალი რომ გავახილე, საავადმყოფოში ვიყავი. ბევრი ვიყვირე, აქ რა მინდა, გამიშვით, უნად ვიჭიდავო-მეთქი, მაგრამ ვინ გამიშვებდა.

3. სიდნეი ჩემი მეორე ოლიმპიადა იქნება. ატლანტაში IV ადგილი დავიკავე და ძალიან მინდა, ეს შედეგი გავაუმჯობესო, ანუ მედალი მოვიპოვო. ყველანაირად ვეცდები და რა გამოვა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ემზადებიან

სიდნეის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება. ლიცენზიამოპოვებული ქართველი სპორტსმენების უმრავლესობა თბილისში იმყოფება, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მოსამზადებელ პერიოდს საზღვარგარეთ გადიან. მაგალითად, წყალში მხტომელი ნანა ნებიერიძე ამჟამად სარატოვშია, სადაც პირად მწვრთნელ იური გუტიაკულოვთან ერთად ემზადება რუსეთის ჩემპიონატში გამოსასვლელად. სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივნის გივი ცქიტიშვილის თქმით, ნანა კარგ ფორმაშია და ყველანაირად შეეცდება, უახლოეს ორ-სამ შეჯიბრში წარმატებით გამოვიდეს. როგორც ბატონი გივი ამბობს, მოსკოვში საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს.

რუსეთის ჩემპიონატის შემდეგ ნანა ელექტროსტალში გაემგზავრება, სადაც მარტის შუა რიცხვებში გაიმართება ტრადიციული გრან პრი. აქ კი წყალში მხტომელთა მთელი ელიტა შეიკრიბება. როგორც აღვნიშნეთ, ნანამ უკვე მოიპოვა ოლიმპიური ლიცენზია და აღნიშნულ შეჯიბრზე გამოსვლა მას მხოლოდ სასურველი კონდიციების მიღწევაში შეუწყობს ხელს. ელექტროსტალის გრან პრის შემდეგ ნანა კვლავ სარატოვში დაბრუნდება და მარტის ბოლოს გერმანიაში გასამართი გრან პრისთვის დაიწყებს მზადებას.

ზურაბ თალაკვაძე

ნანა ნებიერიძე

ოლიმპიური ვიქტორინა

VI ტური

1. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ვის ეკუთვნის ერთ შეხვედრაში ორმაგი შეცდომების რეკორდი ჩოგბურთში?

2. სპორტის რამდენ დისციპლინაში ჩატარდება შეჯიბრებები სიდნეის XXVII ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე?

3. სად ჩატარდა ზაფხულის III ოლიმპიური თამაშები, რამდენი ქვეყანა მონაწილეობდა მასში, ვინ დაიკავა II ადგილი საერთო გუნდურ ჩათვლაში და რამდენი მედლით?

4. რომელი ნაკრები გახდა 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფეხბურთში, ვის მოუგო ფინალში და რა ანგარიშით?

5. სად დაიბადა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე როსტომ აბაშიძე, რომელ წელს და რა სპორტული მიღწევები ჰქონდა.

პასუხები გამოგზავნეთ 15 მარტამდე მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის 65. ტელ: 95-20-79

V ტურის სწორი პასუხები

1. ალექსანდრე კარელინი
2. 1952 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები ჩატარდა ოსლოში და მასში 30 ქვეყნის 694 სპორტსმენი მონაწილეობდა.
3. ლაუნ-ტენისი
4. ოლიმპიური ჰიმნი დამტკიცდა 1958 წელს ტოკიოში
5. ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე

კენჭისყრით კმაყოფილ ლიტვას კარნიშოვასის და საბონისის იმედიც აქვს

რიმას კურტინაიტისი (თეთრ ფორმაში) ატლანტის ოლიმპიადაზე

80-იანი წლების პირველ ნახევარში ევროპულ კალათბურთში ამინდს ქმნიდნენ მარტინისა და ხიმენესის მადრიდის „რეალი", დრაჟენ პეტროვიჩის ზაგრების „ციბონა", ტკაჩენკოსა და ტარაკანოვის ცსკა და არვიდას საბონისის კაუნასის „ჟალგირისი". საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში ცსკასა და „ჟალგირისის" დაპირისპირება კი დაუვიწყარ კლასიკად იქცა. ეს გუნდები ექვსჯერ შეხვდნენ სუპერფინალში ერთმანეთს და უძლიერესნი ვინაობა მაინც ვერ გაარკვიეს. სუპერსერიების საბოლოო ანგარიში 3:3-ია. კალათბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს უთუოდ ახსოვთ 1987-88 წლების ფინალური სერია, როდესაც გადამწყვეტ მატჩში კაუნასელებმა შეძლეს 22-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა და დამატებით დროში სერგიუს იოვაიშასა და გინტარას კრაპიკასის დიდებული თამაშის წყალობით მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 93:83. მოთამაშეთა იმ დაუვიწყარი პლეადის წარმომადგენლებიდან დღესდღეობით აქტიურ სპორტში საქმიანობას აგრძელებენ ვალერი ტიხონენკო (ცსკა) და არვიდას საბონისი („პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი"). რაც შეეხება იმდროინდელი „ჟალგირისის" ერთ-ერთ ლიდერს — რიმას კურტინაიტისს, იგი ამჟამად ლიტვის სპორტის მინისტრია. ბატონ რიმასსთან გასაუბრება მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც ცნობილი გახდა სიდნეის ოლიმპიური თამაშების საკალათბურთო ტურნირის კენჭისყრის შედეგები. ლიტველები ზედიზედ მეორედ ქვეჯგუფში „დრიმ თიმს" დაუპირისპირდებიან...

— ბატონო რიმას, როგორ შეაფასებდით კენჭისყრის შედეგებს?

— კენჭისყრით კმაყოფილი ვარ. ამის მთავარი მიზეზი კი არის ის, რომ ჩვენს ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდი ფინალამდე არ შეხვდება ამერიკელებს. მართალია, ჩვენი მოწინააღმდეგე ევროპის ბოლო ჩემპიონატის გამარჯვებული იტალიის ნაკრები იქნება, მაგრამ ჩვენს ნაკრებს ძალუძს „სკუადრა აძურას" დამარცხება. ეს ევროპის ჩემპიონატზეც დავამტკიცეთ. საფრანგეთის ნაკრები კი, ჩემი აზრით, მეოთხე ადგილისთვის იბრძოლებს. თქვენ წარმოიდგინეთ, მეორე ჯგუფში მეოთხე ადგილზე გასული გუნდი მეოთხედფინალში ამერიკელებს შეხვდება. ასე რომ, კენჭისყრის შედეგებით ნამდვილად კმაყოფილი გახლავართ.

— შეძლებს თუ არა ლიტვის ნაკრები წინა ოლიმპიურ თამაშებზე ნაჩვენები შედეგის გამეორებას?

— წინა ორ ოლიმპიადაზე ჩვენმა ნაკრებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ბარსელონაში ნახევარფინალში მართლაც რომ სამარცხვინოდ დავმარცხდით ამერიკელებთან, ატლანტაში კი ბოლო წამებზე დავთმეთ მატჩი იუგოსლავიელებთან. თანაც გაიხსენეთ, რა დიდებული ნაკრები ჰყავდა მაშინ ლიტვას. ატლანტაში აშკარად ვჯობდით იუგოსლავიელებს, მაგრამ მატჩის ბოლო წამებზე ჯერ კარნიშოვასმა, მერე კი ორჯერ თავად მე ვერ ვივარგეთ, ჩვენმა მოწინააღმდეგემ კი სწორედ ამ დროს ჩაგვიგდო ორი სამქულაინი. მეტად დასანანი იყო იმ მატჩის წაგება, რადგანაც თამაშის არც ერთ კომპონენტში არ ჩამოვუვარდებოდით მოწინააღმდეგეს. ბრინჯაოს მედლებისათვის ბრძოლაში კი საბონისის კარგი თამაშის წყალობით უპრობლემოდ ვძლიეთ ავსტრალიელებს.

დღესდღეობით ლიტვას არა ჰყავს ცუდი გუნდი, მაგრამ, ჩემი აზრით, მაქსიმუმი, რისი მიღწევაც ჩვენ შეგვიძლია, მესამე ადგილია. მარჩიულიონისი, საბონისი და ხომიჩუსი პერსპექტიულმა ახალგაზრდობამ შეცვალა, მაგრამ ჩვენს ბიჭებს აშკარად აკლიათ მნიშვნელოვან ტურნირებზე ასპარეზობის გამოცდილება. თუმც კალათბურთში უამრავი მოულოდნელობის მომსწრე ვყოფილვარ და არ არის გამორიცხული, ფინალურ მატჩში „დრიმ თიმის" წინააღმდეგ ლიტვის ნაკრები წარდგეს.

— ითამაშებენ თუ არა სიდნეიში არტურას კარნიშოვასი და არვიდას საბონისი?

— არტურასი გუნდის კაპიტანი და უძლიერესი მოთამაშეა. ამჟამად, როგორც იცით, იგი ბოლონიის „ფორტიტუდოს" ღირსებას იცავს და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ გუნდი ევროლიგასა და იტალიის ჩემპიონატში საკმაოდ წარმატებით თამაშობს. ერთი თვის წინ პირადად ვესაუბრე კარნიშოვასს და მან განაცხადა, რომ აუცილებლად დაიცავს ლიტვის ნაკრების ღირსებას. რაც შეეხება საბონისს, აქ სიტუაცია ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის გარკვეული. არვიდასის გუნდი, „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი" ენ-ბი-ეის ერთ-ერთი ლიდერია და არ არის გამორიცხული, პლეი ოფის ფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვოს. ამ შემთხვევაში კი საბონისი ივნისის ბოლომდე ვერ ჩამოვა ლიტვის ნაკრების შეკრებაზე. თუმც ისიც შესაძლებელია, რომ არვიდასი გუნდს სიდნეიში შეუერთდეს.

— ბატონო რიმას, შარშან ევროლიგაში „ჟალგირისის" გამარჯვების შემდეგ ლიტვური კალათბურთი სულ უფრო და უფრო უკან მიდის. ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე წააგო ჩეხებთან და ესპანელებთან, ევროპის საკლუბო ტურნირებში კი ვერც ერთმა ლიტვურმა გუნდმა ვერ მიაღწია წარმატებას. რას ფიქრობთ, ლიტვური კალათბურთი კრიზისშია თუ ეს მხოლოდ დროებითი ჩავარდნაა?

— ჩემი აზრით, უკანასკნელი სეზონის განმავლობაში ლიტვაში სასელექციო საქმიანობა არასწორად წარიმართა, ეროვნულ ჩემპიონატში 30-ზე მეტი უცხოელი ასპარეზობს, რომელთა დიდი ნაწილი ნამდვილად არ იმსახურებს უმაღლეს დივიზიონში თამაშს. ამის გამო კი ახალგაზრდა ლიტველ კალათბურთელებს არ ეძლევათ თავის გამოჩენის საშუალება და აქცენტი მოთამაშეთა ძველ პლეადაზე კეთდება. „ჟალგირისის" ევროლიგაში გამარჯვება კი ზიდეკის, ედნისა და განსაკუთრებით ბოუის ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა. მათი გუნდიდან გაშვების (ვგულისხმობ ბოუისა და ედნის) შემდეგ კი „ჟალგირისს" ვერ შეძლო, მაღალი დონის კალათბურთი ეჩვენებინა. თუმც იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში ყველაფერი გამოსწორდება და ლიტვური კალათბურთი დაიბრუნებს მისთვის შესაფერის პოზიციებს საერთაშორისო სარბიელზე.

— „ჟალგირისისა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში თქვენ არაერთხელ გითამაშიათ თბილისის სპორტის სასახლეში. დღესდღეობით გაგაჩნიათ თუ არა ინფორმაცია ქართული კალათბურთის შესახებ?

— სამწუხაროდ, ინფორმაცია არც თუ ბევრი მაქვს. ისე კი ვიცი, რომ თქვენმა ნაკრებმა საკმაოდ ცუდად იასპარეზა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში და, თუ არ ვცდები, ვერც ერთი მატჩის მოგება ვერ მოახერხა. რაც შეეხება თბილისში გამართულ მატჩებს, ყოველთვის მიყვარდა სპორტის სასახლეში გამოსვლა, გადაჭედილი ტრიბუნების წინ თამაში მხოლოდ თქვენთან და მინსკში გვიხდებოდა. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მოკითხვა გადავცე ნიკოლოზ დერიუგინსა და გია სანაძეს. ქართველ ხალხს კი ახალ, 2000 წელს ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ყველაზე სანუკვარი სურვილების რეალობად ქცევას.

ზურაბ თალაკვაძე

განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სამუშაოდ იწვევს 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდას, რომელიც თავისუფლად ფლობს ინგლისურ ენას, ერკვევა სპორტისა და ოლიმპიზმის საკითხებში, შეუძლია წერილებზე მუშაობა, აქვს კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

მოგვმართეთ მისამართზე: დავით აღმაშენებლის 65;

ტელ: 95-20-79

ოლიმპიური ჩანართი მოამზადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეს-სამსახურმა

სარგებელი

სპორტული ლატარია "CROCO"

„კროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე
(კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში)
11⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე მუშაობს

ინგლისი. პირველი დივიზიონი

ჩარლტონი	32	22	5	5	59:29	71	13	2	2	29:11	9	3	3	30:18
იფსვიჩი	33	18	10	5	55:32	64	12	2	2	32:14	6	8	3	23:18
სიტი	32	19	6	7	52:26	63	12	1	3	35:12	7	5	4	17:14
ბარნსლი	33	17	7	9	63:48	58	11	3	3	38:18	6	4	6	25:30
ბირმინგემი	33	15	9	9	50:37	54	11	4	2	30:14	4	5	7	20:23
ჰადერსფილდი	33	15	8	10	50:36	53	11	3	2	35:14	4	5	8	15:22
ვულვზი	33	14	10	9	47:36	52	10	4	3	32:16	4	6	6	15:20
ფულემი	33	12	13	8	29:26	49	8	5	3	15:8	4	8	5	14:18
ბლექბერნი	32	12	11	9	39:35	47	8	6	2	23:12	4	5	7	16:23
ბოლტონი	32	12	10	10	44:35	46	8	5	3	29:18	4	5	7	15:17
ქუინზ პარკი	33	10	14	9	41:38	44	6	10	1	22:15	4	4	8	19:23
სტოკპორტი	33	11	11	11	37:44	44	7	6	3	25:21	4	5	8	12:23
ნორვიჩი	32	11	10	11	33:35	43	9	4	4	22:17	2	6	7	11:18
გრიმსბი	33	12	7	14	37:52	43	9	5	3	24:21	3	2	11	13:31
შეფილდ იუნ.	33	11	9	13	46:47	42	9	3	4	29:15	2	6	9	17:32
ტრანმერი	31	10	7	14	40:47	37	7	5	3	25:17	3	2	11	15:30
კრ. პალასი	33	9	10	14	44:53	37	6	7	3	26:17	3	3	11	18:36
ნოტინგემი	33	9	9	15	35:43	36	7	6	3	21:13	2	3	12	14:30
ვესტ ბრომვიჩი	33	6	15	12	27:42	33	4	9	4	16:17	2	6	8	11:25
ქრიუ	33	8	8	17	35:45	32	5	5	6	17:18	3	3	11	15:26
უოლსოლი	33	7	10	16	34:52	31	4	5	7	15:20	3	5	9	19:32
პორტსმუთი	32	7	9	16	35:49	30	5	5	6	22:17	2	4	10	13:32
პორტვეილი	31	6	11	14	33:42	29	5	4	7	17:18	1	7	7	16:24
სუინდონი	33	3	11	19	22:56	20	2	6	9	15:30	1	5	10	7:26

ინგლისი. მეორე დივიზიონი

როვერსი	32	20	6	6	55:26	66	10	4	1	22:9	10	2	5	33:17
პრესტონი	31	18	9	4	54:28	63	10	3	3	26:17	8	6	1	28:11
მილუოლი	33	17	9	7	49:34	60	10	5	1	26:12	7	4	6	23:22
უიგანი	31	15	13	3	50:26	58	10	3	3	26:11	5	10	0	24:15
ბარნლი	31	16	10	5	43:25	58	12	2	1	29:9	4	8	4	14:16
სტოკი	33	15	9	9	44:33	54	7	6	3	21:15	8	3	6	23:18
ნოტსი	33	15	8	10	49:37	53	8	3	6	27:21	7	5	4	22:16
ჯილინგემი	29	15	7	7	52:34	52	9	2	3	29:15	6	5	4	23:19
ბრენტფორდი	33	13	9	11	42:42	48	8	4	4	23:18	5	5	7	19:24
ბრისტოლი	33	10	16	7	40:35	46	5	12	0	22:11	5	4	7	18:24
უიკომბი	32	11	10	11	41:38	43	8	3	5	25:19	3	7	6	16:19
ლუთონი	33	12	7	14	45:49	43	9	4	4	33:25	3	3	10	12:24
ბორნმუთი	33	12	6	15	45:49	42	9	4	4	29:14	3	2	11	16:35
ოლდემი	32	11	7	14	36:40	40	6	3	7	20:20	5	4	7	16:20
კოლჩესტერი	33	11	7	15	42:60	40	8	3	6	26:30	4	4	8	16:30
ბერი	31	9	12	10	43:42	39	6	6	4	27:25	3	6	6	16:17
რექსჰემი	32	8	10	14	33:49	34	4	5	6	15:20	4	5	8	19:29
რედინგი	32	7	12	13	37:52	33	5	8	3	18:14	2	4	10	21:38
სკანთორპი	32	7	10	15	31:50	31	4	4	8	13:23	3	6	7	18:27
ოქსფორდი	32	8	7	17	28:51	31	4	4	9	16:29	4	3	8	12:22
კარდიფი	32	5	13	14	29:43	28	3	9	4	15:20	2	4	10	14:23
ბლექპული	33	6	10	17	34:54	28	2	6	8	17:28	4	4	9	17:26
კემბრიჯი	32	6	9	17	38:49	27	4	5	7	23:26	2	4	10	15:23
ჩესტერფილდი	32	5	10	17	20:37	25	4	5	7	11:13	1	5	10	9:24

ინგლისი. მესამე დივიზიონი

როტერჰემი	33	20	6	7	55:23	66	11	1	4	33:11	9	5	3	22:12
სუონსი	32	18	7	7	35:21	61	12	3	2	22:8	6	4	5	13:13
დარლინგტონი	32	17	9	6	47:24	60	10	5	0	27:7	7	4	6	20:17
ბარნეტი	33	16	8	9	45:37	56	10	3	3	30:18	6	5	6	15:19
ნორთჰემ.	32	16	7	9	41:28	55	11	2	4	25:12	5	5	5	16:16
პიტერბრო	32	16	6	10	45:40	54	11	2	3	27:19	5	4	7	18:21
ჰარტლპული	33	16	5	12	44:37	50	11	0	5	22:13	4	5	8	21:25
როჩდეილი	32	14	8	10	35:28	50	6	5	5	12:12	8	3	5	23:16
მაკლსფილდი	33	14	7	12	48:43	49	7	4	6	24:22	7	3	6	24:21
ტორკი	32	13	9	10	44:35	48	8	5	3	23:10	5	4	7	21:25
პლიმუთი	32	12	12	8	40:35	48	9	7	0	32:14	3	5	8	8:21
ჰალიფაქსი	33	13	8	12	34:37	47	6	5	6	19:17	7	3	6	15:20
ჩელტენემი	32	13	7	12	33:31	46	9	3	5	20:15	4	4	7	13:16
მენსფილდი	33	13	6	14	41:43	45	8	4	5	30:21	5	2	9	11:22
ლინკოლნი	32	11	10	11	50:50	43	8	4	4	26:17	3	6	7	24:33
ჰალი	33	10	11	12	31:30	41	6	5	5	21:14	4	6	7	10:16
საუთენდი	33	11	8	14	43:49	41	7	4	5	28:25	4	4	9	15:24
ბრაიტონი	32	10	10	13	47:39	40	6	4	6	27:20	4	6	7	20:19
ლეიტონი	33	10	8	15	31:38	38	5	5	6	15:15	5	3	9	18:23
ექსეტერი	33	8	8	17	34:54	32	6	4	6	20:23	2	4	11	14:31
იორკი	33	7	10	16	29:46	31	4	7	6	14:19	3	3	10	15:27
შრიუსბერი	32	7	9	16	25:43	30	4	6	6	14:14	3	3	10	11:29
კარლაისლი	31	5	8	18	29:54	23	4	5	6	16:18	1	3	12	13:36
ჩესტერი	33	5	5	23	29:70	20	3	3	11	12:33	2	2	12	17:37

იტალია. სერია B

ვიჩენცა	24	13	6	5	45:25	45	9	2	1	29:10	4	4	4	16:15
სამპდორია	24	11	9	4	25:16	42	6	6	0	15:7	5	3	4	10:9
ბრეშა	24	10	9	5	31:20	39	6	4	3	19:8	4	5	2	11:11
ატალანტა	24	11	5	8	31:23	38	9	1	2	21:9	2	4	6	10:14
ნაპოლი	24	9	9	6	30:27	36	6	5	0	17:8	3	4	6	13:19
სალერნიტანა	24	9	8	7	33:30	35	8	4	0	23:7	1	4	7	10:23
კიევო	24	9	7	8	29:28	34	6	6	1	17:10	3	1	7	12:18
ჩეზენა	24	7	11	6	33:29	32	6	7	0	21:9	1	4	6	12:20
ტრევიზო	24	9	5	10	30:28	32	9	1	1	24:8	0	4	9	6:20
პესკარა	24	6	13	5	34:27	31	4	4	3	20:14	2	9	2	14:13
ალძანო	24	8	7	9	22:29	31	7	1	4	16:16	1	6	5	6:13
რავენა	24	7	9	8	23:24	30	5	4	2	11:5	2	5	6	12:19
კოზენცა	24	6	12	6	20:21	30	5	4	3	12:9	1	8	3	8:12
ტერნანა	24	6	11	7	25:31	29	3	7	1	14:13	3	4	6	11:18
ემპოლი	24	7	7	10	19:31	28	7	3	1	12:7	0	4	9	7:24
ჯენოა	24	7	6	11	28:29	27	6	4	2	21:11	1	2	9	7:18
მონცა	24	4	15	5	24:26	27	3	10	0	11:8	1	5	5	13:18
პისტოიეზე	24	7	7	10	18:25	24	7	3	2	14:8	0	4	8	4:17
ფერმანა	24	4	8	12	21:36	20	4	4	5	13:16	0	4	7	7:19
სავოია	24	4	8	12	20:36	20	4	6	3	14:12	0	2	9	6:24

იტალია. სერია C1/a

სიენა	24	13	8	3	31:14	47	9	2	2	20:7	4	6	1	11:7
პიზა	24	10	9	5	26:18	39	5	4	3	15:12	5	5	2	11:6
ვარეზე	24	9	11	4	29:20	38	6	5	2	17:10	3	6	2	12:10
ლუკეზე	24	10	8	6	31:26	38	8	3	2	18:10	2	5	4	13:116
სპალ	24	9	8	7	25:21	35	5	4	3	11:7	4	4	4	14:14
ალბინოლეფე	24	8	10	6	23:22	34	5	4	2	14:9	3	6	4	9:13
კარარეზე	24	8	9	7	24:22	33	4	6	1	14:9	4	3	6	10:13
ჩიტადელა	24	7	11	6	21:21	31	5	4	3	12:9	2	7	3	9:12
ლივორნო	24	6	12	6	26:25	30	4	5	3	16:13	2	7	3	10:12
მოდენა	24	7	9	8	19:24	30	3	6	3	8:10	4	3	5	11:14
რეჯანა	24	7	7	10	23:25	28	5	3	4	14:13	2	4	6	9:12
ბრეშელო	24	6	10	8	22:26	28	3	6	3	12:12	3	4	5	10:14
კომო	24	4	14	6	15:19	26	1	9	2	5:9	3	5	4	10:10
ლუმეცანე	24	4	12	8	17:22	24	2	5	5	8:11	2	7	3	9:11
ლეკო	24	4	12	8	17:26	24	1	8	3	5:8	3	4	5	12:18
კრემონეზე	24	3	14	7	19:24	23	1	9	2	11:12	2	5	5	8:12
მონტევარკი	24	4	11	9	18:24	23	3	5	3	10:11	1	6	6	8:13
სანდონა	24	2	15	7	17:24	21	2	7	3	10:11	0	8	4	7:13

იტალია. სერია C1/b

კროტონე	24	15	8	1	47:15	53	9	2	0	28:5	7	5	1	19:9
ანკონა	23	13	6	4	34:15	45	7	4	0	22:8	6	2	4	12:7
ასკოლი	24	10	11	3	37:18	41	4	5	2	19:8	6	6	1	18:10
არეცო	24	11	8	5	38:28	41	7	4	1	25:14	5	3	4	13:13
ვიტერბეზე	23	11	7	5	35:27	40	6	6	1	22:12	5	1	4	13:15
პალერმო	24	9	9	6	19:18	36	5	5	2	11:6	4	4	4	8:12
კატანია	24	8	11	5	26:17	35	5	5	1	14:5	3	5	5	11:12
სტაბია	24	8	10	6	29:22	34	7	3	3	21:11	1	7	3	8:11
ნოჩერინა	24	6	12	6	20:17	30	5	6	1	13:5	1	6	5	7:12
აველინო	24	8	5	11	23:27	29	7	1	4	17:10	1	3	8	5:17
ჯულიანოვა	24	7	7	10	26:33	28	5	3	3	13:9	2	4	7	13:24
გუალდო	24	5	10	9	22:30	25	4	7	2	13:11	1	3	7	9:19
ბენევენტო	24	5	10	9	15:25	25	5	3	3	10:7	0	7	6	5:18
დი სანგრო	24	6	7	11	19:30	25	4	3	6	12:16	2	4	5	7:14
ლოდიჯანი	24	5	9	10	21:35	24	4	3	4	10:13	1	6	6	11:22
ატლეტიკო	24	4	8	12	17:31	20	3	4	6	11:17	1	4	6	6:14
მარსალა	24	5	5	14	18:44	20	2	3	7	8:15	3	2	7	10:29
ფ. ანდრია	24	2	11	11	15:29	17	2	8	3	8:10	0	3	8	7:19

ჩეხეთი

სლავია	18	14	4	0	32:8	46	8	1	0	20:3	6	3	0	12:5
სპარტა	18	12	4	2	45:15	40	7	2	0	29:4	5	2	2	16:11
დრნოვიცე	18	10	3	5	26:16	33	6	1	2	13:3	4	2	3	13:13
ბოჰემიანსი	18	6	7	5	17:17	25	4	2	3	9:6	2	5	2	8:11
ბუდეიოვიცე	18	7	3	8	23:25	24	6	1	2	15:5	1	2	6	8:20
ტეპლიცე	18	6	6	6	23:26	24	5	3	1	15:9	1	3	5	8:17
დუკლა	18	6	6	6	19:22	24	5	3	1	15:8	1	3	5	4:14
ლიბერეცი	18	5	7	6	12:14	22	3	4	2	5:4	2	3	4	7:10
ბლშანი	18	6	4	8	18:30	22	5	1	3	10:10	1	3	5	8:20
ბანიკი	18	5	6	7	24:26	21	3	4	2	16:13	2	2	5	8:13
სიგმა	18	4	9	5	23:26	21	2	5	2	13:11	2	4	3	10:15
ოპავა	18	5	5	8	24:25	20	5	3	1	18:9	0	2	7	6:16
ბრნო	18	5	4	9	20:23	19	4	3	2	15:9	1	1	7	5:14
ვიკტორია	18	4	6	8	25:34	18	4	4	1	18:14	0	2	7	7:20
იაბლონეცი	18	4	4	10	15:29	16	4	2	3	13:10	0	2	7	2:19
ჰ. კრალოვე	18	3	6	9	17:27	15	2	3	4	9:12	1	3	5	8:15

ესპანეთი. მეორე დივიზიონი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	მ	ფ	წ	ბ
სალამანკა	28	14	7	7	42:30	49	8	2	3	23:11	6	5	4	19:19
ლას პალმასი	28	12	9	7	39:28	45	6	5	2	20:10	6	4	5	19:18
ლევანტე	28	12	9	7	41:36	45	9	5	1	27:11	3	4	6	14:25
სპორტინგი	28	13	5	10	38:33	44	8	2	5	22:15	5	3	5	16:18
ესტრემადურა	28	12	8	8	30:28	44	10	4	0	22:5	2	4	8	8:23
ვილიარეალი	28	12	7	9	40:30	43	8	3	4	22:16	4	4	5	18:14
ლეიდა	28	11	7	10	45:38	40	6	4	3	23:13	5	3	7	22:25
ბადახოსი	28	8	16	4	26:21	40	4	7	3	15:14	4	9	1	11:7
ტენერიფე	28	11	7	10	39:35	40	8	5	2	28:14	3	2	8	11:21
ოსასუნა	28	12	4	12	27:27	40	7	2	5	16:10	5	2	7	11:17
კორდობა	28	10	9	9	34:30	39	7	1	5	20:17	3	8	4	14:13
ეიბარი	28	10	9	9	36:38	39	7	4	3	21:15	3	5	6	15:23
მერიდა	28	9	9	10	27:30	36	5	5	4	16:12	4	4	6	11:18
კომპოსტელა	28	8	11	9	35:36	35	5	5	4	19:14	3	6	5	16:22
ატლეტიკო B	28	9	7	12	32:37	34	4	3	7	19:21	5	4	5	13:16
ალბასეტე	28	8	10	10	32:39	34	3	6	4	14:15	5	4	6	18:24
ლეგანესი	28	9	9	10	32:36	33	6	5	3	16:8	3	4	7	16:28
ელჩე	28	7	12	9	31:37	33	4	7	3	17:18	3	5	6	14:19
ლოგრონიესი	28	8	8	12	39:41	32	5	5	3	22:19	3	3	9	17:22
უელვა	28	8	6	14	29:38	30	4	5	6	18:18	4	1	8	11:20
ხეტაფე	28	8	6	14	24:34	30	5	3	6	16:17	3	3	8	8:17
ტოლედო	28	6	7	15	21:37	25	5	3	7	14:16	1	4	8	7:21

პორტუგალია

პორტუ	23	15	6	2	46:13	51	11	1	0	29:4	4	5	2	17:9
სპორტინგი	22	14	6	2	38:18	48	10	2	0	26:8	4	4	2	12:10
ბენფიკა	23	14	5	4	35:19	47	9	2	0	22:6	5	3	4	13:13
გიმარაეში	23	12	4	7	36:24	40	10	1	1	24:8	2	3	6	12:16
ჟილ ვისენტე	23	9	7	7	31:24	34	6	3	2	21:9	3	4	5	10:15
მარიტიმუ	23	9	7	7	26:23	34	5	5	1	13:5	4	2	6	13:18
ბოავიშტა	22	10	4	8	22:19	34	6	1	3	12:8	4	3	5	10:11
ამადორა	23	7	10	6	26:23	31	4	4	3	14:10	3	6	3	12:13
ბელენენსეში	23	6	11	6	25:23	29	4	6	2	14:12	2	5	4	11:11
ალვერკა	23	8	5	10	25:32	29	7	3	2	20:12	1	2	8	5:20
ბრაგა	23	8	3	12	29:32	27	5	1	6	16:13	3	2	6	13:19
ლეირია	23	6	8	9	23:25	26	4	5	3	13:9	2	3	6	10:16
რიუ ავე	23	6	7	10	25:33	25	5	4	3	17:16	1	3	7	8:17
სალგეირუში	23	7	4	12	19:29	25	3	3	5	7:12	4	1	7	12:17
კამპომაიორ.	23	6	6	11	19:31	24	5	4	3	11:10	1	2	8	8:21
ფარენსე.	23	5	8	10	21:45	23	4	4	3	14:16	1	4	7	7:29
სანტა კლარა	23	4	8	11	22:32	20	2	6	3	10:13	2	2	8	12:19
სეტუბალი	23	3	5	15	15:38	14	3	2	6	12:17	0	3	9	3:21

ბელგია

ანდერლეხტი	24	17	6	1	64:23	57	9	3	1	36:14	8	3	0	28:9
სტანდარდი	24	15	2	7	55:36	47	9	1	2	27:10	6	1	5	28:26
ბრიუგე	24	13	4	7	52:25	43	8	0	4	34:12	5	4	3	18:13
გენტი	24	14	1	9	58:44	43	6	1	5	30:25	8	0	4	28:19
გენკი	24	12	6	6	51:37	42	7	4	2	27:14	5	2	4	24:23
ლიერსი	24	12	5	7	48:31	41	9	1	1	30:8	3	4	6	18:23
ბეერსხოტი	23	12	5	6	42:33	41	9	1	0	28:11	3	4	6	14:22
მუსკრონი	24	12	4	8	51:36	40	7	2	2	26:12	5	2	6	25:24
ვესტერლო	24	10	6	8	45:53	36	8	3	1	31:20	2	3	7	14:33
მეხელენი	24	10	3	11	39:53	33	7	3	3	25:22	3	0	8	14:31
აალსტი	24	9	2	13	43:50	29	6	0	7	23:24	3	2	6	20:26
ლოკერენი	23	8	5	10	42:50	29	6	2	4	28:23	2	3	6	14:27
ჰარელბეკე	24	8	4	12	48:48	28	6	3	4	35:24	2	1	8	13:24
ბევერენი	24	5	6	13	33:52	21	3	4	4	15:16	2	2	9	18:36
შარლერუა	24	5	6	13	28:48	21	3	1	8	14:26	2	5	5	14:22
სტ. ტრუიდენი	24	5	4	15	24:52	19	4	3	5	13:22	1	1	10	11:30
გენელი	24	3	9	12	19:43	18	2	5	5	12:19	1	4	7	7:24
ლომელი	24	1	10	13	22:50	13	1	7	3	12:16	0	3	10	10:34

საფრანგეთი. მეორე დივიზიონი

ლილი	28	20	4	4	40:16	64	12	0	1	19:3	8	4	3	21:13
გენგამი	28	14	8	6	50:34	50	8	3	3	30:17	6	5	3	20:17
ტულუზი	28	14	6	8	41:21	48	8	2	5	25:12	6	4	3	16:9
ლავალი	28	11	10	7	32:27	43	8	3	3	19:13	3	7	4	13:14
ლე მანი	28	10	12	6	35:30	42	6	8	0	20:10	4	4	6	15:20
აიაჩო	28	12	5	11	28:29	41	8	1	5	14:10	4	4	6	14:19
კაენი	27	9	13	5	33:21	40	5	6	3	22:15	4	7	2	11:6
სოშო	28	11	6	11	34:34	39	6	1	6	17:17	5	5	5	17:17
ლორიანი	28	10	7	11	25:28	37	4	7	2	16:8	6	0	9	9:20

ჰოსეო ჰოლიტური ბიბოხილვა

ზოგი ჭირი მარგებელია. გუშინ ჟიკლიორი, პომპა, ნიჟნი შარავოი და პადკაპოტნი ლიმონჩიკი გამიფუჭდა. იძულებული გავხდი რედაქციაში ფეხით წავსულიყავი და, რომ იტყვიან მთა მთას არ შეხვდებაო, ისე მოხდა: კანდელაკის და ბელინსკის ქუჩების გადაკვეთაზე ასი წლის უნახავ „სარბიელის“ მესვეტე გოგიას გადავეყარე. რაზვალი და რასპრედვალი გაფუჭებოდა. გაიჩნი კლუჩზე ბლომად რომ ვილაპარაკეთ, ფეხბურთზე გადავედით და ეს ამბავიც სწორედ გოგიასგან შევიტყვე:

აგრესოვიჩის ახალი ვარსკვლავი

ესპანური „სალახუნას“ ცნობილ იუგოსლავიელ მწვრთნელს, ზლობომირ აგრესოვიჩს სალახას შემოგარენში მდებარე ვიგინდელას საწვრთნელ ბაზაზე ახალი არგენტინელი ვარსკვლავი მიუყვანია. იგი თურმე გახლავთ 14 წლის ჩაკაბუკოელი ფორვარდი ხუან მარიხუანა, რომლის ნიჭთაგან განსაკუთრებით დრიბლინგსა და პასის არგადაწოდებას გამოყოფენ. როგორც ამბობენ ხუან მარიხუანას ნათესავური კავშირი აქვს „რეალის“ და „ატლეტიკოს“ ყოფილ თავდამსხმელ ხუან ესნაიდერთან — ესნაიდერისა და მარიხუანას დედები დეიდაშვილები ყოფილან.

მარიხუანას განსაკუთრებული ნიჭი მისი წარმოშობით აიხსნება. იგი ჩაკაბუკოს ღარიბი უბნის, სან ესპერანსას შვილია, (სან ესპერანსა ქართულად წმინდა იმედს ნიშნავს), სადაც ხელმოკლე ბავშვებს ბურთები არ აქვთ და „ნესკაფეს“ ქილებს დააგორებენ. წარმოიდგინეთ, ბავშვი, რომელიც „ნესკაფეს“ ქილით ხმელ ფოთოლს და ნედლ ბუტკოს ასრულებს, ბურთით რას იზამს. იკითხავთ, თუ ასეა, სხვა სან ესპერანსელი ბიჭები ვარსკვლავები რად არ ხდებიანო. საქმე ის გახლავთ, რომ ამ თაობაში ერთადერთი, ვინც ბარძაყში დანით დაჭრას და ნარკოტიკებს გადაურჩა, მარიხუანა გახლდათ, თორემ დღეს მსოფლიო ფეხბურთს, კერძოდ კი „სალახუნას“ ორმოცდაათამდე უნიკალური თავდამსხმელი ეყოლებოდა.

ხაზგასასმელია (სისწორისთვის სახაზავით სჯობს) ის გარემოებაც, რომ სან ესპერანსელებს აგერ უკვე 83 წელიწადია ქიშში აქვთ მათსავთ ღარიბ სან ასისინოელებთან (სან ასისინო ქართულად წმინდა მკვლელობას ნიშნავს), რომელთაც ასევე არ აქვთ ბურთები და უბანში „ბუენდიას“ ქილებს დააგორებენ.

ცნობისთვის: სან ესპერანსოელებს ბარძაყში სწორედ სან ასისინოელები ჭრიან, ხოლო სან ასისინოელებს სან ესპერანსელები შურდულით და შურდული გაგებით პასუხობენ.

ჰოდლის ახალი ხილვა

გოგია მესვეტეს რომ დავშორდი, ბესიკის და მიცკევიჩის კუთხეში ქალის ნაცნობ ფიგურას მოვკარი თვალი. თავიდან სოფი მარსო მეგონა, მაგრამ რომ დავაკვირდი ჩემი მეზობელი მედიკო ყარაღაჯაშვილი აღმოჩნდა. მედიკო დეიდა მკითხავია, ყავაში იხედება, კარტს შლის და ძალიან კარგად იცნობს ცნობილ ლონდონელ ნათელმხილველს ეილინ დრიუერს, რომელმაც თავის დროზე გლენ ჰოდლის უთხრა, რომ ყველა მათემატიკოსი წინა ცხოვრებაში ჩინელი იყო, ყველა ტაქსის მძღოლი ბოტკინიანი, ხოლო ყველა მწვრთნელს მაწონი უყვარდა.

როგორც მედიკო დეიდამ მითხრა ორშაბათ ღამეს, ჰოდლს აწგარდაცვლილი ქართველი ტაქტიკოსი ენგელბერტ პონტელავა გამოცხადებია სიზმრისეული გამოცხადებით და უთქვამს:

— ბიჭო, შენ რო პონტს აწვები, სიმონ, ეგრე არ არი, გაიგე და რამე. და ვაფშემც, რა...

ჰოდლს კივილით გაღვიძებია, შემდეგ დაწყნარებულა და დაფიქრებულა, მაგრამ სიმბოლოებით აღსავსე ნათქვამიდან ვერაფერი გაუგია და საშველად ეილინი უხმია. მისტიკური ფრაზის აზრი ეილინსაც რომ ვერ ამოუცნია, მედიკო დეიდასთვის დაურეკავს და ერთობლივი ძალებით ნათქვამი ასე გაუშიფრავთ:

— საყვარელო გლენ. ვგონებ თქვენ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ბობოქარ დღეებში რამდენიმე საგულისხმო. შეცდომა დაუშვით. გავბედავ და მათგან ორ ყველაზე მნიშვნელოვანთან დაკავშირებით ჩემს აზრს მოგახსენებთ. კერძოდ: პოლ გესქონი აუცილებლად უნდა წაგეყვანათ ეგზომ დიდ საფეხბურთო ფესტივალზე, რადგან წინა ცხოვრებაში იგი ჯეკ გამომფატვრელი კი არა შარლოტა ბრონტე გახლდათ. გარდა ამისა, არაფრით შეიძლებოდა დევიდ ბექემის დიეგო სიმეონეს წინაალმდეგ თამაში და იცით რატომ? იმიტომ, რომ ბექემი და სიმეონე ადრე, დიდი ხნის წინ, ერთმანეთს იცნობდნენ. გახსოვთ, მოცარტი და სალიერი? თუ გახსოვთ, მაშინ მიმიხვდებით, თუ არა და კრულ იყოს თქვენი ისტორიის მასწავლებელი. მარად თქვენი ანჟელბერ პონტიე.

პაპუნა კედია

ავტორს აინტერესებს რომელი პარლამენტარია კომერციული საზოგადოებრივი ტუალეტების წილში და შეიძლება თუ არა მასთან ანგარიშსწორება გადარიცხვით

გლენ ჰოდლს ყოველ ღამე რაღაც ესიზმრება

REUTERS პარმიდან

პარმა — ვერდერი 1:0. პარმელი ერნან კრესპო (№9) და მაიკ ბარტენი ბურთისთვის იბრძვიან

უეფას თასი. მერვედფინალი
პირველი წრე. 29 თებერვალი

UEFA CUP

პარმა (იტალია) 1:0 ვერდერი (გერმანია)

1:0 კრესპო (5)

პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, ფუზერი, პაულო სოუზა, დ. ბაჯო, ვანოლი, სტანიჩი (დი ვაიო 90), კრესპო, ორტეგა (ბრედა 82)

მწვრთნელი: ალბერტო მალესანი

ვერდერი: ფ. როსტი, ტრარესი, ფ. ბაუმანი, ბარტენი, ვიდნერი, ფრინგსი, მაქსიმოვი, აილტსი (ტიკუზუ 90), ა. ჰერცოგი, პიზარო (დაბროვსკი 81), აილტონი

მწვრთნელი: თომას შაადი

მსაჯი: მ. პირო (ბელგია)

15 000 მაყურებელი

სამშაბათს უეფას თასის გათამაშების ორი მატჩი ჩატარდა. დიდ ინტერესს იწვევდა პარმაში იქაურ „პარმასა“ და ბრემენის „ვერდერს“ შორის შეხვედრა. „პარმამ“ სერია A-ს უკანასკნელი რამდენიმე ტური ერთობ სუსტად ჩაატარა. წინა შაბათს გუნდი შინ „ფიორენტინასთან“ განადგურდა 0:4. ასე რომ, პარმელებს „ვერდერთან“ გამარჯვება ძალიან სჭირდებოდათ და მოიგეს კიდეც. შეხვედრის მე-5 წუთზე გატანილი ერნან კრესპოს გოლი ერთადერთი და გადამწყვეტი აღმოჩნდა, თუმცა მომდევნო ეტაპზე გასასვლელად მინიმალური შედეგი — 1:0 ალბათ საკმარისი არ არის. საპასუხო მატჩი ბრემენში ორი კვირის შემდეგ ჩატარდება.

მოგებით „პარმამ“ თავისი ერთგვარი რეკორდი კიდევ უფრო გააუმჯობესა. გუნდმა საკუთარ სტადიონზე 26-ე ევრომატჩი ჩაატარა, წაუგებლად. თავის მინდორზე გუნდი უკანასკნელად 1993-94 წლების სეზონში თასების მფლობელთა თასზე ჰაიფას „მაკაბთან“ შეხვედრაში დამარცხდა — 0:1.

იტალიელთა თავკაცმა ალბერტო მალესანიმ განაცხადა: „კმაყოფილები ვართ. მართალია, ვგრძნობთ, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლა ადვილი არ იქნება, მაგრამ გამარჯვებამ მაინც გაგვახარა. გავიგე, რომ კრესპომ გატანილი გოლი მე მომიძღვნა და ძალიან მესიამოვნა“.

თავად გოლის ავტორმა, არგენტინელმა ფორვარდმა ერნან კრესპომ კი თქვა: „შეხვედრის დებიუტში გატანილი გოლი მწვრთნელს მივუძღვენი. ის ამას ნამდვილად იმსახურებს. ჩვენი გუნდის თამაშით კმაყოფილი დავრჩი, დაცვა მართლაც ძლიერად გაისარჯა. ოდნავი უიღბლობა რომ არა, ალბათ უფრო დიდი ანგარიშითაც შეგვეძლო მოგება, თუმცა მიღწეულიც გვახარებს. ბრემენში იოლი გასეირნება არ გველის, მაგრამ მომდევნო ეტაპზე ალბათ მაინც ჩვენ მოვხვდებით“.

თავისი აზრი მეკარე ლუიჯი ბუფონმაც გამოთქვა: „მოგება აუცილებლად გვჭირდებოდა. ბოლო ხანს ხომ გუნდს ძალიან აკრიტიკებენ. დღეს კარგად ვითამაშეთ და მოვიგეთ. გაცილებით მეტი გოლის გატანა შეგვეძლო, მაგრამ არ გაგვიმართლა, მეტოქეს კი ჩემი კარისთვის თითქმის არ შეუტევია“.

„პარმას“ მომდევნო ეტაპზე მოსახვედრად მართლაც დიდი ბრძოლა მოუწევს, რადგან „ვერდერი“ ბუნდესლიგაში ერთობ წარმატებით ასპარეზობს და ცხრილში მეოთხე ადგილზეა.

სლავია (ჩეხეთი) 1:0 უდინეზე (იტალია)

1:0 ძანკი (76 ს.კ.)

სლავია: ჩერნი, რადა, კოლერი, ჰისკი, ლერჩი (რ. ვაგნერი 72), სკალა (კუჩარი 50), ულიხი, რ. დოსტალეკი, პ. ჰორვატი, ზელენკა, ტ. დოშეკი (კოზელი 90)

მწვრთნელი: ფრანტიშეკ კიბრო

უდინეზე: ტურჩი, გარგო, ძანკი, მანფრედინი (აპია 82), ძამბონი, ჯანიკედა, ფიორე, იორგენსენი, ლოკატელი (დო კარმო 46), სოსა (მარჯიოტა 78), მუცი

მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო

მსაჯი: კ. ნილსონი (შვედეთი)

13 000 მაყურებელი

მეორე იტალიური გუნდი „უდინეზე“ სტუმრად პრაღის „სლავიასთან“ თამაშობდა. უდინელებმა მატჩი მინიმალური ანგარიშით, 0:1 წააგეს. 76-ე წუთზე მარკო ძანკიმ პრაღელი იივო ულიხის ჩაწოდებულ ბურთს თავი შეუშვირა და საკუთარ კარში შეაგდო. „უდინეზე“ გოლის გაშვებამდეც და იმის შემდეგაც ბევრს ცდილობდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. რამდენჯერმე სახიფათოდ მასპინძლებმაც შეუტიეს, თუმც მეტი ვერაფერი მოახერხეს.

დამარცხების მიუხედავად, „უდინეზე“ მომდევნო ეტაპზე მოხვედრის შანსს მაინც ინარჩუნებს, რადგან „სლავიასთან“ ერთბურთიანი სხვაობის დაძლევა იტალიელებს შინ ალბათ არ უნდა გაუჭირდეთ.

ყველაფერს ორი კვირის შემდეგ უდინეში გასამართი მატჩი გვიჩვენებს.

შოტლანდია

თასის მერვედფინალის გადათამაშება

აბერდინი 1:0 აინვერნსი

1:0 სტავრუმი (75)

კლაიდბანკი 0:3 ჰიბერნიანი

0:1 ლოველი (39), 0:2 დ. ლემანი (73), 0:3 სოზე (83)

ფალკირკი 3:0 ბერვიკი

1:0 კრაბე (40), 2:0 ჰაგანი (49), 3:0 ლოური (50)

მეოთხედფინალის წილისყრა

ეირი (I) — პარტიკ თისტლი (II); რეინჯერსი — ჰარტსი; ჰიბერნიანი — ფალკირკი (I); დანდი იუნაიტედი — აბერდინი

მატჩები გაიმართება 11-12 მარტს

ინგლისი

პირველი დივიზიონი

გადადებული მატჩი

ბლეიბერნი 1:1 ნორვიჩი

0:1 საჩი (25), 1:1 ფრანდსენი (90)

ჰოლანდია

გადადებული მატჩი

როდა 3:1 კამბური

1:0 ჩუტანგი (38), 2:0 ლუიპერსი (45), 2:1 გუდმინი (52), 3:1 ლავალი (64)

ისრაელი

თასის მერვედფინალის წილისყრა

ჰაპოელი (ჰაიფა) — მაკაბი (ჰაიფა); ჰაპოელი (თელ ავივი) — მაკაბი (თელ ავივი); ბეითარი (ბეერშევა) (II) — ბეითარი (იერუსალიმი); მაკაბი (ნეთანია) — მაკაბი (ჰერცლია); მაკაბი (კაფრ კანა) (III) — ჰაპოელი (ქვარ სავა); ბეითარი (თელ ავივი) (III) — მაკაბი (ნაზარეთი) (II); ჰაპოელი (აშკელონი) — ჰაპოელი (ბეერშევა) (II); მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) — ცაფრირომი (II)

მატჩები გაიმართება 7 მარტს

ლიბერტადორესის თასი

I ჯგუფი

მეორე ტური

ალიანსა (პერუ) 2:1 ემელეკი (ეკვადორი)

1:0 ვილიანოვა (33), 2:0 კინტეროსი (40), 2:1 მოიზესი (67)

IV ჯგუფი

მეორე ტური

ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია) 2:3 ატლასი (მექსიკა)

1:0 მორენო (28), 1:1 სპეედა (42), 2:1 მორენო (44), 2:2 სეპედა (65), 2:3 ჟორჟე სანტილიანა (71)

აზიის ჩემპიონთა თასი

აღმოსავლეთის ჯგუფი

II ტური

ჯუბილო ივატა (იაპონია) 1:0 კაშიმა ანთლერსი (იაპონია)

სავონ ბლუვინგსი (კორეა) 4:0 სინტანა (ტაილანდი)

III ტური

ჯუბილო ივატა (იაპონია) 1:0 სავონ ბლუვინგსი (კორეა)

1:0 ფუჯიტა (19)

კაშიმა ანთლერსი (იაპონია) 3:0 სინტანა (ტაილანდი)

1:0 ჰირაში (14), 2:0 კოჯი ნაკატა (32), 3:0 მოტოიამა (88)

საბოლოო ცხრილი

ჯუბილო ივატა	3	3	0	0	4:0	9
სავონ ბლუვინგსი	3	1	1	1	5:2	4
კაშიმა ანთლერსი	3	1	1	1	4:2	4
სინტანა	3	0	0	3	0:9	0

აზიის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში ერმანეთს შეხვდებიან:

ალ ჰილალი (საუდეთი) — სავონ ბლუვინგსი (კორეა)

ჯუბილო ივატა (იაპონია) — ფირუზი (ირანი)

მატჩები გაიმართება 20 აპრილს, ფინალი 22 აპრილს, საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ რიადში.

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

ეროვნული ბიბლიოთეკა

19 ტური

საუკეთესო მოთამაშე

დავით ბერიშვილი
-მაკაბი-

ლიდერთა რისხვად შერაცხულმა თბილისის „მაკაბიმ“, რომელიც ექვსეულში მოხვედრისთვის იბრძვის, ჩემპიონის და ვიცე-ჩემპიონის დამარცხების შემდეგ ამჯერად ბრინჯაოსმფლობელისი სტუ დააყენა ურთულესი პრობლემის წინაშე. სულ რაღაც სამი წამიც და „მაკაბი“ კიდევ ერთ პრიზიორს გაამწარებდა, მაგრამ... ტალაბაძის საეჭვო ჯარიმამ და თორთლაძის უნაკლოდ შესრულებულმა საჯარიმოებმა შეუშალა ხელი. პირველ ტაიმში 19 ქულასაც კი უგებდა „მაკაბი“ მეტოქეს, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს ტყუპმა ბერიშვილებმა, განსაკუთრებით კი დავითმა, რომლის სამქულიანებმა მოსვენება დაუკარგეს სტუდენტებს. ირაკლი და დავით ბერიშვილები ხუთ-ხუთი ჯარიმის გამო მოედნიდან ერთმანეთის მიყოლებით რომ არ გასულიყვნენ, იქნებ მატჩის შედეგი სულ სხვაგვარი ყოფილიყო.

ბურაგ დოლენჯაშვილის ფოტო

— დავით, თქვენი აზრით რატომ ვერ შეძლო „მაკაბიმ“ პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება?

— მეტოქემ თავისებურ ზონურ დაცვას მიმართა, რომლის დაძლევაც ვერ შევძელით. ამიტომ წამოგვეწია სტუ.

— რით იყო გამორჩეული სტუ-ს მიერ დაყენებული ზონა?

— ფლანგებზე ტანმაღალი ვახტანგ მინაშვილის და ზურაბ ჩუბინიძის გამწესებით.

— ტანმაღალი კალათბურთელების ნაკლებობას არც „მაკაბი“ განიცდის და მეტოქის მიერ არჩეულ ტაქტიკას რატომ ვერ გაუმკლავდით?

— ჩვენი გუნდის სათამაშო ტაქტიკაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა კახაბერ შენგელიამ, რომელიც თამაშის დაწყებამდე ორი საათით ადრე ჩამოვიდა უნგრეთიდან საკუთარი მანქანით. იგი ოთხი დღე და ღამე გზაში იმყოფებოდა. ისედაც ერთი თვის უვარჯიშებელმა შენგელიამ „მაკაბისთან“ ერთხელაც ვერ ივარჯიშა. ამიტომაც ვერ შევძელით კოლექტიური თამაში და ზონის დაშლა.

— „მაკაბიმ“ შენგელიას გარეშე შეძლო ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის დამარცხება. იქნებ ჯობდა, კახასთვის დასვენების საშუალება მიგეცათ და თუ გუნდს გაუჭირდებოდა, მაშინ გეხმოთ მოედანზე. მან ხომ შეუცვლელად ითამაშა.

— როგორ ფორმაშიც არ უნდა იყოს შენგელია, იგი ქართულ კალათბურთში გარკვეულ ავტორიტეტს წარმოადგენს და კალათბურთელებზე დიდი ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

— „მაკაბი“ თითქმის ყოველწლიურად დადის ისრაელში და ტრადიციისათვის არც წლეულს უღალატია. ამის შესახებ რას გვეტყვით?

— გუნდი თითქმის ყოველწლიურად გადის ერთკვირიან შეკრებას ისრაელში. ამჯერად ვიმყოფებოდით თელ ავივის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ რამათ განში, სადაც ყველა პირობა გვქონდა ვარჯიშისა და დასვენებისათვის. ორი ამხანაგური შეხვედრაც ჩავატარეთ მეორე ლიგის გუნდებთან. ერთი მოვიგეთ, მეორე კი წავაგეთ.

— დავუბრუნდეთ სტუ-სთან შეხვედრას. თქვენ და თქვენი ძმა ირაკლი პრინციპული შეხვედრების დროს მოედანზე 5 ჯარიმის გამო ბოლომდე თითქმის არ რჩებით. ასე იყო ამჯერადაც, რამაც დიდად განაპირობა „მაკაბის“ წარუმატებლობა. როდესაც გუნდი გამთამაშებლების ნაკლებობას განიცდის, მოედანზე ერთად ყოფნას არ აჯობებდა, ძმებს რიგრიგობით გეთამაშათ?

— ზუსტად მაგ პრინციპით ვითამაშეთ „აზოტთან“ მატჩის დროს და გავიმარჯვეთ კიდეც. ამჯერად რატომ მიიღეს მწვრთნელებმა ასეთი გადაწყვეტილება, ვერ გეტყვით.

— მოედანზე მყოფი ორი გამთამაშებელი ფუნქციებს როგორ ინაწილებთ?

— ვისაც სროლა წაუვა, მსროლელის პოზიციაზე გადადის და მეორე გამთამაშებლად რჩება.

— მაგას ალბათ ტყუპისცალის სიყვარული გალაპარაკებთ, თორემ... ერთიც და მეორეც თქვენ ოდნავ უკეთ გეხერხებათ.

— ვარჯიშებზე, როდესაც ერთმანეთის წინააღმდეგ ვთამაშობთ, ყოველთვის ირაკლი გამოდის გამარჯვებული.

— მაშინ თამაშებზე რაღა ემართება და მსაჯებთანაც თქვენზე ხშირად რატომ კამათობს? ტყუპებს ხომ უმეტესად ერთნაირი თვისებები ახასიათებთ?

— არ ვიცი რატომ, მაგრამ ცხოვრებაში და თამაშების დროსაც მართლაც ჩემზე ბევრად ემოციურია.

— ვისაც თქვენ და ირაკლი ერთად უნახიხართ, დამეთანხმება, რომ თქვენი ერთმანეთისგან გარჩევა ძალიან ძნელია. ადრე თქვით, რომ საულვაშეზე მაქვს პატარა ხალი ირაკლისგან განსხვავებითო. ხომ არ გიცდიათ, ერთ-ერთ თქვენგანს ულვაში მოეშვა, ან სხვა განმასხვავებელი ნიშნით გამორჩეულიყო ტყუპისცალისგან?

— ულვაშის მოშვება ვცადეთ, მაგრამ არ მოგვიხდა. ხანდახან ჩემი ძმა უშვებს ხოლმე „ბლანჟს“. ერთიც არის. სტუდენტურ ლიგაში თამაშის დროს „ბათუმის“ ერთ-ერთ კალათბურთელთან შეტაკების დროს წარბი გავიხეთქე და პატარა ნაიარევი დამაჩნდა.

— ადრე ნათქვამ კურიოზებს ხომ აღარაფერს დაამატებთ?

— მაშინ ჩემი ძმა გამიბრაზდა და თუ შეიძლება, ამჯერად ამ თემაზე ნუ ვისაუბრებთ.

— ტყუპებს რომ მსაჯობა გქონდათ გადაწყვეტილი, ხომ არ გადაგიფიქრებიათ?

— მსაჯობასთან დაკავშირებით იმდენად არაჯანსაღი სიტუაცია შეიქმნა ქართულ კალათბურთში, რომ ჯერჯერობით მაგაზე არ ღირს ლაპარაკი.

— კონკრეტულად რა გაქვთ მხედველობაში? სტუ-სთან შეხვედრაში ტალაბაძის საკამათოდ ქცეულ ჯარიმას ხომ არ გულისხმობთ?

— ტალაბაძეს რომ უსამართლოდ მოექცნენ, ეს თამაშის შემდეგ სტუ-ს კალათბურთელებმაც კი აღიარეს. ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ ვიდეოჩანაწერის განხილვისას „მაკაბის“ მიმართ 22 არაობიექტური შენიშვნა დავითვალეთ. ეს კი უკვე მეტისმეტია.

— რამდენადაც მახსოვს, თქვენი მიზანი ფიბა-ს არბიტრობისათვის ბრძოლაც იყო და ასე უცებ მსაჯობაზე უარის თქმა თქვენს უნებისყოფობაზე ხომ არ მეტყველებს?

— მსაჯობაზე უარს არ ვიტყოდით, ნორმალური სიტუაცია რომ იყოს. ასეთი პირობებში ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ამაღლდეს მსაჯი ფიბა-ს დონემდე.

როლანდ ლაგუჩიძე

რემბულარული ჩემპიონატი

ლეიკერსი გალიდერდა

29 თებერვალი

ორლანდო 103:94 სიეტლი

ორლანდო: არმსტრონგი (18 ქულა, 9 პასი), მერსერი (27), აუთლოუ (4), ვოლესი (4), ამაეჩი (11); გარიტი (14), ვილიამსი (11), ატკინსი (10), დოლიკი (2), მეჯიტი (2)

სიეტლი: ჰეიტონი (29), ბერი (13), პატერსონი (7), ბეიკერი (19), გრანტი (6 ქულა, 10 მოხსნა); ლუისი (13), მაკკოი (4), პერსონი (3), დევისი

შარლოტში იქაურ „ჰორნეთსთან“ საკმაოდ რთული მატჩის მოგების შემდეგ ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას გუნდმა „სიეტლ სუპერსონიქსმა“ მოულოდნელი მარცხი იწვნია ორლანდოში. მოულოდნელი იმიტომ, რომ „ორლანდო“, თავისი მებრძოლი ხასიათის მიუხედავად, „შარლოტზე“ გაცილებით დაბალი დონის გუნდად ითვლება. ფლორიდაში ჩასული „სიეტლი“ გამარჯვებას გეგმავდა, მაგრამ მასპინძელმა ბრჭყალები გამოაჩინა და სტეფანიას გუნდს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. თავად „სონიქსის“ ქართველ ცენტრს არც ერთი წუთი არ უთამაშია. დრო ყველაფრის მკურნალიაო, უთქვამთ, მაგრამ ვოვა უკვე მეორე სეზონს ატარებს პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში, ბოლომდე კი მაინც ვერ გაუშინაურდა. მწვრთნელ ვესტფოლს სტეფანია მაშინ შეჰყავს მოედანზე, როცა მატჩის ბედი ძირითადად უკვე გადაწყვეტილია. „სიეტლი“ არც გრანდია, რომ იოლად მოიგოს და არც ისეთი სუსტი, ადვილად დათმოს შეხვედრა. ის ყოველთვის იბრძვის და ამიტომ სტეფანიას ხშირად არ უწევს მოედანზე გამოჩენა. უფრო მეტიც, ვოვა ამ სეზონში უფრო იშვიათად თამაშობს, ვიდრე წინაში, როცა „სიეტლს“ ჩავარდნა ჰქონდა და ბლომად თამაშებსაც აგებდა.

„ორლანდო მეჯიქს“ ამ თამაშამდე ზედიზედ ხუთჯერ წაეგო და გააფთრებით ეძგერა სტუმარს, რომელიც წინა დღით „შარლოტთან“ ბრძოლის შემდეგ დაღლილი ჩანდა. „სუპერსონიქსი“ არ ელოდა მასპინძელთა ამგვარ მოძალებას და კარგა ხანს ვერ მოეგო გონს. სტუმრები, როგორც შეეძლოთ, თავს იცავდნენ და ცდილობდნენ, მატჩის ბედი როგორმე შეებრუნებინათ, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა ანგარიშში სხვაობა. პირველი მეოთხედი „მეჯიქმა“ 30:22 მოიგო, მეორე — 57:45, მესამე — 85:71. ამას მასპინძლები ძირითადად ორ კაცს — გამთამაშებელ დარელ არმსტრონგს და მსროლელ რონ მერსერს უნდა უმადლოდნენ. ამ უკანასკნელმა ხომ საერთოდ თავისი საუკეთესო თამაში ჩაატარა მას შემდეგ, რაც „დენვერიდან“ „ორლანდოში“ გადაბარგდა. არადა, მერსერს ბევრი აკრიტიკებდა, ახალ გუნდში უგულოდ ირჯებაო. ამ თამაშში კი მან შეუპოვრად იბრძოლა. უფრო მეტიც, მთელი მატჩის განმავლობაში აგულიანებდა თავისიანებს: მერე რა, რომ ათ ქულას ვიგებთ, 30-ით რომ გავიჭრებით წინ, მაშინ გავიხაროთო. „ორლანდოს“ ახალბედა მწვრთნელი დოკ რივერსი აღფრთოვანებული იყო — რა კარგია, ასეთი ბიჭი რომ მყავს გუნდშიო. მასპინძლები მაშინღა მოეშვნენ, როცა 16 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ. აქ „სიეტლი“ ხავსს მოეჭიდა, ისედაც მთელი მატჩის განმავლობაში ვერცხლისწყალივით მოძრავი გერი პეიტონი სულ გადაირია, ერთ მონაკვეთში ექვსი ქულა მითვალა, მისი გვერდიდან ჩაგდებული ორქულიანის შემდეგ მატჩის დამთავრებამდე წუთნახევარით ადრე სტუმრებმა ჩამორჩენა შვიდ ქულამდე დაიყვანეს — 92:99, მეტი კი ვეღარ შეძლეს.

ახლა „სიეტლი“ ერთ დღეს დაისვენებს და მერე ოთხ დღეში კიდევ სამ აღმოსავლელს ესტუმრება.

პორტლენდი 87:90 ლეიკერსი

პორტლენდი: პიპენი (19)

ლეიკერსი: ონილი (23 ქულა, 10 მოხსნა), ბრაიანტი (22)

სან ანტონიო 93:69 მაიამი

სან ანტონიო: რობინსონი (19)

მაიამი: ბრაუნი (16 ქულა, 10 მოხსნა)

მინესოტა 87:92 შარლოტი

მინესოტა: გარნეტი (21 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), შჩერბიაკი (17)

შარლოტი: კემპბელი (22), ჯონსი (17)

საკრამენტო 112:87 ვანკუვერი

საკრამენტო: ვებერი (23 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი)

ვანკუვერი: ჰარინგტონი (20), აბდურ-რაჰიმი (19)

კლივლენდი 93:100 ფინიქსი

კლივლენდი: მიურეი (18)

ფინიქსი: ჰარდეიე (22), კიდი (21 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი)

ტორონტო 87:80 ჩიკაგო

ტორონტო: კარტერი (26)

ჩიკაგო: ბრენდი (26)

ფილადელფია 106:87 დალასი

ფილადელფია: აივერსონი (35), რეთლიფი (19)

დალასი: ფინლი (15)

ინდიანა 115:105 დეტროიტი

ინდიანა: მილერი (24), როუზი (20), სმიტსი (18 ქულა, 12 მოხსნა)

დეტროიტი: ჰილი (37), სტეკჰაუზი (32)

უდიდეს ინტერესს იწვევდა ნბა-ს დღესდღეობით ორი უძლიერესი გუნდის — „ლეიკერსისა“ და „პორტლენდის“ შეხვედრა. ეს ორი ბობოლა ერთმანეთს დასავლეთის კონფერენციაში პირველობას ეცილება, რაც კონკრეტულად ამ შემთხვევაში მთლიანად ლიგაში პირველობას ნიშნავს. პორტლენდურ შეხვედრას ბევრი რამ უნდა გაერკვია. მატჩამდე კი გუნდები, თითქოს შეთანხმებულანო, თანაბარი შედეგებით მოვიდნენ — ბოლო 11 თამაშში არ დამარცხებულან, თანაც ორივეს ანგარიშზე 45 გამარჯვება და 11 მარცხი იყო. თუმც „პორტლენდს“ ერთი მცირე უპირატესობა მაინც ჰქონდა — მან ოპონენტს სეზონში სამიდან ორი თამაში მოუგო და ახლაც მასპინძლებს შინაური დარბაზის, „როუზ გარდენის“ იმედი ჰქონდათ, რომელიც თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე გადაიჭედა. გულშემატკივარმა ალბათ გვარიანად ინერვიულა, ისიამოვნა კიდეც, მხოლოდ 20 584 პორტლენდელს გულში ხინჯად ის ჩარჩა, რომ მათმა კერპმა წაგო და ამით პირველ ადგილსაც გამოემშვიდობა.

მოელოდნენ, რომ „ლეიკერსის“ შაკილ ონილი, როგორც უფრო ახალგაზრდა და ჯანიანი, იოლად დაჩაგრავდა „პორტლენდის“ ბებერ ლიტველს, არვიდას საბონისს. ტრავმებით გატანჯული ლიტველი არ შედრკა გივანტ მეტოქესთან ჭიდილში და 16 ქულა, 11 მოხსნა და 5 ჩაჭრაც მითვალა, მაგრამ მაინც ვერ უშველა „პორტლენდს“. იმ დღეს „ლეიკერსი“ უფრო შეკრული და მომზადებული ჩანდა. არც საბონისის და არც სკოტი პიპენის ცდას, დაელაგებინათ თამაში, შედეგი არ მოჰყოლია. მასპინძლები სამქულიანებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, მაგრამ ბევრს აცილებდნენ — 17 სროლიდან მხოლოდ ოთხი ჩაადგეს. თავად პიპენმა ამ ოთხიდან სამი თავის ანგარიშზე ჩაიწერა, თუმც ამისთვის ათი სროლა დასჭირდა. პორტლენდელებს მაინც ჩაესახათ გამარჯვების იმედი, როცა პიპენმა მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე სამქულიანი ჩაადგო და თავისიანები 85:84 დაწინაურა, მაგრამ ამის შემდეგ მოედანზე ძირითადად ერთი გუნდი თამაშობდა. „ლეიკერსმა“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. „ამ მოგებამ ჩვენ ხელფეხი გაგვიხსნა დასავლეთ კონფერენციაში პირველობის მოსაპოვებლად“ — თქვა სტუმართა თავკაცმა, ფილ ჯეკსონმა.

არანაკლებ ინტერესს იწვევდა მატჩი „მაიამისა“ და „სან ანტონიოს“ შორის. აქ საინტერესო ის გახლდათ, რომ ორივე გუნდს აკლდა ლიდერი, „სან ანტონიოს“ — ტიმ დანკანი, „მაიამის“ კი — ალონზო მურნინგი. ამ ორი უძლიერესი მოთამაშის არყოფნაში იმდენად აშკარა იყო ჩემპიონის, „სან ანტონიოს“ უპირატესობა, კაცი იფიქრებდა, „სფურზი“ აღმოსავლელ ბობოლას კი არა, აუტსაიდერს ხვდებაო.

დიდი შანსი იყო, 29 თებერვალს არ ეთამაშა კიდევ ერთ სუპერვარსკვლავს, ფილადელფიელ ალენ აივერსონს, რომელმაც რამდენიმე დღის წინ მხარი იტკინა, მაგრამ ტრავმას მისთვის ხელი არ შეუშლია „დალასისთვის“ 35 ქულა ჩაეგდო. „დალასის“ ერთ-ერთი ლიდერი, გიუმაჟი დენის როდმანი მსაჯებმა უკვე მეორე მეოთხედში გაადგეს მოედნიდან ჩვეული გამოხტომების გამო.

ირაკლი ფირაშვილი



REUTERS ინდიანაპოლისიდან

ინდიანა — დეტროიტი. ინდიანელი რეჯი მილერი (№31) ტერი მილზსა (მარცხნივ) და გრანტ ჰილს შორის

ერთი მასპინძელი, რომელმაც წაგება მოახერხა

მოსკოვის ცსკა ერთადერთი მასპინძელი აღმოჩნდა, რომელმაც ევროლიგის მერვედფინალის პირველ მატჩებში წააგო. იმას, რაც ცსკა-მ გააკეთა, დიდი მოხერხება უნდა. იგებდე 25 ქულით და მატჩი წააგო — ევროპული კალათბურთისთვის ეს თითქმის გაუგონარი ამბავია.

მოსკოვის არმიელთა მეტოქე ზაგრების „ციბონა“ იყო. ორივე გუნდი დაახლოებით ერთი სტილით თამაშობს: ამჯობინებს ღია კალათბურთს, რომელშიც მრავლადაა სწრაფი გარღვევები და სამქულიანები. მეცხრე წუთამდე თამაში თანაბარი იყო. მერე მოსკოველთა გამთამაშებლობა ხორვატმა ვლადან ალანოვიჩმა იკისრა, რომლის გონივრულმა გარჯამ თვისტომი ციბონელები მეტად მძიმე დღეში ჩააგდო. მეთხუთმეტე წუთზე ცსკა 16 ქულით იგებდა, ხოლო მეცხრამეტეზე — 25 ქულით. მოსკოველთა შორის ყველაზე მეტად ფორვარდი ანდრეი კირილენკო გამოირჩეოდა, რომელმაც შესვენებამდე 16 ქულა, ოთხი მოხსნა და ორი პასი გააკეთა.

მეორე ტაიმში „ციბონა“ გამოცოცხლდა, ცსკა-ს კი დაღლა დაეტყო. მასპინძლებმა ოთხი წუთის განმავლობაში ბურთი ვერ ჩააგდეს, რითაც ისარგებლა „ციბონამ“ და ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 53:42. შვიდი წუთის შემდეგ ცსკა კიდევ ერთხელ გაშშდა: სამი წუთის განმავლობაში ქულა ვერ აიღო. ზაგრებელებმა კი შვიდი ქულა მიითვალეს (სესარამ სამქულიანი ჩააგდო, გირიჩეკმა — ორი ორქულიანი). არმიელთა მწვრთნელმა სტანისლავ ერიომინმა მოთამაშეები გადაავგუჟა. გამთამაშებელი კარასიოვი მსროლელად გადაიყვანა, ხოლო მის ადგილზე ალანოვიჩი გაამწესა. შედეგად ცსკა-მ 14:0 მოიგო სამწუთიანი მონაკვეთი და 68:52 დაწინაურდა. საქმე თითქოს მომთავრებული იყო, დასასრულამდე შვიდი წუთი რჩებოდა...

ციბონელმა იოსიპ სესარამ ორ წუთში ოთხი ორქულიანი და ორი სავარიმო ჩააგდო. დავორ მარცელიჩმა ორი სამქულიანი მიაყოლა და ცსკა-ს კოშმარიც დაიწყო. მოსკოველებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს ბოლო წუთებში და პრაქტიკულად მოგებული მატჩი დათმეს.

ლიუბლიანის „ოლიმპია“ ორჯერ, 1992 და 1997 წლებში დამარცხდა პირეოსის „ოლიმპიაკოსთან“. ამჯერად ლიუბლიანელებმა ერთიანად იყარეს ჯავრი და ისტორიაში პირველად მოუგეს ბერძნულ კლუბს. „ოლიმპიაკოსი“ მერვედან ოცდამეორე წუთამდე იგებდა, მაგრამ ხუთ ქულაზე მეტით არ დაწინაურებულა. „ოლიმპიამ“ მეორე ტაიმის ერთი მონაკვეთი 18:3 მოიგო, ხოლო „ოლიმპიაკოსმა“ შვიდი წუთი ჩაგდებული ბურთის გარეშე გაატარა. დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე „ოლიმპია“ 61:48 იგებდა, მაგრამ ზედიზედ ექვსი საჯარიმო გააცუდა. დარჩენილ დროში ოლიმპიაკოსელმა რობინსონმა 11 ქულა გააკეთა და „ოლიმპია“ 64:61 იყო წინ. მასპინძელთა ლიტველმა შარუნას იასიკევიჩუსმა ერთი საჯარიმო ჩააგდო, ოლიმპიაკოსელმა ედვარდსმა სამქულიანი ააცილა და მატჩიც მორჩა.

ბარსელონაში სტამბოლის „ულქერი“ ჩავიდა და გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია მასპინძლებს. „ბარსელონამ“ წინა ხაზის ხარჯზე მოიგო, მისმა ცენტრებმა ულქერელ კოლეგებს აჯობეს. ეს მაშინ, როცა „ბარსას“ არ ჰყავდა ძირითადი ცენტრი დუენიასი.

REUTERS სტამბოლიდან

ეფესი — ალბა 90:81. ეფესელი დამირ მულაომეროვიჩი (ბურთით) ადემოლა ოკულაიას გაურბის

სტამბოლის მეორე გუნდმა, „ეფესმა“ შინ სძლია ბერლინის „ალბას“. ეფესელთა ხორვატმა გამთამაშებელმა დამირ მულაომეროვიჩმა სამქულიანებით (შვიდიდან ოთხი ჩააგდო) და პასებით (მატჩში — 11) უზრუნველყო თავისიანთა დაწინაურება. „ეფესმა“ ტაიმი 52:41 მოიგო, მაგრამ ბერლინელებმა შესვენების შემდეგ მოინდომეს და წინ გავიდნენ. სტამბოლელები იბრაჰიმ ქუთლუაიმ იხსნა, რომელმაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდო.

როგორც იქნა, გამოიღვიძა ბოლონიის „ფორტიტუდოს“ გრეგორ ფუჩკამ და ტრევიზოს „ბენეტონს“ 23 ქულა და 10 მოხსნა გაუკეთა. ბოლონიელებმა ფარი დაიპყრეს, რისი წყალობითაც ტაიმი 45:30 მოიგეს, ხოლო დამთავრებამდე ათი წუთით ადრე 69:45 იგებდნენ. „ბენეტონი“ მარცხს იოლად არ შეეგუა, მაგრამ მატჩის გადასარჩენად დრო აღარ ეყო. საპასუხო შეხვედრა დღეს გაიმართება ტრევიზოში, თუმცა, სავარაუდოა, რომ ამ წყვილში გამარჯვებულის გამოსავლენად გადამწყვეტი მატჩი იქნება საჭირო.

ათენის „პანათინაიკოსს“ ეგრეთწოდებული „ბუდუჩნოსტის“ უმთავრეს ფავორიტად ითვლიდ, მაგრამ უჭირდა პოდგორიცას „ბუდუჩნოსტის“ დამარცხება. გამორიცხული არ არის, რომ დღევანდელ მატჩში „ბუდუჩნოსტმა“ კვლავ დიდი პრობლემები შეუქმნას მეტოქეს. იოლად მოიგო „ვილერბანმა“, მაგრამ ეს დამშვიდების საფუძველს არ იძლევა — მადრიდის „რეალი“ შინ განსაკუთრებით ძლიერად თამაშობს. „მაკაბი“—პაოკ-ის სერია კი, ალბათ დღესვე დამთავრდება სალონიკში, ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ მასპინძელ ქალაქში.

მერაბ რატიშვილი

ევროლიგა. მერვედფინალი (ორ ეთაპამდე)

პირველი მატჩები. 29 თებერვალი

ბარსელონა 1
ულქერი 0

ბარსელონა 78:73 ულქერი

ბარსელონა: ალსტონი (15), დე ლა ფუენტე (4), დიგბო (7), ელსონი (13), გასოლი, გოლდვაიერი (4), გუროვიჩი (4), ნავარო (6), რენციასი (19), როდრიგესი (6)
ულქერი: ალენი (23), ერდენი (5), გონლუმი (1), კოტურროვიჩი (10), ოზთურქი (2), პოუპი (6), სარიჯა (14), თოფსაკალი (2), ილდირიმი (10)

ცსკა 0
ციბონა 1

ცსკა 72:75 ციბონა

ცსკა: ალანოვიჩი (6), დაინეკო (6), ეინიკისი (2), კარასიოვი (13), კირილენკო (18), კუდელინი (11), პანოვი (4), სკელინი (10), ვეტრა (2)
ციბონა: ალიპოჯიჩი (1), გირიჩეკი (9), კრსტიჩი (7), მარცელიჩი (20), ნიჩევიჩი (1), პრკაჩინი (5), სესარი (27), ი. ვრანკოვიჩი (4), ჟურიჩი (1)

ფორტიტუდო 1
ბენეტონი 0

ფორტიტუდო 82:73 ბენეტონი

ფორტიტუდო: ანკიზი, ბაზილე (10), ფუჩკა (23), გალანდა (11), კარნიშოვასი (14), იარიჩი, მაიერსი (13), პილუტი (1), ს. ვრანკოვიჩი (10)
ბენეტონი: ედნი (15), მარკონატო (9), ნეესი, ნიკოლა (10), პიტისი (8), სანტოსი, შეპარდი (15), ტრაინა (16)

ეფესი 1
ალბა 0

ეფესი 90:81 ალბა

ეფესი: ბეშოქი (10), დრობნიაკი (20), ქუთლუაი (24), მულაომეროვიჩი (17), ონანი (9), რიდი, თურქოღლუ (10)
ალბა: ალექსისი (26), ბაეკი, ბოგოევიჩი (12), დეჭია (12), ფემერლინგი (9), ჰამინკი (7), ოკულაია (6), პაპიჩი, როდლი (9)

ოლიმპია 1
ოლიმპიაკოსი 0

ოლიმპია 65:61 ოლიმპიაკოსი

ოლიმპია: ბრეფუეი (2), დუშჩაკი, გოლემაცი (8), იასიკევიჩუსი (7), კოტნიკი (18), მილაჩიჩი (2), მილიჩი (12), მოდრიჩი (2), პარავინია (1), ზდოვეი (13)
ოლიმპიაკოსი: ადე მასსა, დე მიგელი (2), ტ. ედვარდსი (15), გრანტი (2), პაპანიკოლაუ (4), რობინსონი (22), ტარლაჩი (16), ტომიჩი, დუშან ვუკჩევიჩი

ვილერბანი 1
რეალი 0

ვილერბანი 72:59 რეალი

ვილერბანი: ბილბა (9), ბლომი (5), ლარანიაგა (6), ლოვერნი, მაქსი (11), პერსევო (1), პლუვი (8), სილსი (19), სონკო (13)
რეალი: ა. ანგულო (13), ლ. ანგულო (6), ჯორჯევიჩი (12), გალილეა, ერეროსი (9), მიხაილოვი, ბ. სკოტი (10), სტრიუელენსი (9)

პანათინაიკოსი 1
ბუდუჩნოსტი 0

პანათინაიკოსი 65:59 ბუდუჩნოსტი

პანათინაიკოსი: ბოდიროგა (18), ბერკი (8), ფოციასი (14), კალაიძისი (4), კატაში (8), კოხი (3), რებრაჩა (2), როჯერსი (8)
ბუდუჩნოსტი: ბრკიჩი (9), ბულატოვიჩი (5), კუზმანოვიჩი (16), რადონიჩი (2), შეპანოვიჩი (10), ტომაშევიჩი (8), ტოპიჩი (9)

მაკაბი 1
პაოკ 0

მაკაბი 77:62 პაოკ

მაკაბი: ბრისკერი, კომეგისი (2), ჰენფელდი (14), ჰაფმანი (13), მაკდონალდი (16), შარფი (18), შეფერი (10), შელეფი (4)
პოოკ: ალექსანდერი (13), ანგელიდისი (3), ბალოიანისი, ბაზარეფჩი (13), კოლდებელა (2), ბ. ედვარდსი (15), მასლარინოსი, ნიკოლაიდისი, პერალი (12), პრელევიჩი (4)

დინო რაჯა:
როგორ უნდა იხუმრო ზედიზედ ხუთი წაგების შემდეგ?

დინო რაჯა თხუთმეტი წლის განმავლობაში ელიტარულ კალათბურთელად ითვლება. ეროვნებით ხორვატ ცენტრს უთამაშია იუგოსლავიაში, იტალიაში, საბერძნეთში, ხორვატიაში. კარიერის მწვერვალი რაჯამ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გაატარა, სადაც ოთხი სეზონის მანძილზე „ბოსტონ სელტიქსში“ თამაშობდა.

33 წლის რაჯა ორჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში. ამ ქვეყნის დაშლის შემდეგ კი მშობლიური ხორვატიის ეროვნულ გუნდთან ერთად ორჯერ გახდა კონტინენტის მესამე პრიზიორი, მსოფლიოს მესამე პრიზიორი, ბარსელონის ოლიმპიადაზე კი ვერცხლის მედალი მოიპოვა. საკლუბო დონეზე რაჯა ყველა იმ ქვეყნის ჩემპიონი იყო, რომლის პირველობაზეც უთამაშია (გარდა ხორვატიისა), იტალიური „რომას“ რიგებში მოუგია კორაჩის თასი, ხოლო მაშინ იუგოსლავიური, ამჟამად კი ხორვატიული, სპლიტის „იუგოპლასტიკასთან“ ერთად ორჯერ დაეუფლა ევროპის ჩემპიონთა თასს.

დღეს დინო რაჯა ხორვატიის „ზადარში“ თამაშობს. ეს გუნდი ქვეყნის ჩემპიონატს ლიდერობს, ხოლო საპორტას თასზე მეოთხედფინალის პირველ მატჩში სტუმრად მოუგო პოლონეთის „ცეპტერს“. სააგენტო „ევრობასკეტი“ სწორედ ამ მატჩის წინ ესაუბრა რაჯას.

დინო რაჯა

— რას ფიქრობთ „ცეპტერთან“ მატჩზე?

— იმას, რომ შევძლებთ მეტოქის დამარცხებას და ნახევარფინალში გავალთ.

— „ცეპტერის“ შესახებ რა იცით?

— კარგი მოთამაშეები ჰყავს და პოლონეთის ლიგაში პირველ ადგილზეა. მიუხედავად ამისა, მაინც ჩვენ ვიმარჯვებთ.

— თქვენთვის საპორტას თასის მოგება უფრო მნიშვნელოვანია თუ ხორვატიის ჩემპიონატის?

— ხორვატიის ჩემპიონატის.

— „ზადარს“ მომავალ სეზონში ევროლიგაში მოხვედრის კარგი შანსი აქვს. თქვენ და არიან კომაზეცი იმ დროისთვის იქნებით გუნდში?

— ახლა ძალიან ადრეა მომავალი სეზონის შესახებ საუბარი.

— „ბოსტონ სელტიქსში“ და „პანათინაიკოსში“ თამაშის მერე „ზადარში“ თამაში არ გეხამუშებათ?

— სრულებითაც არა. „ზადარში“ ყოფნა მომწონს. გამარჯვების ჟინი ჯერ არ გამნელებია.

— „ბოსტონ სელტიქსში“ თამაშისას გული ევროპისკენ გიწევდათ. ახლა ევროპაში ხართ და ოკეანის გაღმა გამგზავრებას ხომ არ ფიქრობთ?

— ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ყოფნამ ძალიან ბევრი შემძინა. ბევრი დადებითი ემოცია მქონდა, თუნდაც „ბოსტონ გარდენის“ მოედანზე თამაში რად ღირს. ბევრი რამე მაცოფებდა. ვერაფრით გამეგო, ჩემი თანაგუნდელები როგორ იყვნენ ხუმრობის ხასიათზე ზედიზედ ხუთი წაგების შემდეგ? ამერიკაში გამგზავრებას აღარ ვაპირებ.

— შეძლებენ ქელკო რებრაჩა და დეიან ბოდიროგა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშს?

— არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, მოედანზე ორი-სამი წუთის მეტს მათ არავინ გააჩერებს.

— თქვენ, ტონი კუკოჩმა და დრაჟენ პეტროვიჩმა ბარსელონის ოლიმპიადაზე ხორვატიას ვერცხლის მედლები მოუტანეთ. მას შემდეგ ნაკრებმა მსგავს წარმატებას ვეღარ მიაღწია. ის კი არა, ევროპის 1999 წლის ჩემპიონატზე ადრეული ეტაპიდან გამოვარდა. კუკოჩი იყო იმ გუნდში, თქვენ — არა. რა არის ამის მიზეზი?

— ხორვატიის ნაკრებში დიდხანს და ბევრი ვითამაშე. ვფიქრობ, დროა დავისვენო. ზედიზედ 12 თვის განმავლობაში თამაში აღარ მინდა და აღარ შემიძლია, ამისთვის საკმაოდ დავბერდი. ხორვატიის ნაკრებს აკლია ბოლომდე მებრძოლი კალათბურთელები და ამის გამო აგებს.

— ძველი იუგოსლავია რომ აღდგეს, რა დონის საკალათბურთო ნაკრები ეყოლება?

— ჩემი აზრით, ევროპაში უძლიერესი ვიქნებოდით. ჩვენ ვერავინ დაგვამარცხებდა, ოღონდ ამერიკის ნაკრებს, „დრიმ თიმს“ ვერ ვაჯობებდით.

— თქვენ ძველ თანაგუნდელთან, იუგოსლავიელ ვლადე დივაცთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— შესანიშნავი. მე და ვლადე დღემდე მეგობრები ვართ.

აურზაური ინგლისის საქმეზეში

ორშაბათს ინგლისის დევისის თასის გუნდის კაპიტნის თანამდებობიდან დევიდ ლოიდის გათავისუფლებას დიდი აურზაური მოჰყვა და შეიძლება საქმე სასამართლო პროცესამდეც კი მივიდეს

REUTERS ოსტრავადან

დევიდ ლოიდი

ლ ო ი ნ დ ი კაპიტნად 1995 წლის მარტში დაინიშნა და თავისი მოვალეობა ურიგოდ სულაც არ შეუსრულებია: ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფიდან გრეგ რუზეიკისა და ტიმ ჰენმანის დახმარებით გუნდი უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა.

პრობლემებმა პირველად წლეულს, ჩეხებთან მერვედფინალური შეხვედრის დროს იჩინა თავი. რუზეიკის ტრავმის გამო ინგლისელთა თავკაცს ორი შედარებით დაბალი კლასის ჩოგბურთელის — არვინდ პარმარისა და ჯემი დელგადოს გუნდში მოხმობა მოუხდა და მათი თამაშის შემხედვარე ცუდ ხასიათზე დადგა.

„მათ დევისის თასზე თამაში თუ სურთ, ფიზიკურად უკეთ უნდა მოემზადონ. მე 10 დღეში ვერაფერს გავაკეთებ, ეს ჩვენი ჩოგბურთის ფედერაციის (LTA) მოვალეობაა“ — აღნიშნა ლოიდმა 14 წაგების შემდეგ.

ფედერაციამაც სწორედ ეს განცხადება დაიხვია თითზე. „იმის გათვალისწინებით, თუ როგორ იქცეოდა ლოიდი ბოლო ხანებში და საჯაროდ აკრიტიკებდა გუნდს, ჩვენ მას აღარ ვენდობით. საჭიროა ახალი კაპტნის დანიშვნა, რათა ყველაფერი მოგვარდეს. ჩვენ არ გვსურდა მასთან ასე დაშორება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვრჩება“ — ეს LTA-ს აღმასრულებელი თავმჯდომარის, ჯონ კრაუტერის სიტყვებია.

ფედერაციამ ახალ კაპიტნად იმავე დღესვე უიმბლდონის ყოფილი ნახევარფინალისტი, როჯერ ტეილორი დანიშნა, მწვრთნელად — ჯერემი ბეითსი და იქნებ ეგონა, საქმე მოვაკვარაზჭინეო, მაგრამ ლოიდი ბედს იოლად არ შეურიგდა.

„ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, ვთქვათ, ალექს ფერგიუსონი მოხსნან დევიდ ბექემის გაკრიტიკების გამო. მე ხომ თავად მოთამაშეებს ეს ყველაფერი პირში ვუთხარი და ყველა დამეთანხმა. ისე, ფედერაციისგან არაფერი მიკვირს. რაც უფრო ცუდს გააკეთებ, მათ გულს უფრო მოიგებ და უკეთეს თანამდებობაზეც დაინიშნები. არადა, ზაფხულში ისედაც ვაპირებდი წასვლას.“

ყოფილი კაპიტანი ყველაზე მეტად იმან გაანაწყენა, რომ გუნდის საბრძოლო სულისკვეთების დაქვეითებაში დასდეს ბრალი და სასამართლოში ჩივილითაც დაიმუქრა: „ეს ნამდვილი ცილისწამებაა. მე არავის დავანებებ არასწორი ბრალდებების წაყენებას. თუ ჩემს რეპუტაციას საფრთხე დაემუქრება, აუცილებლად ვიჩივლებ. ამაზე ორი აზრი არ არსებობს.“

ბოიკოტით დაიმუქრა ლოიდის პირადი მეგობარი რუზეიკი, რას ერჩოდით ამ კაცს, რამდენიმე თვეში თავადაც გადადგებოდაო.

რაც შეეხება ახალ კაპიტანს, როჯერ ტეილორმა საჩოთირო თემას თავი აარიდა და მოკლე კომენტარით შემოიფარგლა: „ამ თანამდებობაზე დანიშვნა ჩემთვის დიდი პატივია“.

ავთანდილ სვანიძე

კლასიფიკაცია

კაცები

ჩემპიონთა რბოლა 2000

1.2. ევგენი კაფელნიკოვი (რესეთი)	201 ქულა
2.1. ანდრე აგასი (აშშ)	200
3.3. მაგნუს ნორმანი (შვედეთი)	153
4.4. ნიკოლას კიფერი (გერმანია)	135
5.5. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	101
6.20. მარკ როსე (შვეიცარია)	100
7.6. პიტ სამპრასი (აშშ)	90
8.7. იუნეს ელ აინაუი (მაროკო)	85
9.12. ფაბრის სანტორო (საფრანგეთი)	83
10.14. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი)	79

კლასიფიკაცია ძველი სისტემით

1.1. ანდრე აგასი	5045
2.2. პიტ სამპრასი	2811
3.3. ევგენი კაფელნიკოვი	2802
4.4. ნიკოლას კიფერი	2435
5.5. მაგნუს ნორმანი	2137
6.6. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	2056
7.8. მარსელო რიოსი (ჩილე)	1845
8.7. რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია)	1655
9.9. ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი)	1641
10.15. სედრიკ პიოლინი	1549
11.11. ტიმ ჰენმანი (ინგლისი)	1641
12.12. ტომას ენკვისტი (შვედეთი)	1503
13.10. ტოდ მარტინი (აშშ)	1500
14.14. ლეიტონ ჰიუიტი	1430
15.13. გრეგ რუზეიკი (ინგლისი)	1379
16.16. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	1352
17.17. ალბერტ კოსტა (ესპანეთი)	1341
18.18. პატრიკ რაფტერი (ავსრალია)	1323
19.19. სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი)	1253
20.20. იუნეს ელ აინაუი	1241
26.27. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	1055
58.66. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	701

ქალები

1.1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	5684
2.2. ლინდსი დევენპორტი (აშშ)	5190
3.3. ვინუს უილიამსი (აშშ)	3706
4.4. სერენა უილიამსი (აშშ)	3209
5.5. ნატალი ტოზია (საფრანგეთი)	2550
6.6. მარი პირსი (საფრანგეთი)	2467
7.8. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	1981
8.7. ჟული ალარი (საფრანგეთი)	1973
9.14. მონიკა სელეში (აშშ)	1920
10.9. ანა კურნიკოვა (რუსეთი)	1823
11.10. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი)	1771
12.11. არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)	1768
13.12. ბარბარა შეტი (ავსტრია)	1766
14.15. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	1556
15.13. ამელი მორესმო (საფრანგეთი)	1475
16.16. ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა)	1430
17.18. ანკე ჰუბერი (გერმანია)	1424
18.17. ელენა ლიხოვცევა (რუსეთი)	1380
19.22. ემი ფრეზერი (აშშ)	1265
20.19. დომინიკ ვან რუსტი (ბელგია)	1261
21.21. რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი)	1236
22.23. აი სუგიამა (იაპონია)	1215
23.20. ჩანდა რუბინი (აშშ)	1193
24.24. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1162
25.25. სილვია ტალაია (ხორვატია)	1112
26.26. ნატალი დეში (საფრანგეთი)	1049
27.29. ლაიზა რეიმონდი (აშშ)	1006
28.28. საბინე აპელმანსი (ბელგია)	954
29.27. ენ კრემერი (ლუქემბურგი)	928
30.31. ნატაშა ზვერევა (ბელარუსი)	904
35.33. კიმ კლაისტერსი (ბელგია)	852
39.36. ალექსანდრა სტივენსონი (აშშ)	756
46.46. ელენა დოკიჩი (ავსტრალი)	660
50.50. მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია)	640

ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 2000-ში

1. ანდრე აგასი	501 320	1. ლინდსი დევენპორტი	477 955
2. ევგენი კაფელნიკოვი	400 304	2. მარტინა ჰინგისი	467 089
3. ნიკოლას კიფერი	276 116	3. სერენა უილიამსი	158 906
4. მაგნუს ნორმანი	219 096	4. ნატალი ტოზია	144 158
5. მარკ როსე	218 452	5. სანდრინ ტესტიუ	139 886
6. ფაბრის სანტორო	217 540	6. რენე სტაბსი (ავსტრალია)	135 463
7. სედრიკ პიოლინი	189 239	7. ანა კურნიკოვა	131 809
8. ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი)	147 309	8. ლაიზა რეიმონდი	127 576
9. ლეიტონ ჰიუიტი	146 856	9. კონჩიტა მარტინესი	127 164
10. ტიმ ჰენმანი	146 672	10. მარი პირსი	125 717
11. მაგნუს ლარსონი (შვედეთი)	146 320	11. ჟული ალარი	120 393
12. იუნეს ელ აინაუი	143 296	12. ამელი მორესმო	119 458
13. ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე)	141 348	13. ჯენიფერ კაპრიატი	116 417
14. ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი)	140 645	14. არანჩა სანჩეს-ვიკარიო	91 879
15. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა)	130 000	15. აი სუგიამა	89 043

შავი ისარი
უკან რომაა, ის არის

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

გ უ ნ დ ი ს შეფი ტომ უოკინშოუ ბევრს ეცადა, საჯინიბო მოწინავეთა შორის მოხვედრილიყო. მან მიიწვია მსოფლიო ჩემპიონი დეიმონ ჰილი, ერთ-ერთი საუკეთესო კონსტრუქტორი ჯონ ბარნარდი, ძრავის შექმნაც თვითონ ითავა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. „ეროუსი“ კვლავაც აუტსაიდერია.

წლეულს გუნდს არც მოწინავე პილოტი ჰყავს და არც აღიარებული კონსტრუქტორი, საკუთარი ძრავის წარმოებაზეც უარი თქვა.

ახალი ბოლიდი A-21 საკმაოდ მძიმე ფინანსურ პირობებში შეიქმნა, მაგრამ პირველივე ტესტებმა გუნდს წარმატება მოუტანა. პილოტებმა ლიდერთა შორის შეაღწიეს, თანაც მსგავსი, „სუპერტეკის“ ძრავის მქონე ბენეტონელებსაც აჯობეს. სწორედ ეს აძლევს „ეროუსს“ იმის იმედს, რომ წლეულს საშუალო დონის მეტოქეებს მაინც ტოლს არ დაუდებს. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გუნდები ტესტებზე საწვავის განსხვავებული მარაგით გამოდიან, ეს კი პილოტებს სხვადასხვა სიჩქარის განვითარების საშუალებას აძლევს. „შავი ისრები“ გამალებით ემზადებიან ჩემპიონატისთვის და მათი წარმატებები შეჯიბრს ინტერესს შემატებს.

ალეკო ჯაბუკიანი

ეროუს — ფონდმეტალი

დაარსდა 1977 წელს
გენერალური დირექტორი ტომ უოკირშოუ
ტექნიკური დირექტორი მაკ კუგლანი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1978
337 რბოლა, 1 პოული, 157 ქულა
1999 — მე-9 ადგილი, 1 ქულა
შასი ეროუს A-21, ძრავი სუპერტექ-V-10



კ ე დ რ ო დ ე ლ ა რ ო ს ა

ესპანეთი

დაიბადა 1971 წლის 24 თებერვალს ბარსელონაში

უცოლო, ცხოვრობს ბარსელონაში

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1999, ავსტრალიის დიდი პრიზი (ეროუსი)

16 რბოლა, 1 ქულა

ი ო ს ვ ე რ ს ტ ა პ ე ნ ი

ჰოლანდია

28 წლის

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1994, ბრაზილიის დიდი პრიზი (ბენეტონი)

47 რბოლა, 11 ქულა



წაიწევენ წინ „შავი ისრები“?

ფრუდეს არამი ოქროც არ უნდა

წინა „სარბიელში“ ნორვეგიელი ბიატლონისტის, ფრუდე ანდრესენის თავს გადამხდარი ამბავი გიამბეთ და ალბათ, გახსოვთ, ნორვეგიელს რომ ამცნეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ოქრო იქნებ ჩამოგერთვასო. ახალი ინფორმაციით, სკანდინაუიელმა განაჩენს არ დაუცადა და თავად განაცხადა, რომ მედალს ნებაყოფლობით თმობს. ამგვარი კეთილშობილური საქციელი ზოგმა როგორ გაიგო და ზოგმა როგორ, ავტორიტეტულმა ხალხმა კი თავისი აზრიც გამოთქვა, მეტწილად — ბიატლონის ნორვეგიელმა მოწინააღმდეგეებმა. მათ, მოლოდინისამებრ, თანამემამულეს ქება-დიდება შეასხეს. მაგალითად თუ გნებავთ, აგერ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ქალბატონ ლივ გრეტე შელბრეიდის სიტყვები მოვიყვანოთ: „ფრუდე აღტაცებას იმსახურებს“, ან კიდევ ნორვეგიის ბიატლონისტთა რიგითი მწვრთნელის, გისლე ფენეს კომენტარი: „ეს მოწიფული ადამიანის გადაწყვეტილებაა“.

ცხადია, იყვნენ ისეთებიც, ვინც ეს ამბავი არ მოიწონა. ნორვეგიელთა უფროსმა მწვრთნელმა აუდუნ სვარტდალმა მასმედიას განუცხადა, ეს რა ძნელი კითხვა დამისვით, პირდაპირ არ ვიცი, რა გიპასუხოთო. ფრუდე გააკრიტიკა ისეთმა მნიშვნელოვანმა პიროვნებამ, როგორიცაა ბიატლონის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი პეტერ ბაიერი. ამ პატივცემული ადამიანის აზრით, ანდრესენმა მიჰქარა, როცა პრესის ქოთქოთს აჰყვა და არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. სამაგიეროდ, აწ უკვე ექსჩემპიონის გადაწყვეტილება მოიწონა კიდევ ერთმა მაღალმა პერსონამ, ნორვეგიული ბიატლონის თავკაცმა ჰანს კველმა. ისე, ჩვენ თუ გვკითხავთ, ანდრესენი სწორად მოიქცა, ნებით დათმო ის, რაც მისთვის ეგებ ძალით წაერთმიათ, ხალხის თვალში ვაჟკაცად დარჩა და ოქროს მედალი კი სად წაუვა, კიდევ მოვა ზამთარი... ერთადერთი ხალხი, ვინც ნორვეგიელის ამ ნაბიჯით გაიხარა, რუსებია, რადგან საცა სამართალია, ვაკანტური მედალი მათ მეორეადგილოსანს, პაველ როსტოვცევს უნდა დარჩეს.

დავით გულუა

რუსული პარტია: ერთი ქვეყანა — ორი ჩემპიონი

ხალიფმანი-კასპაროვი: ჯერ მხოლოდ ერთი სვლა...

პროკასპაროვულად განწყობილი საჭადრაკო მიმოხილველები ლინარესის ტურნირში ალექსანდრ ხალიფმანის თამაშს ერთობ ირონიულად უყურებენ. როცა მეორე ტურის ცენტრალური პარტია საბჭოსა და ფიდეს ჩემპიონებს შორის ყაიმით დასრულდა, ერთი მოჭადრაკის კომენტარი ასეთი იყო: „ორივემ თავაწეულმა დატოვა დარბაზი, უფრო კი ხალიფმანმ“. ცხადია, ეს სიტყვაკაზმულად არის ნათქვამი, თორემ ლინარესში მოჭადრაკეთა ბეჭვამართულობისა და ყელმოღერებულობის ხარისხს ვინ ზომავს. ჩვენ კი იმაზე ვთქვათ, მართლაც ასეთი კმაყოფილი უნდა იყოს ხალიფმანი ნომერ პირველთან მიღწეული ყაიმით? ცოტა საეჭვოა, რადგან გუშინწინ ფიდეს რჩეული თეთრებით თამაშობდა და თუ საერთოდ კასპაროვთან მოგებაზე ფიქრობს, სწორედ მაშინ უნდა ეფიქრა და მეორეც, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ერთი ქვეყნის სახელით მოასპარეზე ჩემპიონებს ერთმანეთში აქამდე სულ ორი ოფიციალური პარტია უთამაშათ და ორივე ყაიმით დასრულებულა, ანუ ხალიფმანი ერთი იმ იშვიათთაგანია, კასპაროვთან პირად შეხვედრებში უარყოფითი ბალანსი რომ არა აქვთ. ამდენად, დამარცხებულის კომპლექსი, რომელიც კასპაროვთან შეხვედრისას შეიძლებოდა ჰქონოდა, ვთქვათ, ალექსეი შიროვს, ხალიფმანისთვის არ არსებობდა.

ხალიფმანის სასარგებლო არგუმენტებს კასპაროვისთვის ხელი არ შეუშლია, შემდეგი რამ ეთქვა: „ლინარესში ხალიფმანი ობიექტურად ყველაზე სუსტი მონაწილეა და ამიტომ მასთან, თუნდაც შავებით, მხოლოდ მოსავებად ვთამაშობდი.“ თითქოს მართლა ჩანდა, რომ კასპაროვს შეტევა უნდა აეწყო, მაგრამ მე-20 სვლა ისეთი ვერ გამოუვიდა, როგორიც საქმეს სჭირდებოდა და აქედან მოყოლებული პარტია სწრაფად წავიდა ყაიმისკენ, რომელიც 29-ე სვლაზე გაფორმდა. ფიდე-საბჭოს ხეირიანი ჯახი მცირე ხნით გადაიდო. მისი მეორე და უკანასკნელი მცდელობა მე-7 ტურში იქნება, როცა კასპაროვი თეთრებით ითამაშებს და ალბათ უეჭველად შეეცდება სასეირო სანახაობის მოწყობას. პრესტიჟის ამბავია, სხვა თუ არაფერი...

პირველი მოგების შემდეგ კვლავ ჩათვლიმა ვლადიმერ კრამნიკმა, რომელსაც ეს ბებრული ჩვეულება ბოლო ხანებში ძლიერ დასჩემდა. არადა, მეორე ტურში უპრინციპულეს მეტოქეს ხვდებოდა და თანაც თეთრებით. ვოვას ჰ ქონდა თამაშის გამწვავების შანსი, მაგრამ არ გამოიყენა და ანანდიც არ გაფხორილა. ვიშმ სხვებზე არანაკლებ უწყის, რომ კრამნიკთან შავებით მოგებაზე ფიქრი უტოპიაა და ნაბოძები ნახევარი ქულაც იკმარა. მეტოქეებმა ცენტრში მცირედი წაიღლაბუცეს, თითოოროლა ყუმბარა გაისროლეს და მე-20 სვლაზე ქულა ტკბილად გაიყვეს, რასაც შიროვისა და პიტერ ლეკოს წყვილზე ვერაფრით ვიტყვით, რადგან ექსრიგელი ლინარესში ერთადერთია, ვინც თანამედროვე, მშრალი ჭადრაკის ხუნდების გადაყრას ცდილობს და ხანდახან წარმატებითაც. ლეკო ბევრს ეცადა, მაგრამ პოზიცია ვერაფრით განმუხტა, რუსულ პარტიაში შიროვმა კოხტად შესწირა ხარისხი და პერსპექტიულად შეუტია. მისი გამსვლელი პაიკი მეტად უშნოდ გაიჩხირა ლეკოს ფიგურებში და უნგრელმა პირველ რიგში სწორედ იგი მოსპო, რასაც ხარისხის დაბრუნება დასჭირდა. შემდეგ შიროვმა შეცვალა მიმართულება, გადავიდა მეფის ფრთაზე და ეტლების ენდშპილში ზედმეტი პაიკით აღმოჩნდა, თუმცა მისი გამოყენებისთვის ამაოდ იშრომა. 71-ე სვლაზე მთლად გაქაფული მეტოქეები ყაიმს დასჯერდნენ. ორი ტურის შემდეგ კასპაროვსა და კრამნიკს ქულა-ნახევარი აქვთ, ანანდსა და ლეკოს — თითო ქულა, ხოლო შიროვსა და ხალიფმანს — ნახევარ-ნახევარი. მესამე ტურში ყველაზე საინტერესოდ კასპაროვ-კრამნიკის პარტია მიაჩნიათ.

დავით გულუა

REUTERS ლოს ანჯელესიდან

ლოს ანჯელესის მეკარე სტეფან ფისე ვანკუვერელ მეტ კუკის შეტევას მაგრად დაუხვდა

იამაყე, თუ შნო გაქვს!

29 თებერვალი

ბოსტონი — ოტავა 3:5

0:0 0:4 3:1

0:1 ჰოსა 23'11 (23); 0:2 ჰოსა 23'47 (24); 0:3 ფორბსი 32'42 (1); 0:4 დაინინი 35'16 (3); 1:4 მანი 43'08 (3); 2:4 ტორნტონი 58'02 (16); 3:4 სამსონოვი 58'28 (16); 3:5 ფილიპსი 59'48 (4)

კოლორადო — ედმონტონი 1:3

1:0 0:1 0:2

1:0 საკიკი 13'21 (12); 1:1 უეიტი 27'44 (14); 1:2 სელივანოვი 51'29 (20); 1:3 უეიტი 59'55 (15)

ატლანტა — ტორონტო 0:4

0:1 0:1 0:2

0:1 ტავერი 18'18 (17); 0:2 კროსი 24'14 (3); 0:3 ანტროპოვი 42'58 (8); 0:4 ტომასი 48'02 (16)

ნეშვილი — ნიუ ჯერსი 1:2

0:1 0:1 1:0

0:1 მაკეი 0'19 (15); 0:2 მედენი 26'26 (11); 1:2 იაჩმენევი 52'21 (13)

სენტ ლუისი — ფილადელფია 3:2

1:1 1:0 1:1

0:1 ბ. უაიტი 3'06 (1); 1:1 რიზონერი 19'19 (7); 2:1 ბასუნი 30'02 (1); 3:1 პრონგერი 44'25 (10); 3:2 ზელეპუკინი 48'48 (9)

ლოს ანჯელესი — ვანკუვერი 1:1

1:1 0:0 0:0 0:0

1:0 პალფი 1'24 (25); 1:1 სტრადვიკი 19'31 (1)

სან ხოსე — ანაჰაიმი 2:4

1:1 1:2 0:1

0:1 კალენი 3'42 (13); 1:1 დამფუსი 18'24 (14); 2:1 ნოლანი 20'42 (39); 2:2 მაკინისი 31'30 (10); 2:3 ტვერდოვსკი 38'18 (11); 2:4 ლეკლერკი 51'37 (8)

„რა ხანია, სეზონი დაიწყო და არცთუ ბევრი იყო მატჩი, სადაც გუნდს საქმე კარგად აშკარად არ წასვლია, მაგრამ მაინც მედგრად დაუცავს თავი და თავისი გაუტანია. თუ ყოველივე ამას შეძლებ, უთუოდ ქების ღირსი ხარ“ — ედმონტონელ ჰლეიმეიკერ დუგ უეიტს, ისევე, როგორც მის პარტნიორებს, ნამდვილად ჰქონდა თავმოწონების საბაბი. დივიზიონში თავიანთ მთავარ მეტოქესთან, კოლორადოსთან შეხვედრა რომ ურთულესი გამოდგა „მენავთობეთათვის“, ამაზე ანგარიში და უეიტის მიერ ბოლო წამებზე გატანილი გოლიც მეტყველებს. ისე, წაგებაში ვერც კოლორადოსა და მის ლიდერ პეტერ ფორსბერგს დაადანაშაულებ. მათ ძალღონე არ დაიშურეს, მეტოქეზე უკეთაც გამოიყურებოდნენ, მაგრამ ორი სწრაფი კონტრშეტევა გაეპარათ და ეს ჩრდილო-დასავლეთში ლიდერობის დაკარგვად დაუჯდათ.

თუ ედმონტონი მოგებამ პირველ ადგილზე აღაზევა, კოლორადომ, პირიქით, ბოლოდროინდელი უსუსური თამაშით (+0=1-4) ერთობ გაირთულა პლეიოფში გასვლის საქმე, რადგან დღის კიდევ ერთ გადამწყვეტ მატჩში ანაჰაიმმა სან ხოსეს აჯობა და დასავლეთის დივიზიონში სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა. პოლ კარიას გარეშე დამაჯერებლად მოთამაშე „იხვებისთვის“ საპლეიოფო ოქტეტთან მიახლოება დამსახურებული საზღაური გახლდათ. კარიას არყოფნაში გუნდს ტედუ სელიანეს გარდა ლიდერად მცველი ოლეგ ტვერდოვსკი მოევლინა. 19 იანვრიდან მოყოლებული რუსმა 18 მატჩში 7 გოლი და 15 პასი მიითვალა, რაც მისი ამპლუის მოთამაშისთვის უჩვეულო შედეგია. ამჯერად ოლეგმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

ნიუ ჯერსიმ მოგებით დაიწყო 7-მატჩიანი საგარეო სერია. მანამდე „ეშმაკები“ ზედიზედ ოთხჯერ დამარცხდნენ და ამჯერადაც ნეშვილს ბევრით ვერაფრით სჯობდნენ, მაგრამ ბოლო მესამედში მეკარე მარტინ ბროდოს ძალისხმევით (35 მოგერიება) ორშაიბიანი უპირატესობა არ გაფლანგეს. სტუმართა ვეტერანმა რენდი მაკეიმ ლიგაში მე-700 მატჩი გოლით აღნიშნა. ახალბედა მცველმა ბრაიან რაფალსკიმ კი ორი პასი მიითვალა.

აი, ლოს ანჯელესს კი, რომელიც 7-მატჩიანი ვოიაჟიდან 4 მოგებით დაბრუნდა, შინ ხანგრძლივი არყოფნის შემდეგ ძალიან უნდოდა ქომაგების გახარება, მაგრამ „მეფეებმა“ ვანკუვერის მეკარე ფელიქს პოტვინის კარი მხოლოდ ერთხელ დალაშქრეს და ქულას დასჯერდნენ.

ტორონტომ ზედიზედ მეოთხედ ძალიან იოლად მოიგო, რადგან ლიგის აუტსაიდერი ატლანტა საკადრისად ვერ შეეწინააღმდეგა.

აღსანიშნავია, რომ „ნეკერჩხლის ფოთლებმა“ წინა კვირის ყოჩის, კერტის ჯოზეფის მაგივრად მისი შემცვლელი გლენ ჰილი ჩააყენეს კარში. არც შემცდარან — ჰილმა, რომელმაც ატლანტასთან ბოლო შეხვედრაში შთაუტი მიითვალა, ახლაც „გაამშრალა“ მეტოქე, თუმცა საამისოდ მხოლოდ 14 დარტყმის მოგერიება მოუხდა.

ოთხი ლიდერის, მათ შორის ერიკ ლინდროსისა და კეიტ პრიმოს გარეშე, ფილადელფიამ ვერაფერი მოუხერხა სენტ ლუისს, რომელიც შეუფერხებლად მიიკვლევს გზას დასავლეთის ჩემპიონობისკენ. აღსანიშნავია, რომ „ბლუზმენები“, კაროლინასთან ერთად, ერთადერთნი არიან, რომლებსაც არც ერთი ოვერტაიმი არ წაუგიათ. განსაკუთრებულ ინტერესს „მფრინავთა“ რიცხვმრავლობისა და სენტლუისელთა უმცირესობის ბრიგადების შეჯიბრი იწვევდა, რადგან ისინი ლიგაში საუკეთესონი არიან. შეიძლება ითქვას, რომ ეს დაპირისპირება მასპინძელთა წარმატებით დასრულდა (ფილადელფიამ 5 ცდიდან ვერც ერთი ვერ გამოიყენა) და ამან მნიშვნელოვანწილად გადაწყვიტა მატჩის ბედი.

დაბოლოს, კვლავ მარკ მესიეზე. როგორც წინა „სარბიელში“ გაუწყეთ, თითქმის გადაწყვეტილი იყო სახელოვანი ვანკუვერელის ნიუ ჯერსში გადასვლა, მაგრამ „ეშმაკთა“ მფლობელის, ჯონ მაკმალენის გაზეთ „სტარ-ლეჯერისთვის“ მიცემულმა ინტერვიუმ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. „მე 40 წლის ვეტერანი კი არა, ისეთი ჰოკეისტი მჭირდება, რომელიც რამდენიმე სეზონის განმავლობაში ლიდერობას იტვირთავს“ — განაცხადა მაკმალენმა და დასძინა, ესოდენ ძვირადღირებული, გადაბერებული მოთამაშეების შეძენა გუნდის პრინციპებს ეწინააღმდეგება, ამხელა გასამრჯელოს სხვებიც მოინდომებენ, რაც თანაკლუბელთა შორის ურთიერთობას დაძაბავსო. თითქოსდა ყველაფერი ნათელია, მაგრამ არის ერთი ნიუანსი. საქმე ის გახლავთ, რომ მაკმალენი გუნდს ყიდის და უკვე სადაცაა დასრულებს „იანკი ნეტსთან“ მოლაპარაკებას. ცნობილია თანხაც — 175 მილიონი ამერიკული დოლარი და თუ გარიგება დედლაინამდე, ანუ 14 მარტამდე შედგა, არაა გამორიცხული, ნიუ ჯერსის ახალმა მფლობელებმა მესიე შეისყიდონ.

სამველ ღარიბიანი

კვირის მოთამაშე



კერტის ჯოზეფი (ტორონტო)

უკვე აღარავის უკვირს, რომ კვირის საუკეთესო მოთამაშედ მეკარეს ირჩევენ. არც გასული შვიდდღეული გამოდგა გამონაკლისი და ზედიზედ მეორედ, სეზონში კი მეათედ (!) ეს პატივი გოლკიპერს ერგო. კერტის ჯოზეფის ლაურეატად დასახელება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ციფრები და სტატისტიკა ყველაფერს სულაც არ წყვეტს. მართლაც, ჯოზეფი წლეულს ერთ მატჩში საშუალოდ 2,46 გოლს უშვებს, რაც თანამედროვე ჰოკეიში არცთუ დიდად საამაყო შედეგია, მაგრამ ნებისმიერ ჟურნალისტს რომ დაეკითხოთ, მას უყოყმანოდ დაასახელებს რჩეულ მეკარედ. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჯოზეფის მისვლამდე ტორონტო ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ცუდი გუნდი იყო, საშუალოდ 3-4 გოლს უშვებდა და ახლაც გაუშვებდა, რომ არა „კუჯო“ (ტორონტოს სუსტ რგოლად დღემდე დაცვა რჩება). წინა კვირაში კერტისმა გუნდს სამი მატჩი მოაგებინა, მათ შორის ნიუ ჯერსისთან საუკეთესოს წოდებაც დაიმსახურა.

საუკეთესო ექვსეული. 21-27 თებერვალი

კერტის ჯოზეფი (ტორონტო, 2); *რობ ბლეიკი* (ლოს ანჯელესი, 3) — *ოლეგ ტვერდოვსკი* (ანაჰაიმი, 2), *სტეფან რიშე* (სენტ ლუისი, 1) — *ჯერომ ივინლა* (კალგარი, 2) — *ლუკ რობიტაილი* (ლოს ანჯელესი, 3)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკა გამოფენაზე

ფორმულა 1-ის ფინელი ჩემპიონი მიკა ჰაკინენი და მისი ცოლი არია გერმანულ ქალაქ ჰანოვერში ჩასულან და იქ თანამედროვე კომპიუტერულ თამაშთა გამოფენას სწვევიან. მიკას თავისი ბოლიდი და საკუთარი თავიც უპოვნია ერთ-ერთ თამაშში.

REUTERS ჰანოვერიდან

სერ და სერ



REUTERS კანიდან

საფრანგეთის ქალაქ კანში, სადაც საერთაშორისო გამოფენა „ფუტბოლ ექსპო" გაიხსნა, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლად ინგლისის არჩევის პრომოუშენს მისდევს ორი ბრიტანელი სერი ბობი ჩარლტონი და ჯეფრი ჰერსტი. ამ დროულ ბატონებს მინდორზე სირბილი აღარ ძალუძთ, მაგიდის ფეხბურთში კი დაოსტატებულნი ჩანან.

REUTERS კანიდან

ია კვირიკაშვილი და დავით კულუმბეგაშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტოები

იულია ბარაზდინა

სპორტია, აბა, რა!

ერთი და, გინდა მეტი შეხედვით, „სპორტცეკვები" უცნაურად ჟღერს. სპორტი სპორტია, ცეკვა ცეკვა. მაგრამ...

საწყისი ეტაპი, მერვედფინალი, მეოთხედფინალი, ნახევარფინალი, ფინალი... თანაც, თითოეულ ეტაპზე რამდენიმე ცეკვა, დასვენებას ვერ ასწრებ, ისევ მოედანზე გიხმობენ მკაცრი მსაჯები.

მოკლედ, ცეკვა უძახე და, თუკი შეჯიბრია, თანაც ხანგრძლივი და მომქანცველი, სპორტიცაა, აბა, რა არის!

ამ დღეებში სპორტცეკვების ეროვნულმა ფედერაციამ საქართველოს ღია ჩემპიონატი გამართა. მოქმედების ადგილი ტრადიციული — მუდტაიდი, ქორეოგრაფიული სტუდია „თელა", სტუმარნიც ნაჩვევნი — სომხები და აზერბაიჯანელები. კავკასიის მცირე ჩემპიონატიო, რომ გვეთქვა, არ შევცდებოდით. ჰოდა, ნუ გაიღიმებთ და, ბრძოლა ფიცხელი იყო მოსალოდნელი. პროგრამაც ეშხიან-ჟინიანი — ლათინურამერიკული ცეკვები. აკი თბილისელი ცეკვის მოყვარულობა ლამის ვერც დიტია დარბაზმა. ამათ იცოდნენ, რის და ვის სანახავადაც მოდიოდნენ: დავით კულუმბეგაშვილი და ია კვირიკაშვილი თუ გიორგი ტაბატაძე და თათული გოგიშვილი? ამ ფავორიტი წყვილებისთვის მეორეობა საწყენი იყო, მათი პაექრობის ხილვა კი მაყურებლისთვის დიდად საინტერესო და სასიამოვნო. საბოლოოდ, მსაჯებმა პირველობა დათოს და იას არგუნეს, მაყურებლის ტაში და მადლობა კი არც გიორგის და თათულის დაჰკლებიათ. მესამე ადგილი სტუმრებს დარჩათ: ბაქოელებმა ეტიბარ მამედოვმა და იულია ბარაზდინამ ერევნელებს გიორგი ბაბაიანს და ვარდუი ალექსანიანს აჯობეს.

თათია მიგრიაული

თათული გოგიშვილი და გიორგი ტაბატაძე

სარგიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ გზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli